

# ლიტერატურული გაზეთი

№21(205) 10 - 23 ნოემბერი 2017

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი



## ნუგზარ ზაზანაშვილი

\*\*\*

დაიღალა და წავიდა წვიმა  
და ისევ ვუსმენ ვარსკვლავთა ციმციმს...  
ვინ იცის, იქნებ ერთი დღის ჩვილმა  
მეტი ვიცოდი, ვიდრე დღეს ვიცი?..

ასე, სულ უფრო მცირდება გზა და  
ასე, სულ უფრო იზრდება ეჭვი:  
რჩება კი რამე სახელის გარდა?..  
ან რად სულდგმულობს იმედი ჩემში?..

ვინ იცის, იქნებ ერთი დღის ჩვილმა  
მეტი ვიცოდი, ვიდრე დღეს ვიცი...  
დაიღალა და წავიდა წვიმა  
და ისევ ვუსმენ ვარსკვლავთა ციმციმს...

IV-V



დასასრული დასაწყისი N204

ასე მისდევდა დღეები ერთმანეთს და თამუნა ხვდებოდა, რას გულისხმობდა მამა ესაია მონასტრული ცხოვრების სირთულე...

თავისი ოდნავ წვრილი ოსური კილოთი გაულენილი ქართულით უყვებოდა მწერლებზე და წიგნებზე, ომზე და სტუდენტობაზე და, რა თქმა უნდა, მამაზე, რომლის შესახებაც, ღამე არ გავიდოდა, რამე არ წამოსცდებოდა...

ლადო კილასონია

შურისძიება



„ციხის ნაჭერი“, „მექსიკელი“ და „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“, მარა რა არი, იცი? ეს ინგლისელები, მგონი, მამაძაღვლები...

მოეწონებოდა შვილის ქცევები ან სიტყვაში, ერთს ახედავდა ხოლმე და სოსო ჩუმდებოდა. ბიჭები შემდეგ მოსახვედრი გამოჩნდნენ, ორნი იყვნენ, ფართხუნა, ჯიბიანი შარვლების ლარცა-ლურცით მოაბიჯებდნენ...

ნარდება. — გავივლი, დედაო! — სთხოვა თანუნამ დედა შუშანიკს. — ვივახშმოთ, შვილო და მერე! — უთხრა ქალმა. — არ მშია! — მუდარით ახედა თამუნამ.

არ ვიცი, ვინ არის, ნიგნი ეკლესიის ეზოში ვიპოვე, — უპასუხა თამუნამ. ეს კაცი აქამდეც ბევრჯერ ჰყავდა ნანახი, მამუკა ერქვა, აქაური მწყემსი და იმ რამდენიმე ადამიანთაგანი იყო, ვინც ზამთარ-ზაფხულ რჩებოდა სოფელში.

— რა გქვია? — რამდენი წლის ხარ? — რამდენი ხანია, აქ ხარ? — როგორია აქ? და სახიდან წამით არ გადასდიოდა ის კეთილი, ლამაზი ლიმილი. წამოწინდებული თამუნა თავდახრილი მიაბიჯებდა ბიჭის გვერდით, ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით უპასუხობდა მის ლალად...

მაგრამ ერთი კვირის თავზე სახლიდან გამოსულს ნუგზარას მტკრიანი ყვირითელი ჯიბი, ჯერ კიდევ აუშენებელი გალაგანის წინ რომ დახვდა და მაგიდაზე დადებული ის, შავი იზოლენტი ტარგადახვეული გრძელი ბეჭუტი დაუდგა თვალწინ, ჯერ საქონელს მოვრეკავ, რალაც აგვიანებენ და მერე ვიზამ საქმესო, გაიფიქრა. ძროხების საქმენულად წავიდა, შებინდებისასლა მობრუნდა და ყვითელი ჯიბის ნაცვლად აუშენებელი გალაგანის წინ საბურავებისგან გათელილი მინდვრის დანახვისას მორიდ იგრძნო დაძაბული სხეული შეგება.

„შაგრენის ტყაყი“ — ენერა ყდაზე, თამუნამ ოთხ დღეში გადაყლაპა ნიგნი, ისევ მიადგა მამუკას და ასე დაიწყო მათი მეგობრობა.

ასე გადიოდა წლები და მამუკა ხედავ-

და, როგორ იცვლებოდა — თუკი ადრე მამის ამბავს ყველას უყვებოდა, ახლა არა თუ მოყოლა, ან გრაფას სახელის ხსენება, მისი გახსენებაც კი არ სიამოვნებდა, თუკი ადრე თვე იყო არ გავიდოდა, მამას საფლავი არ მოენახულებინა, ახლა წელიწადში ერთხელ, მისი გარდაცვალების დღეს ძალიან თუ ჩაიყვანდა ცოლი და იქაც, იმ მარმარილოს შავ ქვასთან მამუკა ყველაზე ცუდად გრძობდა თავს და ერთი სული ჰქონდა, გამოქცეულიყო და უკან, ტყიან სოფელში ამობრუნებულს იმ გაბოლილი ერთსართულიანი მიწურისთვის შეეფარებინა თავი და საშინლად რცხვენოდა იმის აღიარება, რომ ენატრებოდა ის დრო, როდესაც არაფერი იყო, როდესაც სევდით შექცეული ყველას წინაშე მამაზე ლაპარაკი და როდესაც სიმართლის უცოდინარი და პირნათელი საათობით იჯდა მამის საფლავის წინ და არც ამოტვიფრული სახელი და გვარი, დაბადების და გარდაცვალების წლები ზაფრავდა და არც პრიალა შავ ქვასთან მიხატული მამის თეთრი სახე შემოჰყურებდა ეგრე, წყნით კი არა, გაკვირვებით და ასეთ დროს მამუკას დედაბერი ეზიზღებოდა, რას მიახალა სიმართლე, ეხვენებოდა ვინმე? წლებია, ძალიან კატასავით იყვნენ, მაგრამ არ მოინდომა თავისი დამპალი, ხარბი სული იქ დამძიმებული წაეღო, სიხარულისგან გაეღიმა კიდეც, როდესაც დაღვნილმა და სანახევროდ იქით გადასულმა, გაიგო, ვინ ადგა თავზე და ქმენა-ქმენით მიახალა ის მურყალი სიმართლე, რომელიც სასიკვდილოდ ნაცემმა მამამისმა სწორედ მის დასაცავად წაიყვანა თან, ამან კი მიახალა და სიბერე ჩაუშნარა. რამდენი ისეთი ახალი რამე აღმოაჩინა მამუკამ ამ წლების განმავლობაში თავის თავში, რისი ძებნაც საერთოდ არ ღირს: რომ მისი ცხოვრება ერთი დიდი ტყუილი, სხვებისთვის გათამაშებული სპექტაკლი ყოფილა, ტყუილი ყოფილა ძალიან ნათამაშები და აშკარად საკუთარი უტრაკობისგან გაჩენილ ჭრილობაზე მალამოდ დადებული ბრაზიანი აფეთქებები, რომელთა გამოც სოფელში ფიცხი კაცის სახელი დაიღო, იქნებ ამის გამო შეუყვარდა სიბერეში კრივი, რადგან სწორედ იქ, იმ რბილი თოკებით მოღობილ პატარა ოთკუთხედში გამშვებების გარეშე ერთმანეთის და საკუთარი შიშების წინ მარტო დამტრია, ხიფათისგან დაძაბულ, მაგრამ არგატქვეულ ბიჭებში ხედავდა იმ სიმამაცეს, რომელიც თვითონ არ გააჩნდა, ტყუილი ყოფილა სუფრაზე ნათქვამი ყველა სადღეგრძელო — ძმობაზე, ვაჟკაცობაზე, თავგანწირვაზე, ტყუილი ყოფილა ყველა ნაკითხული ნიგნისგან გაჩენილი ემოცია და ტყუილი ყოფილა მამას ამბის მოყოლისას თვალზე მომდგარი ცრემლი და ყველაზე მთავარი და მტკივნეული — ტყუილი ყოფილა მის გულში მის და სხვების მიერ დანახული სიყვარული, მას არავინ უყვარდა, არავინ ანაღვლებდა საკუთარი თავის გარდა, იმიტომ რომ, და ამაში მამუკას ეჭვი არ ეპარებოდა, კი, წაიღო გრაფამ თავისი მკვლევების სახელები მინაში, მაგრამ მამუკას ადგილას აქამდე უეჭველი მოიმოქმედებდა რალაცას. მან კი არაფერი ქნა, უარესი — ვერაფერი გახედა, პოლიციამ იმის შიშით ვერ წავიდა, ბოზს დამიძახებენ, მამის სისხლის ალბის ტრაკია არა ჰქონდა და იმიტომ ჩაუშვაო, თან არ შეეძლო პოლიციელებთან მისვლა, არ შეეძლო მათი წაშხდარი, ფეხზემკვიდია, მარტო გასახსნელი საქმისგან პირიზონზე ალივილივიებული პრემიის გამო თვალდამთვრებული სახელების ყურება — როდესაც მიმართა, რა ქნეს რო? არაფერი, დაკითხვებზე ატარეს და მარტო იმას ცდილობდნენ, მათთვის ხელსაყრელი, ადვილად ხელში ჩასაგდება ვინმესთვის დაედო ხელი. ერთმა, რომელიც თავიდან არც კი განძრეულა ოსის მკვლელობის გამო და უკვე მერე, კანონის მობრუნების შემდეგ დაფაცურდა, ისიც კი უთხრა, ესაა მკვლეელი, ამას დაადე ხელი, რა გჭირს, გრაფას შვილი არა ხარ, რისი გემინიაო?!

კარგი, ეს ვერ გააკეთა, მაგრამ სხვა რამე ხომ უნდა ექნა, რამე მაინც! თუ ვერ მოკვლავდა, ან დაჭრიდა, ხელი გაერტყა, ან ბოლო-ბოლო ხელი არ ჩამოერთმია ნუგზარასთვის, სალამზე არ ეპასუხა, ვერც ეს ქნა და იმის შიშით — გრაფას ამბის მცოდნე სოფელმა არ გაიგოს, რომ ყველაფერი ვიცი, ვერაფერს ვაკეთებ და სახალხოვად არ გამყვანდეს ჩემი ლაჩრობაო,

წლები შეინარჩუნა მართალია შორი, ცივი, მაგრამ ზრდილობიანი ურთიერთობა ნუგზარასთან და მის დანახვაზე მოგვრილ შიშაც მალევე მოუძებნა გონებაში უკეთ მუდერი სახელი — უხერხულობა. და ეგ იყო მორე რამ, რაც ჯობს, არასოდეს აღმოაჩინო საკუთარ თავში. გამართლების მცდელობა და გზების ძიება, ოღონდ ეგ ცოტა მერე მოვიდა, საკუთარი უკვე კარგად შეგნებულ-გაზარებული უმოქმედობისგან (იმის აღმოჩენისგან, რომ თურმე ყველაფერი ამის დავინწყება, დაფვლა და ცხოვრების რეჟიმებისგან გაგრძელება შეუძლია, ისე თითქოს არაფერი მომხდარა!) მოგვრილი უშიშრო, ლამის სიგიჟედ მისული ღამეების შემდეგ:

„მშობრა არ ხარ! რა, ამ უპატრონო ქვეყანაში მაკარავს ვერ იმოვიდი და ერთ მჭიდ ტყვიას ვერ დაახლიდი თუ რა? უბრალოდ, არ გინდა, არც მამაშენს უნდოდ! მამაშენის სულისთვისაც ეგრე ჯობს... იქ! სისხლის ალება ხომ უდიდესი ცოდვია! თან შეხედე შენს შვილებს, რა კარგად გათხოვდა გოგო, როგორი ბედნიერია და რა ლამაზი შვილიშვილები გყავს! როგორი გამრჯე და თბილი ცოლი შეხვდა ბიჭს, რომელიც სადაცაა მისაში შვილიშვილის ჩაგიგორებს ხელეშში, შენ კიდევ ნუგზარა რომ მოგეკლა, ხომ ყველაფერი აერდაეროდა და ეს ბედნიერება არ იქნებოდა! არა, იმიტომ კი არ მოკალი, რომ გემინია! ესაავე მოკლავ, უბრალოდ არ გინდა! შეუნდე! ბორბლებში ბორბლებით ვერ მოერევი! ღმერთი ყველას თავისას მოთხოვს! დაიჯერე არა, შე უტრაკო ლაჩრო! შე ვითომ ნაკითხო, მამის ამბავზე მოტირალი მატყურავ?! დაატრიალე არა ყველა ვითომ კეთილი აზრი თავში, ვითომ ქრისტე ხარ! წმინდანი! შენ თვითონ არ იცი, როდეთე არ არის, რომ მშობერი ძალიან იმ იღრინე და იჭიდავე ყველაფერზე რისი შემოერთებაც შეგიძლო?! ყოველ გოჯ მინაზე, იქ არ გაგხსენებია ღმერთი და შენდობა! რატო, იცი? იქ იკვდილის შიში არ იყო, არაფერი ისეთი არ იდო გასარისკად. აი, აქ კი, სადაც უნდა გამოჩენილიყო, ვინ ხარ და რა ხარ, სადაც წინ შემძულ, ძარღვიანი ნუგზარა გიდგას, კაცი, რომელმაც მამა მოგიკლა, კუდი ამოიძე და გაიქცა! არც კი შეზიზღები, ისეთი საცოდავი ხარ! და უნუშუშობა და სითამაშე იმაზეც კი გყოფნის, ჭამო, დალო, იცინო და სხვები განიკითხო! შე არაკაცო!“

მოდინ და ნუ შეიშლები ჭკუიდან. „გავგიჟდები თუ სალამომდე დრო არ გავიყვანე, სალამოს კი თამრო უნდა მოვიდეს და წიგნზე ვილაპარაკოთ. მაგრამ მანამდე?“ — მწვანე მთებს აშხედა მამუკამ, გადმავიწყდა, ცოტა გაველო, წამოდგა, ხელჯოხს დაეყრდნო, ხილზე გადავიდა და აღმა აჰყავდა მდინარეს.

ორასი მეტრიც არ გაევილო, რომ შორიდან სუსტად მისწვდა ყვირილის ხმა, მიაყურადა, გოგოების კვილი, კაცების შემინებელი ღრმარეჟა, მამუკა მდინარის პირზე მიდგა, ხელჯოხი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა და შავად აზვირთულმა ტალღებმა გამხდარი, თეთრი ბიჭი ამოაწვინა.

ბიჭი უაზროდ იქნევდა ხელებს აქეთ-იქით, ცდილობდა, დინებას მორეოდა და ნაპირისკენ გამოეცურა, მაგრამ არ გამოსდიოდა, შავი ტალღები ხან ფარავდა და ხან მალა ისროდა მის გაფთვრებული სახეს. სოსო იყო, ნუგზარას ბიჭი. მამუკა მდინარის ზედაპირზე დიაგნოსტიკურად გადაგდებულ სველ, ტოტებდაჭრილ ხეზე შედგა და ხელჯოხი მოიმარჯვა, სოსო აკანკლებულ ხელებით მოეჭიდა ხეს, შავი წყლიდან ამოჰყო გაღურებული ტუჩები, მამუკას შეხედა, მარჯვენა ხელი გაუშვა ხეს, მისკენ გამოიშვინა და უცებ მამუკამ უკან წაიღო და მინაზე დადგა სოსოზე დაღერებული ხელჯოხი, ბიჭმა ვაკვირვებდა ვერ მოასწრო, ისე მოწყდა სველ მერქანს, მდინარის შავ წყალში ჩაიძვრა, ცოტა ხანში ისევ ამოვარდა ზემოთ, ისევ ჩაიძვრა და აღარ გამოჩენილა.

და როგორც კი ბიჭი წყალში გაუჩინარდა, მამუკა მიხვდა, ათასჯერ რომ ჩამოქრებოდა აქამდე და ამის შემდეგ სოსო წყალს, ათასჯერვე გაუნწვდა ჯოხს, ათასჯერვე ამოიყვანდა, ამ ერთადერთ შემთხვევის გარდა, მიხვდა, რა გააკეთა და ტოტების ტკაცუნის შემოსება, თავი ასწია, მდინარის გაღმა, მწვანე ფოთლებში უძრავად ჩამდგარი თამრო დაინახა, ადგილს მოწყდა და იქით წაჩინაწაღდა, საითაც

წყალმა სოსო წაიღო.

რამდენიმე წუთში ბებრულად მოფახვავდა მამუკას ახალგაზრდების ჯგუფმა ჩაუქროლა, მდინარის მეორე მხარეს ბრდღევინვით ამოვარდა ორი ორხიდანანი ჯიპი, ყვითელი და წითელი, სწრაფად ჩაჰყვა სანაპიროს და მამუკამ მოასწრო წითელი მანქანის ღია ფანჯარაში ნუგზარას გაფთვრებული სახის დანახვა.

სოსო სამი საათის შემდეგ იპოვნეს. ქალაქიდან ამოყვანილმა, ქანდაკებასავით ჩამოთლილმა მამუკამ დიდი ნვალებით ამოათრია ვეება ლოდის ქვეშ გაჭედილი, ჯერ კიდევ თბილი, დრეკადი სხეული და ნუგზარას ხავლი ექოდ მოედო მდინარის თავზე გადმოკიდებულ ტყიან კლდეებს...

სოსოს დასაფლავებამდე არც მამუკას შემოიბია ცრემლი, მაგრამ ეს ბიჭის კი არა საკუთარი თავის დატირება იყო, იმის დატირება, რაც ვერ ქნა და რაც ქნა, და ამან იქამდე არ მოასვენა, სანამ სოსოს დასაფლავებაზე არ წავიდა, ნახა ყავისფერ, გალაკულ კუბოში ჩასვენებული ბიჭი, ატირებული სოფელი, შვილზე დამხობილი დედა, სასახლესთან ხელით მოყვანილი და ხელითვე უკან წაყვანილი, ნოკდაუნში ჩავარდნილი მძიმეწონისანი ბოქსიორით უმწნოდ და საწყალად ქცეული ნუგზარა და იმის შემდეგაც ვერ გაჩერდა, რაც მოშორებით უცხო საფლავებს ამოფარებული დაინახეს. იდგა, იძალებოდა, ტიროდა და ცდილობდა, როგორმე თამროსთვის შეეხებდა, მის თვალბუნი ამოეკითხა ნუგეში, ბრაზი, ვაკიცხვა, ზიზღი, სულ ერთი იყო, რა — ოღონდ კი რამე ეგრძნო, რამეს მიმხვდარიყო, მაგრამ თამრო ჯიუტად აცილებდა მზერას და თავდახრილი იდგა ღამესავით შავ ორ მონაზონს შორის.

და მამუკა ტიროდა. სულ ტყუილი ყოფილა ყველაფერი, რაც იმ სულელურ წიგნებში წაუკითხავს და ფილმებში უნახავს, შურისძიების დროს ის ძველი ტყვილი ახსენდებოდა, გამქრალი სახეები, მოგონებები უდგებოდა თვალწინო, არაფერი ეგეთი არ მომხდარა — სოსომ ქვემოდან რომ ამოხედა და იქედან ნუგზარას თვალებმა შემოანათა, საშველად განოდებული ხელჯოხი უკან წაიღო, მინაზე დადგა და მორჩა, ბიჭი წყალმა გაიტაცა! და სწორედ ამის თქმა უნდოდა მამუკას თამროსთვის. გათქმა, დაჭრა, ნუგზარას საშინელი შურისძიება, არაფერი ეგ არ ანაღვლებდა, პირიქით, გრძობდა, შევას მოჰკვრიდა, რადაცნაირად ელოდებოდა და თითქოს უნდოდა კიდევ, ერთადერთი რაც სურდა, თამროსთან დალაპარაკება, იმის ახსნის საშუალება იყო — რა უქნა დედაბერმა და კიდევ იმის — ათასჯერ რომ ჩამოეტარებინა მდინარეს სოსო, ათასჯერვე გადაარჩინა, რომ სოსოს კი არა, ნუგზარას, მის გამოხედვას, მის თვალებს, საკუთარ სილაჩრეს არ გაუნოდა ხელჯოხი და ჩადენილ საშინელებას მიმხვდარი და არა ამ საქციელის დამნახვეი თამროსთვის თვალის ასახვებზე გაეკვირვებოდა, რადაცნაირად მოხერხდა თამროს მიწადგარი თამრო თავს არ სწევდა და მამუკა ტიროდა...

აღარც კი ახსოვდა, ბოლო თვის განმავლობაში რამდენჯერ აჰყვა მდინარეს, თუმცა ვერსად იპოვა პასუხი. გაივლიდა, გამოვიდა, შეეცდებოდა სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრი, თითქოს გადაჰქონდა კიდევ და უცებ, ისევ მდინარის პირას იდგა და როგორც ცხადში ისე ხედავდა: აი, ბიჭის სველი, აკანკლებული, გაღურებული სხეული, ხეზე ჩაფრენილი თითები, ქუთუნიანი ბერიკაცისკენ განვლილი ხელი, მამუკა ხეზე დგას, ხელჯოხს სოსოსკენ ხრის, მაგრამ მერე რალაც ხდება, მოხუც მწყემსს სახე უქვეავდება, ხელჯოხი უკან მიაქვს, ბიჭი ხეს წყდება, აზვირთულ ტალღებში იშლება, მამუკა თავს სწევს, თამროს ხედავს, თვალბუნი შიში უდგება და ძუნძულად მიუყვება ქვემოთ მდინარეს.

რა სისულელებზე ნერვიულობდა თურმე, ტაძარში ღმერთის სიყვარულმა მომიყვანა თუ დაცინვებს გამოვექცეო? და როგორ არარაობად ჩანს ეს კითხვა, ახლანდელ მოთქვით კითხვასთან შედარებით, როგორ მთავრდება? თქვას, რაც ნახა და ის კაცი განიროს, რომელიც მეგობრად და კეთილად ამამიანად მიაჩნდა? თუ არა, დამალოს, არავის უთხრას და ამ საშინელების მცოდნე უყუროს წლობით იმ კაცს, რომელმაც ამხელა სიკეთე გაუქვეთა ეკლესიას? კრავის ნიღაბაფარებულმა ალავლინოს მისი შვილის სახელზე პარაკ-

ლისები, შესანიერი მიიღოს, მადლობები უხადოს ნუგზარას, ლოცვებში მოხსენიოს მისი სახელი, გულით უსურვოს სიკეთე, ბედნიერება, გამძლეობა. დედა შუშანიკთან ხომ არ მივიდეს, აღსარება უთხრას და რჩევა სთხოვოს? ან ხომ არ აჯობებდა, ჯერ მამუკას დალაპარაკებოდა, მით უმეტეს, ის სოსოს დასაფლავებამდე და მერეც სულ იმის ცდაშია, როგორმე შეხვდეს — არა, არაფერი უთქვამს, თვალბუნი შეატყო. თან როგორ ტიროდა? ნუთუ ასეთი ნაძირალა და პირფერია და ვერ შეატყო ამ ხნის მანძილზე ვერაფერი?!

სამჯერ დააპარა თამუნამ დედა შუშანიკთან დალაპარაკება და თვითონაც არ იცოდა, რატომ გადაიფიქრა სამჯერვე.

— თამრო! — მოესმა უკნიდან და ამ ხმამ დენივით დაუარა ტანში.

შემობრუნდა.

მის წინ მამუკა იდგა.

— შემოცოტა ხნით ჩემთან, სათქმელი მაქვს რალაც.

თამუნამ მიმოიხედა, დღე ჯერ არ მილეულიყო, სოფელს ეღვიდა.

— შემოსელისა გეშინია, არა? — მიხვდა მოხუცი და საცოდავად აუკანკალდა ნიკაბი.

თამუნა გაუბედვად დაიძრა მამუკას ქიშკრისკენ.

ეზოში არაფერი შეცვლილიყო, ყანგიან პირსაბანთან ძველებურად ეყარა დაჭრილი შუშა, გაბოლილი მიწურიდან ძველებურად მოჩანდა კედელზე გაკურული ღვთისმშობლის ხატი, მიშველ კაბელზე ჩამოკიდებული ნათურა ძველებურად ირწუნოდა თეთრი მაგიდის თავზე, მაგრამ ეს მაინც სხვა ეზო იყო. ამ ერთ თვეში უეცრად მოტეხილი მოხუცი მძიმედ დაეშვა სკამზე, ხელჯოხი კედელს მიაყუდა და თამუნას ისევ ცხადად წარმოუდგა ის საზარელი სურათი.

— ისაა... სათქმელი მაქვს რალაცა შენთვისა და... ოღონდ ჯერ მომიხმინე და მერე... — დაიწყო ბერეკაცმა.

— მამუკა! — გაისმა გარედან.

თამუნამ ქიშკრას გახედა, ხის გამოღებულ კართან მთლად გაჭაღარავებული ნუგზარი იდგა, ძარღვიან სხეულზე ადრე მტკიცედ მომდგარი შავი პერანგი ჯვალოსავით ეკიდა დაჩივებულ მხრებზე.

— მოდი! — რალაცნაირად გასძახა გაფთვრული მამუკამ სტუფარს.

ნუგზარი ფრთხილად შემოვიდა ეზოში, წელი ნაბიჯით წამოვიდა მათკენ.

— სალაპარაკო მაქვს შენთან, მამუკა, — თქვა და მათ გვერდით ჩამოჯდა სკამზე.

— მე ნავალ და მერე შემოვივლით, — ფეხზე წამოდგომა დააპირა თამუნამ.

— არა, — პირველად მოკიდა მაჯაზე ხელი ნუგზარმა, — მგონი, ეგრე სჯობს... სჯობს კი არა, უკეთესიცაა, რო აქ ხარ, დაჯექი.

თამუნა დაჯდა.

ნუგზარმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, ჯერ მამუკას შეხედა, მერე თამუნას, შემდეგ თავი დახარა და დაიწყო:

— ერთი თვეა... სოსოს გარდა... სოსოს ამბავის მერე ვაპირებ რო მოვიდე, გითხრა და მერე შენ გადაწყვიტო, როგორ მოემექცე... და ძალა არ მყოფნიდა, ეხლაც ორჯერ ღამის უკან ვაგერუნდი, მარა ეტყობა, იმან არ გამიშვა და აქ რო მოვედი და დედა თამარი ვნახე, მივხვდი, რატომ არ მიმბრუნა უკან! მამუკა! — წამით გაჩერდა ნუგზარი, — ის ხალხი, ვინც მამაშენი მოკლა ჩემი მოგზავნილი იყო! თქვენ ოსები იყავით, მე ქართველი. არც მაშინ და არც მერე, მკაცრად გამო სინდისი არ მანუხებდა! ფიქრი გვიანდა დავიწყე, როდესაც უფალმა დამსაჯა, სოსო წამართვა, შენ კიდევ იდექი და შვილივით დასტიროდი! მაპატიე! — ხმა გაბებარა და თვალბუნი ცრემლით მოანვა, — მაპატიე, რაც ჩავიდინე! მითხარი, რომ მაპატიე და მერე თუ გინდა, ცხენს გამოგაძიე და სოფელ-სოფელ მათრე, ოღონდ კი მითხარი, რო შენ მაპატიე, იმიტომ, რომ იმან არ მაპატია ჩემი ბიჭი... ჩემი სოსო ხომ უდანაშაულო იყო! — თავი ჩაჰქინდა ნუგზარმა და მწარედ ატირდა.

ისხდნენ გვერდიგვერდ ჭაღარა, ატირებული კაცი, სამხედრო ქულაჯაში გახვეული მოხუცი, შავებში ჩაცმული მონაზონი და ერთმანეთის შეხედვისა რცხვენოდათ.

ცის ფრიალო კალთებიდან თეძამის ხეობაზე ნელა წვებოდა ბინდი...



\* \* \*

როცა არყოფნა შორს აღარ არი —  
გულს უკეთ ესმის ძველი ზღაპარი,  
ძველი იგავი და ძველი მითი...  
და გული ხვდება —  
შებინდებისას  
რად  
გალობს  
ჩიტი...

\* \* \*

ოფისის ბაღში, ჩემი ფანჯრის წინ,  
უცნაური —  
პატარა-ფაქიზ-თეთრ-მოვარდისფრო  
ფოთლებიანი ყვავილებით  
აყვავდა ფეხბოა...

ჩვენთან ნაყოფს არ ისხამს —  
და მაინც ყოველ წელს  
ყვავის...

**PANASONIC**

არავინ იცის დანამდვილებით,  
რა გამოგადგება კაცს და რა — არა...

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ეს ტელევიზორი —  
Panasonic-ი — 20 წელზე მეტ ხანს გაძლებდა?!  
მახსოვს, 1997 წელს შევიძინე ისინი იმ დროს  
არსებულ ბაზრობაზე... არც ნაცნობი მყავდა,  
არც მრჩეველი: ძველი საბჭოთა ტელევიზორი  
გარდამეცვალა და, სულ სხვა რამის საყიდლად  
მისულმა, თვალი მოვკარი Panasonic-ს...  
გამოველაპარაკე გამყიდველს, მეძვირა...  
ნაილე, არ ინანებო — სანდომიანი გარეგნობა  
ჰქონდა და მეც ვენდე, ვენდე იმჟამად,  
როცა არავინ არავის ენდობოდა  
და წამოვიდე...

ჰოდა, აგერ 2017 წელი გადის, Panasonic-ი კი  
ისევ მუშაობს: შარშან — ოთახიდან სამზარეულოში  
გადმოინაცვლა, დგას ფანჯარასთან და უჩვენებს...  
რას აღარ გაუძლო! — სტაბილიზატორიც კი არ  
შემიმეველებია იმ ბნელ დროს, შუქის გამორთვებს  
რომ არ წაეხდინა...

არ წახდა, ყველაფერს გაუძლო... და უძლებს  
ათას სიმწარეს და სისულელეს, ეთერი  
რომ აფრქვევს ყოველდღიურად... უძლებს —  
მოლოდინის სიმბოლოდ გადაქცეული...

ეგრეა:

არავინ იცის დანამდვილებით,  
რა გამოგადგება კაცს და რა — არა...

\* \* \*

მე მესიზმრება ჩვენი ძველი სახლი,  
ვარანცოვზე, პლატონის ქუჩაზე რომ იდგა,  
მე თითქმის ყოველდღე მესიზმრება  
ჩვენი ძველი სახლი: თითქოს ისევ იქ  
ვცხოვრობო, მაგრამ სახლი გაყიდულია  
და ახალი მფლობელი მალე გამოგვყრის  
გარეთ...

და დანგრეულიც მესიზმრება: დავდივარ  
პლატონის ქუჩაზე, ნანგრევებში და 6-ის  
რაიმე ნიშანს დავეძებ...

ვიცი, დიდი არქიტექტურული ღირებულება  
არ ჰქონდა არც ჩვენ სახლს და არც პლატონის  
ვინრო, პატარა ქუჩას მთლიანად, მაგრამ...  
ჩვენ, ყველას ხომ ორი სამშობლო გვაქვს:  
ერთი — საერთო და ერთიც — კერძო,  
ერთი ბენო, სახლი ან ბინა, სადაც ჩვენი  
ბავშვობის ქირომანტიული ქსელია  
სამუდამოდ აღბეჭდილი...  
გამქრალშიც კი...

\* \* \*

*შოზე სარამაგუდან და  
ლექსო დორეულიდან*

ნეტავ, მე თუ მესიზმრება ის სიზმრები,  
ჩემს მშობლებს რომ ესიზმრებოდათ,  
ან ჩემი მშობლების მშობლებს, ან ჩემი  
მშობლების მშობლების მშობლებს?...  
მაგალითად — პაპაჩემი გარსევანის  
დედ-მამას — პელაგიას და პეტრეს,  
დიდი, მძიმე ქვების ქვეშ რომ განისვენებენ  
კუკიაზე?..

ეგებ გენეტიკის კანონები სიზმრებზეც  
ვრცელდება? კარგი იქნებოდა, ასე



**ნუგზარ ზაზანაშვილი**

რომ ყოფილიყო და თან მცოდნოდა,  
რომ ასეა...

და  
მიუყვები აღმართს კუკიისკენ  
ფერიცვალების დღეს  
უბრალო წითელი ტიტებით ხელში...

\* \* \*

*ისევ გალაკტიონიდან*

თოვს და ხმაურიან ქუჩებს  
თოვლი მალე გააყურებს

თოვლი მალე დაამშვიდებს  
მანქანებით სავსე ხიდებს

თოვლი მალე დააწყნარებს  
რესტორნებს და კაფე-ბარებს

უფრო ხშირად უნდა თოვდეს  
ფიქრებს  
მეტი  
დრო რომ  
ჰქონდეთ

\* \* \*

მხოლოდ ამ პლანეტაზე  
და მხოლოდ სანამ აქ ხარ  
შეიძლება თავბრუ დაგებვის  
მშვენიერი სუნამოს  
ლიფტში დატოვებული  
გამაბრუებელი სურნელისაგან  
წარმოსახვის გამაღიზიანებელი  
სურნელისაგან  
ფანტაზიების გამომწვევი  
სურნელისაგან

და მერე რა რომ ეს თავდავიწყება  
სულ ორი წუთი გრძელდება  
ლიფტის კარის დახურვიდან გაღებამდე

სამაგიეროდ  
მშვენიერის მოლოდინი რჩება სამუდამოდ

\* \* \*

ახალციხეში 22 აგვისტოს 23:30-ზე  
ვზივარ ქალაქის პარკში, ბიბლიოთეკასა  
და სასტუმრო „ლომისა“-ს შორის...

ნეტავ, რა ხდებოდა აქ 22 აგვისტოს  
23:30-ზე 300 წლის წინ, ან რა მოხდებოდა  
300 წლის შემდეგ?..

სწრაფი ნაბიჯით მიახლოვდება გამხდარი  
ყმანვილი და სიგარეტის მოკიდებას მთხვებს...  
ვანვდი თეთრ სანთებელას...

— მაღლობა...

— არაფრის...

ყმანვილი სწრაფი ნაბიჯით აგრძელებს გზას...

რა ჰქვია ამ ბიჭს, ან რა ბედი ელის?..  
რამდენი რამეა, რაც უცნობი დარჩება ჩემთვის!..

ანკი დარჩება რამე ცნობილი?..

\* \* \*

სამეცნიერო სახელები ყველაზე მეტად  
ღრუბლებს უხდება:

*კუმულოსტრატუსი,  
სტრატოკუმულუსი,  
კუმულონიმბუსი —*

თითქოს შუა საუკუნეების,  
კონუსისებურქუდიან ალქიმიკოსებს  
დაურქმევიათო, უცნაური ფორმის  
კოლბებითა და უცნაური ფერის  
სითხეებით სავსე, უცნაური  
შენაერთების ბოლით დაბინდული  
სარდაფების მყუდროებაში...

ჰოდა, არის ამ სახელებში  
რალაც *Harry Potter*-ულიც...  
თან ღრუბლები ხომ ბავშვობასავით  
ჩვენთან ერთად არიან ყველგან —  
ზანავეცი, ზაქათალაშიც და  
ზალცბურგშიც:

*კუმულოსტრატუსი,  
სტრატოკუმულუსი,  
კუმულონიმბუსი...*

\* \* \*

*ბერგმანიდან*

1

უცხო ქალაქში, საღამო ხანს  
ვზივარ ბაღში — ჩვეულებისამებრ.

ჩვეულებისამებრ — ეშვება სიფრიფანა,  
გამჭვირვალე ფარდა,  
სხვისი თვალისთვის შეუმჩნეველი.

ფარდის იქით, ოდნავბურუსში დასიერნობენ:  
ჩაკონილ-ჩახუტებული წყვილები,  
სერიოზული პაპა ხელში დროშასავით  
ატაცებული ჩვილი შვილიშვილით,  
შუახნის ცოლ-ქმარი — შუა ჩაყენებული —  
ორმხრივი ხელგაყრით შემაგრებული —  
ნაინსულტარი დედა-სიდედრით,  
ხმელ-ხმელი, დაუთოებულშარვლიანი  
ქალბატონი კოხტა პუდელით...



თითქოს კინოთეატრში ვუყურებ რომელიღაც ფილმს.

2

ხეები მსხვილი ხედით

თუთა  
ტირიფი  
ცირცელი  
ვერა  
ვერავინ გიშველის

ცაცხვი  
იფანი  
ჭადარი  
ნუ ეძებ  
ის აქ არ არის

ფიჭვი  
ურთხელი  
ტუია...  
მანც არ მნამს რომ ტყუილად  
აი ამ წამს  
აი ამ ბაღში  
ბურთს დასდევს  
აი ის ბავშვი...

\* \* \*  
ავტობუსში ადგილს რომ დაგიტოებენ,  
მაშასადამე...

რას ამეკვიატა ეს „მაშასადამე“ —  
უკვე მესამე ლექსში ცდილობს ჩაბუღებას...

სად — მე  
და სად — მაშასადამე?  
თუმცა, ეტყობა, ასაკს უხდება...  
შესაფერისია,  
სერიოზულია,  
საფუძვლიანია...

ასე ვფიქრობდი ჩემთვის ავტობუსში  
და ამ დროს მომესმა:  
„ახლა ყოველივე უკვე გვიანია —  
მორის ფოცხიშვილი ცოლ-შვილიანია“ —  
დანერაო მორისმა...

\* \* \*  
„სიბერის ნიშნებიდან“

რა სწრაფად გარბის დროო —  
გაოცებულია ყოველი  
ახალდაბერებული

დრო კი არსად გარბის  
დგას და  
თვალე- და ტუჩებშიხატული  
მრგვალსახიანი საათივით  
იღიმება



მანანა ქურდაძე

\*\*\*  
აფეთქდნენ შავი ყუთები  
და ამბებს სიზმრებად ყვებიან,  
გზებს გადავეყარე შფოთიანს,  
სიზმრები, ეს ჩემი გზებია.  
დახუჭეს მამებმა შვილები,  
ალბომებს დაადეს ბოქლომი,  
დარბიან ფეხებზე ქოხები  
და ფრენა ისწავლეს ცოცხებმა.  
გზებს გადავეყარე შფოთიანს,  
სიზმრები მოდიან, მოდიან...  
ამბობენ, გათხელდა ოზონი,  
გასკდება საპნის ბუშტივით,  
გარეთ კი, გარეთ ჩიტები,  
ჭიკჭიკ-გალობენ-უსტვენენ.  
გზებს გადავეყარე შფოთიანს,  
სიზმრები ეს ჩემი გზებია,  
მზეები მჩხვლეტენ და მზერავენ,  
ვერავინ ვერ მისწვდა შუბის ტარს,  
უბეში კვლავ ჩხავის ის ყვავი,  
ბავშვობის სიზმარი, ზმანება,  
სული და სხეული გავყავი,  
არც სისხლი დამენანება...  
გზებს გადავეყარე შფოთიანს,  
სიზმრები, ეს ჩემი გზებია,  
აფეთქდნენ შავი ყუთები  
და ამბებს სიზმრებად ყვებიან.

\*\*\*  
ჩემი თვალებიდან გამოდიან  
შუქის უხილავი ნაპერწკლები,  
არსად არიან და თან არიან...  
ჯადოს ავსხნი და დავენევი  
იმ მთასა და ცხრა მთას იქით  
გადაკარგულ ჩემს სულს,  
უკვდავების წყაროს მძებნელს...  
უხილავია ჩემი გასვლა,  
სამიზნე მზეა ცხელი ლავით,  
ორჯერ-ორი რომ ოთხია ისე,  
არაფერი არ იცვლება მალვით.  
ჩავეკეტე თავი ამ ოთახებში,  
ამ კედლებში და სამყაროს გაღმა,  
ხილვები ქმნიან ყოფის სიუჟეტს,  
ქვას ვეზიდები მალა და მალა.  
და იმ მთასა და ცხრა მთას იქით  
შევახე მზერა გვალვის მირაჟებს,  
ავსხენი ყველა ჯადო და ნავსი  
და თვალებიდან დღე ირიჟრაჟებს.

\*\*\*  
დღეს ხე ნაიქცა,  
ქარია უსაშველო,  
არ მახსოვს როდის  
დავმეგობრდით,  
არ ვიცი, რით ვუშველო.  
იდგა ამაყი და თავმომწონე,  
იდგა და ჩიტებს იფარებდა,  
ცოდვას გავამხელ და მიფიქრია,  
ნეტავ რას ატუზულა ჩემს ფარეხთან...  
და ახლა გდია მოცელილი,  
ბებერი, ხმელ-ხმელი ფულურო,  
ტანი ნატანჯი და დასერილი  
ცრემლი მახრჩობს და ვუყურებ,  
როგორ ეზიდება სულს ზეცისკენ,  
ხსოვნაში ტოტებ ზურმუხტი,  
ახლა კი ქარმა მოცელა და  
ბებერმა მუხლებმა უმუხთლა.

\*\*\*  
დაქრის სიო, თუნდაც ქარი,  
აჭრიალებს ანჯამებს,  
მოვა მიქელ-გაბრიელი,  
ცოდვა-მადლს შეაჯამებს...

და ცხოვრება ასეთია,  
ინილო და ბინილო,  
გინდა ახტი, გინდა დახტი,  
თუნდაც ბევრი ინივლო,  
იხურება ყველა კარი  
სახლისა თუ სამოთხის,  
მერე ვინმე მესაფლავე  
ორ ადლ მინას ამოთხრის,  
ცრემლს ღანვებთან შეიმშრალეს  
უცნობი და ნაცნობი...  
და სიკვდილი ჩაიქროლებს  
ცეკვითა და ანცობით.

\*\*\*  
მე შენი ფიქრების მონმე ვარ  
და შენი დუმილის „ქაჯანა“,  
და ჩვენი ინილო-ბინილო,  
რითმან კიბური, მაჯამა.  
რამდენი წრე და გორგალი,  
ვიარეთ, ვართეთ, ავბურდეთ,  
კუდმაკრატელა მერცხლები  
ჩემთან მოვიდნენ, დაბრუნდნენ...

\*\*\*  
ასეთი იყო დედაჩემი,  
ოქროსხელება და ოქროსგულა,  
თითები ქონდა თლილი, თბილი...  
წერომ მომიყვანა ღრუბლის ფთილით.  
ასეთი იყო დედაჩემი,  
მასწავლა აი-ია, თასი, თითი,  
თვალეში ჩემი მზე ჩაიგუბა,  
ცხოვრებას ვგორკნიდით და ხან ვთლიდით.  
ასეთი იყო დედაჩემი,  
ჩემთვის რძე მოჰქონდა ტკბილზე ტკბილი,  
ჰაერს საცერში მიტარებდა,  
ერთად მოვიცვალეთ ყველა კბილი.  
ასეთი იყო დედაჩემი...

\*\*\*  
ყველა კედელზე ვწერ თეთრი ცარცით,  
ჩემი ბავშვობის დაფად ვაქციე,  
რომ ორჯერ-ორი არ არის ასი  
და ფასდაკლების სრული აქცია  
არ მერგო... სულელს დღესაც მგონია,  
რომ თამასუქებს ყრიან ზეციდან,  
რომ ჩემი ტვინის ფინანსურ სფეროს  
ამუნათებს ჩემი არცოდნა მათემატიკის  
და ჯამში ყველა უტოლობა  
ნულის ტოლია,  
როცა არ იცი ანგარიში და  
დებ ყალბ ფსონებს,  
მაშინ ცხოვრება რა იოლია.

შვიდი ქვა

ჩვენს ეზოში, იქვე სახლთან,  
შვიდი ქვა მაქვს დამალული,  
დიდ-პატარა, სიპი, ბრტყელი,  
გზა ჩემი, ბავშვობასთან,  
ავანყობ და დარდებს ვდევნი.  
შვიდი ქარი, შვიდი ცეცხლი,  
შვიდი წვიმა გადმოვლახეთ,  
სახელებიც დავარქვი და  
მოგონებებს დავენაფეთ.  
შვიდი სევდა, შვიდი ცრემლი,  
შიგადაშიგ ღიმილებიც...  
აუშენე ჯვებირები  
და ბურთს ასე ვემალებით.  
როგორ ხშირად დამინგრის,  
შვიდი ქვა და შვიდი ზეცა,  
ვაშენე და ვაკონინე,  
რკინის ქალამნები მეცვა...  
ჩვენს ეზოში იქვე სახლთან,  
შვიდი ქვა მაქვს დამალული...

მარიამ სულამანიძე  
კინალამ ხე

ზოგჯერ იქ, სადაც სიმშვიდეს ელი, სინამდვილეში გამაყრუებელი სიჩუმე დგას. თითქოს ორივე ერთმანეთს გავს, მაგრამ დამიჯერეთ, სრულიად სხვადასხვა რამეა.

\*\*\*

ძალიან მინდოდა, სახლიდან ჩემი წასვლა შეემჩნიათ და ვინმეს გავეჩერებინე, ამიტომ კარი ხმაურით გავიკეტე, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. მარტო ეზოში მდგარი ჭადარი აშრილდა ჩემი წასვლის გამო. არა, ბაბუ, აქედან შორს ყოფნა მინდა-მეთქი — ავძახე გაგულსებულმა და ეზოს კარებში გავფართხუნდი. მას შემდეგ გადავწყვიტე, ხე გავმხდარიყავი.

ხომ გინახავთ დიდი ხეები, სახლებს რომ ჩრდილავენ და ეფარებიან? ბაბუა მიყვებოდა ხოლმე, ეგენი, ბაბუ, შენი წინაპრები არიანო. აბა, რა გული გამიძლებს, რომ აღარ ვიქნებიო და:



ხედ მოვალო...  
თქვენ დაგხედავთო...  
სახლს მოვუწრდილაო...  
ფოთლებს გამოვისხამო...  
ჰამაკი ჩამომვიდეთო...  
ხმელი ტოტებით გათბითო...  
ბაბუ რომ წავიდა, იმ წელს ჩემი ოთახის ფანჯრის წინ, საიდანაც და თავისით ჭადარი ამოვიდა. ვიცანი მცენარედ ქცეული ბაბუაჩემი, ყოველ დღე ვრწყავდი და: ბაბუ, დილა მშვიდობისა-მეთქი, ბაბუ, მალე გაიზარდე-მეთქი, ბაბუ, დღეს ხუთიანი მივიღე-მეთქი, ბაბუ, მჭადის ცხოვრება ვისწავლე-მეთქი... და რას აღარ ვუყვებოდი ხე-კაცს.

ჩვენი სოფელი მთის ძირას არის გამაღვილი. ოდესმე ადამიანად ყოფნა თუ მოგზავრდათ, გასამხნევებლად მთის წვერზე ადით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მზის ჩასვლას ნახავთ და ყველაფერი არც ისე ცუდად მოგჩვენებათ, როგორც არის (ალპინისტები ამიტომაც დადიან ამდენს). მეორე იმიტომ, რომ გზაზე ტყეში მოგიწევთ შევლა. თუ ყველა ხე, ბაბუაჩემივით ყოფილი ადამიანია, მაშინ ხომ ხვდებით, ტყე რანაირი ადგილი გამოდის? ჯადოსნური. უბრალოდ, შეგიძლიათ რომელიმე ხე ამოარჩიოთ სამეგობროდ, ჩაეხუტოთ და რაც გინდათ, ის მოუყვეთ. მოსმენაზე უარს არც ერთი გეტყვით, ზოგ-ზოგიერთებისგან განსხვავებით!

ისეთი გაბრაზებული ვიყავი, არც კი მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი მთის წვერზე. აქედან ჭიამაიას შავი წინკლივით ჩემი სახლი ჩანდა, დაბლა კიდევ მთელი სოფელი.

ორმოს ამოჩიქვენა დავინწყე, ღრმად ამოვთხარე. მერე ფეხებით ჩავედექი შიგნით და ირგვლივ დაგროვილი მიწა ზედ მივიყარე. ხელები მაღლა ავწიე, გავშალე — ტოტებად თითები გავფშოკე, წელში გავსწორდი და გაეხვედი. ასე თუ გაევაგრძელებ, გაზაფხულზე ვიყვავილებ კიდემეთქი — ვფიქრობდი. კიდევ ათას რამეზე ვფიქრობდი და საერთოდაც ხეები რომ ტიროდნენ, ვიტირებდი, მაგრამ თავის, უფრო სწორად, კენწეროს დაჭერა მშვენივრად გამომდიოდა. თუმცა, ერთ ადგილზე გაუნძრევლად დგომა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

მოსალამოვდა. აცივდა. ციციანთელეები გამოჩნდნენ. ქვემოთ ჩემი სახლიც უძრავი ციციანთელასავით მოჩანდა. შენ მოხვედი. გაკვირებულმა ორჯერ შემომიარე. ისეთი სასაცილოდ გაცივებული იყავი, ჰორიზონტივით ლურჯი ხე რომ არ ვყოფილიყავი, აუცილებლად დავცინებდი.

— ასე ხელეზავდაგიკილი რატომ დგახარ? — მომაშტერე თვალები, გაცივებისგან ორი ახლადგამოჩენილი კითხვის ნიშანი რომ გეჯდა.

— ვერაფერს გეტყვი, არ ვლაპარაკობ, — გაგეცი წინასწარ მომზადებული პასუხი.

— აჰა, ეს მოიხურე, გაცივდები! — შენი ზედა მომახურე, დედაშენმა რომ მოგიქსოვა. ახლა მარტო შენ გაცივია სკოლაში ასეთი ტანსაცმელი, მშობლის ზრუნვის კვალი რომ ამჩნევია.

გავთბი. — იმათ ხომ არ ვუკითხვიარ? — სხვათაშორის დავინტერესდი.

— რა ვიცი, ჯერ არა.

— არც ერთს? — იმედიანად დავაზუსტე.

— არც ერთს... — მიპასუხე ხმადაბლა და თავი ჩალუნე.

მეცინა.

— ვერ მხედავ, რომ ხე ვარ?!

— მერე, რა გაყვირებს?

— ჰოდა, აღარ მაინტერესებს ეგეთები!

— მე რა შუაში ვარ, შენ თვითონ არ მკითხე?! — დაბნეულმა შემომანათე თვალები.

— ნუ მელაპარაკები!

დაბლა, შეიძლება ითქვას, ჩემს ფეხებთან ჩამოვჯექი.

— მე გეტყვობდი, — ჩაიბურღლუნე, — და ეს ლამაზი კაბა რომ არ გცმოდან, ვერ დაგინახავდი.

გამიხარდა. შემაძრინე.

— დავალება გვაქვს ხვალისთვის დასანერი, — სასწრაფოდ დაამატე.

ნახევარი საათი იყურყუტე. შეგიცივდა და წასვლა დააპირე.

— ამით ვერაფერს ვერ შეცვლი, უბრალოდ ხე იქნები, არაფრისმთქმელი.

— მე მთქმელი ხე ვარ!

— ხეებს წითელი სარაფნები არ აცივათ, — მზრუნველად შემომხედე, გაგელიმა, ისევე ორჯერ შემომიარე, გაიქცე და — იქერო — მომაძახე გამომწვევად.

ბევრი არ მიფიქრია, გამოგეკიდე, ორმოში ჩაფლული ფეხებიდან ავინწყვიტე.

— მოლაპარაკე ხე მომდევნებს, მიშველიევეთ, — დაღმართზე მიქროდი და იცი-ნოდი.

ეზოს კარი ბედნიერმა შევადე. როგორც ველოდი, ჩემი არც წასვლა და არც მოსვლა არავის შეუმჩნევია, მაგრამ მერე რა?! იქვე მდგარი ბაბუაჩემი დავინახე და:

ბაბუ, დავბრუნდი-მეთქი...

ბაბუ, წელან კინალამ ხედ გადავიქციემეთქი...

ბაბუ, მგონი, ერთი ვილაც მომწონს-მეთქი...

და აღარ იყო სულერთი. და აღარ მინდოდა ხედ ყოფნა...

ციდან

დღეს 4 საათზე დედაჩემი დამეკარგავს, ფილტვები გამეგლიჯება. თუმცა, აჯო-

ბებს, თავიდან დავინყო მოყოლა, თან კარგი ამბიდან.

\*\*\*

რვა წელი ვიცოცხლე. უფრო ზუსტად, რვა წელი, ექვსი თვე და ორი კვირა. მე თუ მკითხავთ, ესეც საკმარისია მნიშვნელოვანი რაღაცების მოსასწრებად: ვისწავლე კითხვა, წერა, დათვლა; უამრავი ზღაპარი და ლეგენდა მოვისმინე; ვიცი, რომ ძაღლებს ბებიების პროთეზი არ ერგებათ; კლასში ყველაზე ლამაზმა გოგომ მაკოცა; გაეზარდე ორი ფისო — ჩიპო და ჩაპო; სანამ საავადმყოფოში მოვხვდებოდი, თევზებს ვუწვდი; გადამწვარი ნათურების გამოცვლაც ვიცი. სულ ეს არის ჩემი მოკლე რეზიუმე.

დავიბადე ბიჭად. ჩვენთან რომ იტყვიან, რთულია ადამიანის გაგებაო, მართლა ეგრე ყოფილა. იმდენი ვინვალე, დავბადებულადავ, ძლივს გამოვეტიე და ამეტირა თუ არა, ეგრევე ყველას გაუხარდა. გულახდილად რომ გითხრა, არ ვიცი, რატომ ვიბადებოდა. უფრო სწორად, ამის შესახებ ზუსტ ახსნა-განმარტებას არავინ იძლევა. ყველაფერი ძალიან ბუნდოვანია. დაახლოებით ისეა, ახალი ტექნიკა რომ იყიდოთ და ინსტრუქცია არ მოჰყვება.

\*\*\*

ჩვენს სახლში ლავანდის სუნი დგას. დედა ყველაფერს ლავანდის სურნლიანს ყიდულობს: სარეცხის ფხვილს, აეროზოლს, სუნამოებს, საპონს. ასე ამბობს, შეყვარებულები რომ ვიყავით, მამაშენი მჩუქნიდა ხოლმე ლავანდებსო. «ეხლა რატომ აღარ გჩუქნის-მეთქი?» — ვკითხე და «ეეჰოო», — ამოიხრა. თურმე, მამას სულ არაფრის ფული ჰქონდა დედა რომ გაიცნო. დედა კიდევ, იცინოდა და იციბოდა, მერე რაო, ერთმანეთს ხომ ვყავართო, ეუბნებოდა. იმდენი ვეხვებოდა ხატებს, სანამ მამაშენმა სამსახური არ იშოვო. მერე დაანინაურესო. მერე კიდევ დაანინაურესო. მერე, უცებ სამსახურიდან გამოუშვესო და იმ დღის მერე შეიცვალაო. გაბრაზებულ მამას ყველა ხატი კარადის თავზე შეუნახავს. დედა ამ ამბავს რალაცნაირად შებორკილი ჰყვება და ისე რცხვენია, თავს ზემოთ ვერ სწევს. არადა, დე, შენი რა ბრალია, ასეთ რამეებზე ხომ ზემოთ სევდიანად ელიმებო და მეტი არც არაფერი ხდება.

\*\*\*

სკოლაში სიარული ისე მიყვარს, როგორც ჩვენს კატებს შამპუნით ბანაობა. სანამ მასწავლებლები მოწყენილი ბუე-ბივით სხედან, უფასო შოკოლადს არავინ გვირიგებს, გაკვეთილზე ერთ ადგილზე ჯდომა და მოწყენილობისგან კვდომა გვევალება, სკოლას სხვას ვერაფერს ვერ დავარქმევ თუ არა თორმეტწლიან მახეს. ასე რომ, უნდა ვაღიარო: დიახ, მე ვიყავი ის უზრდელი ბავშვი, ყველაზე ცხვირჩამოშვებულმა მასწავლებელმა ზედმეტი სიხარულის გამო დერეფანში რომ გამსვა. კიდევ კარგი, მარიც თან გამომაცოლა. მარის არაფერი დაუშავებია. მე მარის ვუყურებდი და მიხაროდა. ის კიდევ ჩუმიად, მოწყენილი იჯდა. რომ ვუთხარი — «მარი რა ბედნიერებაა, ჩემსავით ოროსანი რომ



\*\*\*

წელს რომ დიდი, შხაპუნა წვიმა მოვიდა, ბაბუს ვუთხარი, ბაბუ, გარეთ წამოდი-მეთქი. წამოვიყვ. ჩვენს ქუჩაზე ერთი გუბე არ გამოგვიტოვებია, ყველაგან ჩავეჭყლაუნდით. ბაბუ იცინოდა და რალა დროს ჩემი ესეთებიო, როხროხებდა. სულელებს ასაკი არ აქვთ, ბაბუ-მეთქი. ეგ ვინ გითხრა, შე მამაძაღლოო? მე ვუთხარი, მასწავლებელმა-მეთქი (ყველაფერს ჭკვიანურს ჩემს მასწავლებელს ვაბრალებ). იდგა ბაბუა თვალებგამშტერებული, გუბეებს გაჰყურებდა და ეტყობოდა ახალგაზრდობის რომელიღაცა მოგონებას უღიმოდა. უჰ, რა წვიმაა, ააცეკვებს კაცსო — როცა გამოფხიზლდა, ეს თქვა. იცეკვე, ბაბუ-მეთქი. მერე ახლა რომ ვიცეკვე, არ იფიქრებს მთელი სამეზობლო, გამოჩენიერებულა ამხელა კაციო?

ზოგჯერ გვეჩვენება, რომ უფროსების არგუმენტები ისეთია, წყალი არ გაუვა, თუმცა, ვერ გავიგე, მერე რა, თუ გამოშტერებულ მოხუცს დაგიძახებენ ზურგსუკან იმის გამო, რომ წვიმაში მოგიწინა ცეკვა?

მერე რა?!

\*\*\*

სკოლიდან მოვედიოდი, ქუჩაში რომ დავეზღნერთე და მუხლი ვიტკინე. ვერ გავიგე, რა საჭიროა ასფალტი? არ შეიძლება ასფალტის მაგივრად მიწა ან ბალახი ეფინოს? ასე მგონია, ცოტა ხანში ჩვენი პლანეტა ველარ ისუთქებს. ერთი თუ დააცემინა დედამიწამ, ხომ აიწყვიტავს ყველა ასფალტს, რაც ასე გულმოდგინედ დააგეთ და დააკარიო?! არ მიყვარს ქვები. მიძიებები და უსიცოცხლოები არიან. ადამიანების მოხტუნავე გულიც რომ ქვას ემსგავსება, ალბათ ამიტომაც გვაგზავნიან. რომ მეტკინა, მეწყინა და ტირილი დავინწყე. ცრემლები საოცარი გამოგონებაა. გეგონება ღრუბელი ხარო.



# გვანცა დოღუაშვილი (ბა)დაპრჩით

**\*\*\***

გვიყვები ექიმებზე — ჩემს თუ სხვისაზე, და მათზეც, ვინც ვერ მოასწრო ჩემი ექიმი ყოფილიყო. სამმა თეთრხალათიანმა საოცარი გულმოდგინებით მოქეცა ჩემი ნატკენი მუხლი. ათასი რამ გადამაყვალა და ნამისვებს. ვერ ვსუნთქავ-მეთქი, რომ ვთქვი, გაუკვირდათ. იფიქრეს, სად მუხლი და სად სუნთქვაო. იცით, არის რაღაცები, რასაც ექიმები ვერ მიხვდებიან იმიტომ, რომ არაა საჭირო, მიხვდნენ.

მობრძანდით, მობრძანდით-მეთქი, ვეუბნებოდი ექიმებს და გასასინჯად ფილტვებს ვუშვებდი. არ მიყვარს, გამომხვიდობების პროცედურები რომ იწლებ. ფილტვები რომ გადამიღეს, შემფოთდნენ და შექოთქოთდნენ. დიაგნოზი თქვენთვის შიმის მომგვრელი სიტყვაა, ჩვენთვის სახელში დაბრუნებას ნიშნავს. ასეთ დროს, რომელიმე ყველაზე ბუნჩულა ექიმი, თვალში სევდაჩაგუბებული და გულში კუმშული, ჩვენს მობრძობთან მიდის და ისეთ რამეს ეუბნება, რომ ზოგჯერ მამებიც კი ტირიან. ჩემს მამას არ უტირია, მაგრამ იმისიმიტომ რაღაც ჩანყდა შიგნით, გავივინე.

**\*\*\***

რა ჯობს 38 გრადუსიანი, ორ-სამ დღიანი სიცხეს. ყველა თავზე გველება. სკოლაში არ მოდიხარ. ნებას გრთავენ, დედას და მამას ოთახში დაიძინო და ძილში, რამდენი სიმართლეც უნდა წამოგცდეს, არ ინერვიულებ. ყველა იფიქრებს რომ ბოდავ-ჰა-ჰა, ერთი კოვზით მეტი „პანადოლის“ დალევა მოგიხდეს.

შესანიშნავი გამოგონებაა მოგონებები. აი, წევხარ სანოღში სიცხიანი, ვერც ვერაფერს თამაშობ, ვერსად მიდიხარ, მაგრამ გაიხსენებ იმას, რაც გაგახარებს. ალბათ გულში დიდი სკივრი გვიდგას და როცა რამის გახსენება გვინდა, შიგნიდან ვაგორებთ მოგონებებს და ვტკბებით. დედა და მამა რომ დანვინენ, ათას რამეს ვიხსენებდით. მერე მე დამეძინა (მაგრამ ძილში მესმოდა), განთიადამდე ხან დედა ამოაგორებდა სკივრიდან ამბავს, მამას ჰკითხავდა — „გახსოვსო?“ ხან მამას ამოჰქონდა ათასფერად მოეღვარე მოგონებები და დედას გულში უგორებდა. იმდენი „გახსოვს“ ჰკითხეს ერთმანეთს, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ერთად უცხოვრიათ. მერე მშვიდად დაიძინეს. გეგონება, აქამდე ცელოფანის პარკებში იყვნენ შეფუთვით და ერთმანეთი რომ ეხოვნათ, ათასი ფენა შემოაცალეს ერთმანეთს.


აქედან რომ წავალ, ზუსტად ვიცი, რაც უნდა მაგრად მოუჭირო ხელი რაიმე საგანს (მაგალითად მარის თმის სამაგრს), მოგონებების მეტს ვერაფერს წავიღებ. არც მინდა. ეგეც მეყოფა. უბრალოდ, კიდევ ერთხელ რომ შემეძლოს, მე თვითონ ვაკოცებდი მარის.

**\*\*\***

დღეს მშობლებმა საუკეთესო საჩუქარი გამიკეთეს. პალატაში ორივე ერთად შემოვიდა ბაჯბაჯით. ტაში დაფუკარი, მეგონა პინგვინებს აჯაგრებენ-მეთქი, მაგათ კიდევ, თურმე ზურგს უკან მარი ჰყოლიათ დამალული. მარამ მიყურა, მიყურა, იღიმა და იღიმა. მე კიდევ ვახველე და ვახველე, დედა და მამა რომ მიმხვდარიყვნენ და ოთახიდან გასულიყვნენ. მერე მარის ხელზე ვაკოცე. ასე იქცევიან ხოლმე ჯენ-ტლმენები ძველებურ ფილმებში.

**\*\*\***

4 საათამდე, სანამ დედაჩემს მოვუკვებდი და ფილტვები გამეგლიჯება, ისიც უნდა ვთქვა, რა მოხდება ჩემი ნასვლის შემდეგ: მამაჩემი კარადის თავზე შემოდებულ, მტვრიან ხატებს ჩამოიღებს და დედას ისევ აჩუქებს ხოლმე ლავანდებს. ბებია და ბაბუა ტელევიზორს გამორთავენ და ბოლო წლებით ისევე დატკბებიან, როგორც თაფლობის თევში. მარი რომ გაიზრდება, ექიმი გამოვა იმიტომ, რომ მუდამ ვემახსოვრები. ჩემი მასწავლებელი მზრუნველი ღიმილით დაურიგებს ხოლმე შოკოლადებს მოსწავლეებს. გაზაფხულზე, როცა წვიმა მოვა, ბაბუა ბებიას საცეკვაოდ დაბატიყებს, ერთი წლის თავზე კი დედას და მამას შვილი ეყოლება, ოღონდ, ამჯერად ჩემნაირი არა... ის ნამდვილი ადამიანი იქნება.



— ამას უკვე ველარ ვხმარობ, — კედელში შედგმული კარადიდან გიპიურით განყოფილი თეთრი ლიფი გამოაძვრინა და სახესთან გამიქნია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ აღარ მეტევა, — ბოლო სიტყვა თითქმის ჩამიმარცვლა და ლიფი ფეხებშუა ჩადგმულ ნავის ურნაში ჩაუძახა.

— არადა, ლამაზი კია, — დაუფიქრებლად წამოვროშე. დაბნეული ვიყავი — ვერ გამერკვია, ამ შუა ლამეს რამ გამოაცოცხლა.

— საუკუნეა, არ მიტირია, — სკამზე დაჩუქული ბუმბუტით დაეგდო და ცალი ხელით მკლავზე დამქანა.

დაჯდომას მთხოვდა. დავყვი. ორივეს ქოშინი გავგიდიოდა — კარადა თვალბდათხრილი და მუცელგამოფატრული კაცივით წამოგვდომოდა თავზე. საქმე დამთავრებული იყო. ისევე ერთმანეთს პირისპირ ვისხედით, ჩვენი თვლები კი მზეზე დაყრილი შუშის ნამსხვრევებით ბრჭყვიალებდა. ახლა მშვიდად გამოიძინებაც შემეძლო.

— აი, აღარც ეს ჩამდის, — ამჯერად შავი, მაქმანებიანი ბოდე შეათამაშა შაერში და მასაც ნავავში უკრა თავი — ხელებს რეზინის თოჯინასავით იქნევდა.

— კარგი, შეეშვი, შენი ნერვიულობა არ შეიძლება, — სანოღიდან წამოვბტი და ცვადაც, კარადის კარი დამეხურა.

— რა იყო? ჩემი ნუნუნის მოსმენა არ მოგნონს? დამლელია? დროის გასაყვანად არ ვარგა, ჰო? — სიტყვები ტყვიებივით დამიშინა. მერე კი, დახვედრილი უსულო სხეულივით ხელში აწია და განზე გამდგა, — დიახ, ვერც ამას ვიცვამ, ვერც — ამას, ვერც — აი, ამას, — კარადის გადმოპირქვევება დაიწყო ერთიანად. ფეხის თითები ისე დავჭიმე, თითქოს პლაჟზე ვიდექი და ტალღას რომ არ წავექციე, ქეებს უნდა მოვჭიდებოდი. ის კი თავისას აგრძელებდა — საკუთარ ტასაცმელში ეფლობოდა. გამზიურებული ბალიშებივით ფუმფულა ლოყები კიდევ უფრო ებერებოდა. ნიკაპის ქვეშ დაკიდული ლაბაბი კი ისე უკრთოდა, გეგონებოდა, გული იქ უცემდა.

**\*\*\***

— გადმოდი, თუ ღმერთი გწამს, — ნაცნობი ხმა ყურში ჩამახოდა, წინა სავარძელს ჩაბლაუჭებულ ხელებზე მექარებოდა და მანქანიდან ჩემს გადათრევას ცდილობდა.

არადა, აქ დარჩენა მინდოდა. ეს ბოლო გაჩერება იყო, ერთი სიცოცხლე ამის იქით აღარ გამიშვებდა — სისხლის წვეთები თეთრ კაბაში იჟლინებოდა — წითელი წრეები ფართოვდებოდა, მერე ერთმანეთს კვეთდა და ერთიანდებოდა. სულ ცოტაც და წითელ კაბაში გამოწყობილი პატარძალი ვიქნებოდი. ამის სანინაალმდეგ არც არაფერი მქონდა.

— გადმოდი, ნუ ჯიუტობ, — დამიყვირა და ნელზე ხელები შემოიხვია.

— გთხოვ, მორჩი, — მზად ვიყავი, მუხლებში ჩავვარდნოდი.

— ყავა დავლიოთ? თუ პიტნის ჩაი გინდა? იქნებ გინდა, პატარისთვის წინდების მოქსოვაში დაგეხმარო? — გუგები აკვარიუმი მოცურავე თევზებს უგავდა.

— არა, მე არაფერი მინდა, — ვუთხარი და პერანგის მკლავში შეკუჭული ცხვირსახოცი გამოვაძვრინე.

ეგრევე გამომგლიჯა და ცრემლები უხემად მოიწინდა. თვალის კუთხეები დაინითლა.

წამით დანებება მომინდა, მაგრამ წამოდგომა არ შემეძლო. საკუთარი სხეულის სათრევი ძალა არ მქონდა — ერთმანეთზე დაყრილი ფურცლებივით ვიყავი, ქარის ერთი დაბერვა რომ დანაიაგებს. საკუთარ მთლიანობას ვერ ვგრძნობდი. მთელი სამყარო იმპრესიონისტულ ნახატს ჰგავდა, საგნების გარჩევა მიჭირდა. ვერც იმას ვხვდებოდი, ის ვინ იყო, ვინც აქ არ მტოვებდა. სამაგიეროდ, ვგრძნობდი, რომ ისევე სუნთქავდა — სადღაც, ყურის ქვეშ, მთავარ საძილე არტერიასთან. ჩვეულებრივზე სუსტად, მაგრამ თანაბრად.

ერთადერთი, ეს ჩართული სირენები აფუჭებდა ყველაფერს — დროდადრო იჭრებოდა მანქანაში და მისი სუნთქვის ხმას ახშობდა. სხვა გზა არ იყო, როგორმე უნდა დამეძინა.

**\*\*\***

მის ნაბიჯებს სხვანაირი ხმა აქვს — წყლის დიდი წვეთებივით დგაფუნობს კიბეზე. ფეხი შემოდგა თუ არა, ეგრევე ვიცანი. ოთახის კედლებზე ჩამოკონწიალებული ფერადი ნათურების შუქში, მისი სხეული შუშის იასამინისფერ ქოთანს ჰგავს — მოგინდება, თავში ყვავილები ჩააჩქო და კუთხეში მიდგა. ან სანოღის გვერდით დაიდგა, გაღვიძებულს ახლოს რომ გყავდეს. ყოველთვის ხვდებოდა, ეს რომ მიწოდდა. ამიტომაც არ მიმატოვა — ყოველ დილით მოდის. ახლაც უკვე აქ არის, ჩემს სანოღთან. თეთრი პერანგი კოხტად დაუთოვებულ შავ შარვალში აქვს ჩატანილი. აქა-იქ ლილები აწყვეტია, მაგრამ რა უჭირს — ეს მის ცოლობაზე უარს მაინც ვერ მათქმევინებს. მიახლოვდება და ვგრძნობ, სხეულის დამორჩილება მიჭირს — ჰელიუმით გაბერილი ბუმბუტით ვხდები, თითქოს ერთი სული მაქვს, ავფრინდე და თან გავიყოლო. მაგრამ სანამ ხელს ჩავავლებ, თავი უნდა გავიმაგრო — გვერდებში ამოკეცილ საბანს კბილებით ვეჭიდები. აი, უკვე თავზე მადგას — ფერი შეუცვლია, მინისფერი დაკრავს. შავი გუგები თვალის უბეებს მთლიანად უფარავს. პერანგის მკლავები კი წინ აქვს გამონასკეული — ხელები არ უჩანს. არა უშავს, მაინც თანახმა ვარ, ქმრად ავირჩიო. რაღაცას ღიღინებს, თუმცა მელოდიას ვერ ვცნობ. ჩემკენ იხრება და ამთქნარებს. ალბათ დალოლია. ვიკუნტები, ჩემ გვერდით კარგად რომ მოთავსდეს. ისევე ამთქნარებს — პირს იმხელაზე ადებს, ტუჩები ყურებადმდე ედაძლება. მისი პირის ღრუ ჩაბნელებულ გვირაბს ჰგავს — იმხელაა, დარწმუნებული ვარ, თავისუფლად შევძვრები. ნელ-ნელა გვირაბში გზასაც ვხედავ — თითქოს ფოტოაპარატია და ობიექტივს ვეთამაშებ. მანქანა დგას. დაფშხალულ საქარე მინაზე კი წითელი წვეთები იდლაზნება. ობიექტივის ტრიალს ვაგრძელებ. უცებ მანქანა წინა ფარებს ანთებს და ადგილიდან წყდება. მე კი ტრასაზე მილუსმწულივით ვდგავარ და საკუთარ სხეულს ვერ ვუძალიანდები — უკან გადახტომასაც ვერ ვახერხებ. მხოლოდ მუცელზე ხელების აფარებას და თვალის დახუჭვას ვასწრებ...

— გთხოვთ, ცოტა და დარჩა, — საჩვენებელი თითით ვიღაც ქუთუთოებს მიწევს.

სიფრიფანა ქალია და ჩემს გუგებს პატარა ფანრიო წრეზე დაატარებს. გარშემო არაფერი მეცნობა, მაგრამ თავს მაინც მშვიდად ვგრძნობ. ჯერ ისევე თეთრი კაბა მაცვია და მის სუნთქვასაც ვგრძნობ — სადღაც მკერდს ქვემოთ, კუზივით გამოზენქელ მუცელში.





სავდის ღუზა

დავილაღეთ მიმოსვლით,  
ლივლივებდა ნილოსი.  
კაბარეში ღვინო ვსვით  
ქრისტეს სისხლის დარი.  
მოვიგონეთ გულისხმით  
ხელის ჭუჭყის — ფულისთვის —  
გაყიდული ურიცხვი  
უპატრონო მკვდარი.

წვივის ანძის მავთული:  
ამ წყლებშია ჩართული  
კოკა ცრემლი ქართული  
უთვალავი ზავშვის.  
კაცს სადარდელს აუშლის  
სევდა ტალღის ხმაურში  
და ის ღუზად ჩაუშვით  
ხმელთაშუა ზღვაში.

წამოვედით უსახსროდ,  
არც დრო გვქონდა უსაზღვრო,  
ჩვენ გვეგონა, ღუზას რომ  
ძვრას ადვილად ვუზამთ.  
ამონევა-ამოთხრა  
გაგვიჭირდა სამ-ოთხ კაცს,  
ისე მძიმე გამოდგა  
ჩვენი სევდის ღუზა.

ეთიმ გურჯი

ზედ დაჰკანკალებ კაცის გულ-ჯიგარს  
და არ გადაარებს ყასაბს არავინ.  
შენ ერთი მთელი ეთიმ გურჯი ხარ  
და არც ნეკნი გაქვს გასაბზარავი.

მოლაღატეებს და ბედს უჩივი,  
ისინი კაცს დარდს არ მოუშლიან.  
მამრი, ბუნებით შენებრ გულჩვილი,  
ბუნებას ჯერ არ წარმოუშვია.

ჩამოიშლება ბევრი ბურჯი ხვალ,  
შენ კი დარჩები სიტყვაკეთილი.  
საბუთებით შენ ეთიმ გურჯი ხარ,  
მაგრამ ხალხისთვის — „ჩვენი ეთიმი“.

მოვრჩეთ! ოცნებაც ბევრი ჩაფლავდა,  
მეც სიბერეში გაფხდი გულჩვილი  
და უნარწერო შოთას საფლავთან  
სამართალს ვეძებ ეთიმ გურჯივით.

ყირაშალა

რამდენ ბუნებრივ სიკეთეს ვამჩნევ  
მშობლიურსა და მთიან აჭარას —  
ცა რა ახლოა! დიდება გამჩენს,  
აქ ცა და მიწა რომ შეაჯგვარა.

ვთქვათ, მოგინდა, რომ ყირა გაჭიმო,  
კაცო კეთილო და ღვთისმოსაჲო,  
ფეხსაცმლის გახდა არის საჭირო,  
აჭარის ზეცა რომ არ მოსვარო.

უაინდოვა

მე შენზე თვალი რომ შემვივარდა,  
ამიტეხია შარი ამითი.  
ხანდახან არის, რომ მშვენივრად ვარ,  
მით უფრო, თუა მშრალი ამინდი.

ზოგჯერ წვიმის დროს ნაღველი მძალავს  
(არადა, როგორ მიყვარდა წვიმა).  
ქუჩაში ახლა მივდივარ ცალად,  
ქოლგაზე მკაცრი ბგერები ცვივა.

მე ვცოცხლობ შენით და სამშობლოთი,  
სანამ ვარ — თქვენი ბედი მანუხებს.  
მე მწყინს, კითხვებს რომ დასვამს ობროდი  
და ჭკვიანისგან ელის პასუხებს.

ვიცი, ეს წვიმა რომ გადავიღოს,  
მივუსწრებ სახლში ალბათ „მოამბეს“  
და ჩემს შტერ თავზე ქოლგა დაირის  
მსგავს მელოდიებს ველარ მოაბნევს.

შენ დამირეკავ — ხომ არ დასველდი?  
სიტყვას მომანვიდი, როგორც ობლის კვერს,  
მელანქოლიით უღვთოდ დასევედილს  
შემომბარუნებ ნუთისოფლისკენ.

სიმინისა

თუ მოგწერე — წარაფში ვარ, ეს ნიშნავს, რომ ვარ ახოში.  
თუ ღვინო ვსვი წარაფისა — ღვინო მისვამს მარახოში.

ჯემალ ინჯია



თუ გირეკავ კახეთიდან — გრემში ვარ და არა ხონში...  
ღმერთო, აღარ შეგცდეს —  
უნდა მშობლის კუბო ანახო შეილს.

ეშმაკური ბალადა

ძალზე დიდხანს აკაკუნე, მაგრამ სახეს არ ავლენდი.  
სახლის კარი რომ გაგიღე, ხელი შემრჩი ეშმაკი.  
შეგინვიე, გაგიშალე სუფრა, ოჯალეშმა კი,  
როცა გაჭრა, ვახტანგურით შეიცვალა ალავერდი.

როგორც მოქრი, ისე გაქრი, ეშმაკს გზა არ ეთარება...  
მე კი, როცა გამოვფხიზლდი, კვლავ მონა ვარ მუზათა.  
ვზივარ უეშმაკო სახლში და ამ კითხვას ვუსვამ თავს:  
რა ეშმაკმა გადამყარა ცისფერთვალა ერთ არსებას?

ალბა

ჩემო კარგო, დღეს ვაზი ყვავილობს,  
კარები მჭიდროდ რატომ დარაზე?  
დღეს ამინდია სასიყვარულო.  
გააღე კარი სულ პატარაზე.

ხომ იცი, ახლა დაბლა ვინ გიცდის,  
წვიმით უწყალოდ ჩამოწუნული,  
მომხედე — მოგვკვდი თუ გავტინგიცდი —  
სულ ორი კიბით ჩამოცუნცულდი.

დავყნოსავ მაგ თმებს, როგორც ყვავილებს  
და სურნელს ვიკრავ ნადირის გემით.  
შენს თავს თუ ხელში ამაყვანიებ,  
ჩემს თავს მე ველარ ავიყვან ხელში.

ორი ფილოლოგოსი

მე: კარგად ვიცი, ფილოლოგოსმა,  
როგორ იქმნება კაცი-ლევინდა,  
მოყვრის ქორწილში ღვინო როგორ ვსვა  
და როგორ არ ვსვა ყველა რევევინთან.

თქვენ: ყავას ეტრფით — მხრჩოლავ ჩერნობილს —  
ყველაზე კარგი „ჯაკობსიაო“.  
სულ სხვისი ნიჭის შეუმწმევლობის  
პოზაში დგახართ და კოპნიაობთ.

ამსკურსია ეპიპატევი

ვსვათ თბილი წყალი „ბარაქა“  
ერთურთის ნაპირალიდან.  
ჩემთვის ქცეულო არაკად,  
დაგრდილოს რა პირამიდამ,  
სულ ვერ გამაცლის არაქათს  
ვნება, რომელიც ამიტანს.

სასიყვარულო ბგერებით  
ძილი დავუფრთხოთ ფარაონს.  
ქვიშაზე შენი გველებრი  
ვისროლოთ ვერცხლის მარაო.

იმდენხანს შემოგველები,  
სანამ არ მეტყვი — კმარაო.

\*\*\*

დახატა ჩემი ტილო,  
როგორც მკითხავმა ყავით,  
ბედისმწერალმა — ფუნჯით.  
იაკობით ვცდილობ,  
არ გავიციო თავი —  
უჯიათი და ურჩი.

მე გადავურჩი კლიმაქსს  
და აღსასრულის კართან  
დაჩქქვილ ფარ-ხმალს ვანყო.  
საკმარისი დრო კი მაქვს,  
გამოვიგლოვო რათა  
ომგადახდილი ანმყო.

\*\*\*

მითვლი, ზღვა კარგია, რომ ხსნის დეპრესიას,  
ნაზი ნიავქარი, მშველელიო.  
არა, მეგობარო, მე სხვა ეკლესია  
მიცდის, რანაირად შეველიო.  
ჰავა მანდაური თუმცა მომიხდება,  
არც აქ ვემდურები მხნეობა-ჟინს.  
მე წელს დასვენება ალბათ მომიხდება  
გრილ და ულამაზეს ხეობაში.  
აქაც გამოვნახავ ზღვაურს და ნიავქარს  
და ცაცხვს მივეყრდნობი სურნელოვანს.  
მე ვერ მივატოვებ ნაძვისტანიან ქალს,  
მასთან მონა ღიზა სულ ვერ მოვა.  
თუმცა არ მექნება ჰავა მანდაური,  
არც აქ ვემდურები მხნეობა-ჟინს.  
წელს მე დავისვენებ ჩემი ნანდაურის  
გრილი ძუძუების ხეობაში.

სტიქია

არ შეადაროს მთის ნიაღვარს ჩემი სტიქია  
მასში რალაცა სასწაულის მაძიებელმა.  
ის სონეტების გირგვინია, აკროსტიქია,  
ტრიოლეტია, მაჯამაა, განძი, ემბლემა.  
ჩემი ლექსები ვერც გვაღვიან მინდორს მონამავს,  
წყალი არ არის — დენს არ გვაძლევს (რა დროს დენია?!),  
მაგრამ იმდენი სიხარული — ჩემს შვილ-მომავალს,  
რამდენი ცრემლიც მათგან თვალს გადმოსდენია.

პავლე... პავლოვიჩი

რაც უფრო მაღლა მიიწევი პავლე,  
მით უფრო საშიშ თვისებებს ავლენს.

მიკვირს, რაც შეძლო თათარიანხად,  
იმასზე მეტი რად არ იახვრა.

მაცხოვარსავით უფენენ პალმებს.  
ბრბო გაიძახის: დიდება პავლეს!..

პელეს ნაღვექი ყავა მპირდება,  
რომ პავლე მაღე გავაპირდება.

პავლეზე უკეთ, მკითხველო ჩემო,  
ქართული სისხლის ვინ იცის გემო!

ჯამაზის მონოლოგი

ცირკში ვმუშაობ, თოკზე მაღაყებს  
გადავდივარ და „ბრაფოსაც“ ვქაფავ.  
წელთა სიმრავლე ვერ გამაღაყებს,  
ნუთისოფელი მიფრინავს სწრაფად.  
სასწაულებს ვდგამ მანეჟზე, მაგრამ  
საკუთარ თავთან როდესაც ვრჩები,  
ვგრძნობ, რომ მართო ვარ, ცხოვრებამ მაგრად  
მომიშორა და ვასკდები ჯებირს.  
თოკიდან თოკზე რისთვის დავხტივარ,  
ხომ არ გამხადა დრომ ბელზებელი.  
სჯობს, რომ სიმართლე ვთქვა გულახდილად —  
სანუთო გახდა მომბეზრებელი,  
მეფერებინ თუმცა ქალები,  
შევიწარჩუნო რათა ბალანსი  
თავგაყოფილმა ამ შექანებულ  
დედამინაზე ხათაბალაში.

\*\*\*

იცით, რა კარგად ვიყავი მერე,  
მესიზმრებოდით ხოლმე ხშირ-ხშირად.  
ვეფერებოდი უფერულ ფერებს.  
იცით, რა კარგად ვიყავი მერე.  
თქვენს სადიდებულად ჰიმნები ვწერე,  
ობოლივით რომ მუზამ მიშვილა.  
იცით, რა კარგად ვიყავი მერე,  
მესიზმრებოდით ხოლმე ხშირ-ხშირად.





დალილა ბედინიძე

არ მბეზრდება დაძინება და გაღვიძება და ვინც მიყვარს, მათი ცქერა არ მბეზრდება. არ მბეზრდება სიმღერა და დღეების თვლა არ მბეზრდება. ბედნიერი ვარ ჩემი რწმენით და ტაძარში სიარული არ მბეზრდება, დალოცვით ვამბობ სამადლობელს გამჩენისადმი. არ მბეზრდება დაძინება და გაღვიძება, არც გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი არ მბეზრდება. არ მბეზრდება მზე და ღრუბელი, წვიმა და თოვლი და ქარაშოტი არ მბეზრდება, არ მბეზრდება ლექსების წერა და იდუმალი მუსიკის ხმები არ მბეზრდება. მაგრამ მე ვიცი, რომ ყველაფერს აქვს დასასრული და მართალია, მე არ მბეზრდება წუთისოფელი, ერთ დღესაც ვიგრძნობ, რომ მას მოვბეზრდი... ო, ღმერთო ჩემო, შორს მოვბეზრება!

ხომ ძნელია მარტოობა და ყოველგვარ მარტოობაზე ძნელია მეფეთა მარტოობა. ხომ ძნელია მარტოობა და ყოველგვარ მარტოობაზე ძნელია მწვერვალთა მარტოობა. ხომ ძნელია მარტოობა და ყოველგვარ მარტოობაზე ძნელია შეყვარებულის მარტოობა. ხომ ძნელია მარტოობა და ყოველგვარ მარტოობაზე ძნელია დედამიწის მარტოობა. ხომ ძნელია მარტოობა და ყოველგვარ მარტოობაზე ძნელია მზის მარტოობა. ხომ ძნელია მარტოობა და ყოველგვარ მარტოობაზე ძნელია პოეტის მარტოობა, იმ პოეტის, რომლის გამოც არავინ არის მარტო.

აყვავებული ხეები დგანან, როგორც ძახილის ნიშნები და მარტი გარეთ გვიხმობს ძღვევამოსილი მარტი. გაზაფხულს ვეღარაფერი შეაჩერებს, როგორც იქნა, გავიდა თებერვალი, მოხუცი თებერვალი, თვალცრემლიანი და ზამთრის მოგონებები თან გაიყოლა. მავინყდება, რომ ზამთარი იყო, ნამდვილად იყო და თავისი გამყინავი ხმით აფრთხობდა ადამიანებს, როგორც ბედურებს, რომლებიც თბილ ქვეყნებში არ მიფრინავენ და სამშობლოში გამოიზამთრებენ ხოლმე, როგორც ისინი, ვისაც შორს გაფრენა აღარ შეუძლია და აღარც ახსოვს თბილი ქვეყნების გზები. აყვავებული ხეები დგანან — თეთრ სამოსელში გამოწყობილი დედოფალ მარტის ფრეილინები და ბატონი მზე წინ მიგვიძღვის ამაღლებისკენ.

გაუმხელელი სიყვარული ადიდა ჩემში, როგორც წყალი-მდინარეები. მოდის და მოაგორებს სიტყვების ლოდებს, იმ სიტყვებისა, გულში რომ ვერ ვიტყვი, იმ სიტყვებისა, რომელთა თქმაც ისე მიჭირს, როგორც პეპელას ლოდის ზიდვა არ შეუძლია. ადიდებულმა სიყვარულმა წაღეკა სული და აღარ ვიცი, როგორ გავდო სათქმელის ხიდი ამ მდინარეზე, როგორ გავამხილო, რაც გულში ტრიალებს. ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილი, ყველაზე ჭკვიანი ის არის, ვინც მე მიყვარს და მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინე, რომ შეყვარებული ვარ, აღმოვაჩინე, რომ ჯვარცმის გზას შევდგომივარ. მოდის მდინარე გაზაფხულისა ადიდებული და თან მოყვება ჭორების ნაგავი და მღვრიეა, როგორც კოკისპირული წვიმის შემდეგ. ველოდები, როდის დაინმინდება და როდის აღბეჭდავს ჩემს შეცვლილ სახეს, სიყვარულმა რომ დაამშვენა და გაალამაზა. და ვინც მიყვარს, ჩაიხედავს წმინდა მდინარეში და დამინახავს და ყველაფერს მიხვდება.

ტანგოს ხასიათზე ვარ და ჩემს ირგვლივ ქარი ფოთლებს აცეკვებს ტანგოს

და გამველეები ერთმანეთს ხედებიან უკვდავ, უწყვეტ ტანგოში. არ ვარ მხოლოდ მაყურებელი, მეც ვცეკვავ უნებლიე ტანგოს, რომელიც არავისგან არ მისწავლია, დაბადებიდან დამეყვა და იქაც, იქაც დედის ნიაღში დაბადებამდე ვცეკვავდი ტანგოს და დედა ისე შევანუხე, რომ ნაადრევად დამბადა და მისი სამშობიარო ტკივილებიც ჰგავდნენ ტანგოს. ტანგოს ხასიათზე ვარ და ციდან მესმის უკომპოზიტორო მუსიკა — ტანგოს მუსიკა მუდამ იყო და მუდამ იქნება და მბრძანებლობს ტანგო ჩემზე და მაიძულებს სულ ვიცეკვო ტკივილებით შენუხებულმა. მიედინება ტანგოს მდინარე, მდინარე ყოვლის ნამლეკავი და მოცეკვავე. მზეც ცეკვავს ტანგოს და მე არ ვიცი ტანგოს გარეშე როგორ ვიცხოვრო. ტანგო დიდია და მე — პატარა.

სიტყვის ჩიტები ჩასხდნენ ლექსის ბუდეებში და ლექსები ყვავილებივით გამოიჩეკა ფიქრის კვირტებიდან. მელოდიის საფეხურები მაღლდება ცისკენ და მე ნელ-ნელა ავდივარ ზევით, სადაც არ არის ურვა, სულთქმა და სადაც არის ცხოვრება დაუსრულებელი. სიყვარული საძირკველია ლექსის ბუდისა და სიყვარულზე ამოიზრდება ბედნიერების მძლავრი შეგრძნება, ისე, როგორც მუხა — ფესვებზე. სიტყვის ჩიტების ფრთებით დაფრინავ, კი არ დავდივარ და თუმცა მსუბუქი ვარ, როგორც ფიფქი, ვერანაირი ქარები ვერ მათამაშებენ და ვდგავარ ფეხმოუცვლელი ჩემს ადგილზე, როგორც დროშა სიმართლისა, რომელიც ნიშანია კეთილის ბოროტზე გამარჯვებისა. ვიშინაურებ სიტყვის ჩიტებს და სიცოცხლე მიხარია ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარს.



ქალბატონო დედამინავ და ბატონო ცაო! ჩემო და-ძმებო — ქარო და თოვლო და წვიმავ! ჩემო კეთილო მეზობლებო, მზეო და მთვარე! გაღიმებული, გალაღებული მოგესალმებით. ეს სამყარო ჩვენი დიდი ოჯახია და ჩვენ ყველა ვართ ნათესავეები და ვართ შინ — ერთად და ბედნიერად. ჩვენს გზებს ანათებენ ვარსკვლავები — ციციანთელები. ჩვენს გზებს ლოცავს უფალი და ჩვენც გვნამს მისი, რომ არაფერი ცუდი არ გველის, რომ ამ სამყაროს ვარსკვლავური ომები არ დაანგრევს და ჩვენს მშვიდობას არაფერი ემუქრება. ქალბატონო დედამინავ და ბატონო ცაო, თქვენს ოჯახში დავიბადეთ და გავიზარდეთ, უცხოები არა ვართ და შინაურები ვართ და ჩვენს დიდ ოჯახს როგორც შეჭფერის, სიყვარულის ენაზე ვლაპარაკობთ და გვესმის, გვესმის ერთმანეთისა. ღმერთო, ერთმანეთს ნუ მოგვაბეზრებ!

ეზოში ცელქი ბავშვივით დარბის ქარი ჯოხის ცხენზე გადამჯდარი და ქარის სიმღერა გამების გაშლას ჰგავს. ქარი ისეთი ლამაზია, ისეთი ლამაზი, რომ მინდა ვაკოცო გაშლილ თმაზე და თავზე ხელი მოფერებით გადავუსვა. ბავშვი ქარი, ჩემი ქარი... ვდგავარ აივანზე და ქარის ოინებს ვუყურებ. მარტო აღარ ვარ. ჩემთან ქარია, ჩემი სულის ორული და სიცოცხლის ჩამბერავი მტკივან გულში. ქარის თამაში ბავშვობას მაგონებს, როცა ეზოში დაულალავად დავბობდი და ქარს დაჭერობანას ვეთამაშებოდი. მალე წავა ქარი შინ, თავის დედასთან, მე კი არ ვიცი, სად წავიდე, წასასვლელი აღარსადა მაქვს.

კოსმოსიდან ვუყურებ დედამინას. კოსმოსში ვარ სტუმრად ჩემს უცხოპლანეტულ შეყვარებულთან. აქედან ზღვები გუბებებს ჰგვანან და ადამიანები — ჭიანჭველებს, მწვერვალები კი — მძინარე კრავებს და დედამინა ჰგავს ანთებულ ვარსკვლავს საახალწლო ნადვისხის კენწეროზე. კოსმოსში ვარ და აღარ მახსოვს რა მწყენია და რა მტკენია დედამინაზე. აღარც ის მახსოვს, თუ იქ ვინმე დამრჩენია და მომელის. მე და ჩემი უცხოპლანეტელი შეყვარებული ვარსკვლავთა ხეივანში დავსვირნობთ და არაფერი აღარ გვანუხებს. აქ სამოთხეა, ის სამოთხე, რომელსაც ყველა ვერ ეღირსება, რადგან ყველას არ შეუძლია უცოდველი სიყვარული. კოსმოსიდან ვუყურებ დედამინას, რომელიც კვერცხს ჰგავს, საიდანაც ფენიქსი უნდა გამოიჩეკოს. რა სერიოზო! მე მანდ აღარ დავბრუნდები, ისეთ ხასიათზე ვარ — რადგან მომეტევა ცოდვები, დედამინა კი ცოდვილთა სამყოფელია.

ფურცელზე დასხდნენ სიტყვის ჩიტები, ფრთები უელავთ და უცახცახებთ. მე კი ამ ჩიტებს ვეჭიკჭიკები, რასაც მიმხელებ, ლექსად ვაცხადებ.

რაც იწერება ჩიტების ფრთებით, ხმებმწყობილი მათი გაგებით, მეც იმით ვხარობ და იმით ვთვრები, მაღლიერი ვარ უფლის წყალობის.

ამკობენ ფურცელს სიტყვის ჩიტები, სასიხარულო ამბებს მამცნობენ. და მათ ფრთებს შორის მე ვიჭვრიტები, და ფრთხილებენ, და ვით ანცობენ...

და მესმის, მესმის ჩიტების ენა და მათ ენაზე მეც ვლაპარაკობ. და მათი ენით მკარნახობს ზენა, რაც ძვირფასია და საარაკო.

ფურცელზე რჩება ჩიტების კვალი, დღეს უამრავი ჩიტი მენვია და მოლოდინი უკეთეს ხვალის ჩემში იბუდებს, როგორც მზენვია.



გურამ ბათიაშვილი

ერთ პატარა დაბაში...



არაპირის ახსოვს, ამ დაბაში სამხედრო ნაწილი როდის დაბანაკდა. მართალია, ნაწილის თეთრი საღებავით გადახაზულ-გადმოხაზული, უცნაურ კვადრატებად დაყოფილი ტერიტორია იოსებ ხახიაშვილის ეზოს ემიჯნებოდა — ერთი ყავისფრად შეღებილი, მაღალი ლობე ჰყოფდათ, მაგრამ ზუსტად იოსებიც კი ვერ გეტყვოდათ, თუ როდის მოვიდნენ აქ ნითელიარმიელები. ნაწილი იმდენად მცირერიცხოვანი გახლდათ, ჯარისკაცები იმდენად შეუმჩნეველ ცხოვრებას ეწეოდნენ, დაბაშიც ისე იშვიათად გამოჩნდებოდნენ, და თუ გამოჩნდებოდნენ, იმდენად მოკრძალებულად იქცეოდნენ, რომ მოსახლეობა კი არა, იოსებიც — ახლო მეზობელი — ვერ გრძობდა მათ არსებობას. ან როგორ, რით უნდა გამოეჩინათ თავი — არა-რა სტიქიური უბედურება, ღვთის წყალობით, არ მომხდარა, დაბაში სამი კაციც რომ მისჯდომოდა სუფრას, უწინარესად, დიდი ბელადის — იოსებ სტალინის სადღეგრძელოს შესვამდნენ. კმაყოფილი იყვნენ თავიანთი ყოფისა თუ უკმაყოფილონი, ცხოვრების ჭაბანს მოთმინებით ეწეოდნენ. მთავარი ოჯახის შენახვა იყო. ათასიც რომ ჰქონოდათ სათქმელი, ერთსაც კი არ იტყოდნენ, საღამოობით კი, მზე რომ ზღვისკენ გაეშურებოდა, აივანზე დასხდებოდნენ და გულშიჩამწვდომ სიმღერებს მღეროდნენ. ამგვარი ყოფის გამო მილიცა უსაქმოდ იჯდა. შეიძლება ითქვას, თვითმდა. ხანდახან რკინიგზის სადგურში ან ბაზარში გოჭის ან ჯიბის ქურდებს თუ დაიჭრდა. ეს იყო და ეს!

ერთი სიტყვით, ის მინდა გითხრათ, რომ დაბაში სიმშვიდე სუფევდა და ნითელი არმიის №754751-ე ნაწილი თავისი ჩვეულებრივი, საარმიო ცხოვრებით ცხოვრობდა. დაბისა კი არც რა იცოდა და არც რა აინტერესებდა. თავის მხრივ, არც დაბამ იცოდა, თუ როგორ ცხოვრობდა სამხედრო ნაწილი. კიდეც გასჩენოდა გაგების სურვილი, ამაოდ გაირჯებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ადრე იყო, ომამდე.

ომის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა — სამხედრო ნაწილში მფრინავები დაბანაკდნენ. დაბა ამ ცვლილებას, ალბათ, ვერც იგრძნობდა, რომ არა ერთი გარემოება: სამხედრო ნაწილის ტერიტორია და, ცხადია, მფრინავთა რაოდენობა, ლამის ყოველდღიურად იზრდებოდა. მადლობა ღმერთს, სამხედრო ნაწილს მარცხენა მხარეს დიდი მინდორი ეკრა, რომელზეც მეტწილად ძროხები ბალახობდნენ. სწორედ იმ მინდორის ტერიტორია მცირდებოდა დღითიდღე. აისი გამოისობით, სამხედრო ნაწილის ზრდა იოსებ ხახიაშვილის კარ-მიდამოს არ შეხებია. „ეს მინდორი რო გვერდით არ ყოფილიყო, რა მეშველებოდა, — ფიქრობდა იოსები, — ამათ გერმანია აიღეს და ჩემს ეზო-კარს მოერიდებოდნენ?“

დაბელებს კი, ქუჩაში კოხტად მორთულ მფრინავებს რომ ხედავდნენ, გული სიამაყით ეგსებოდათ. თუმცა, დაბის ინტელიგენციისა და სამხედრო სტრატეგიის ცოდნაზე პრეტენზიის მქონე პირთ უკვირდათ: ახლო-მახლო აეროდრომი არსად არის და მფრინავებს აქ რა უნდათო?! არავინ იცოდა, რომ დაბის განაპირას, სულ რაღაც სამიოდ კილომეტრის მანძილზე, საიდუმლო სამხედრო აეროდრომი შენდებოდა. აქედან ისეთი ძლიერი თვითმფრინავები უნდა აფრენილიყვნენ, რომ რამდენიმე წუთში სტამბოლისა და ანკარის დაბომბვა ყოფილიყო შესაძლებელი. ეს ის დრო იყო, როცა სტალინი თურქეთთან საომრად ემზადებოდა — ოსმალთა მიერ სამი საუკუნის წინათ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნება და თურქეთის დასჯა ენადა: ეგენი ომის დროს ფაშისტურ გერმანიას თანაუგრძობდნენო.

საიდუმლო სამხედრო მშენებლობის ამბავი დაბაში, როგორც გითხარით, არავინ იცოდა. რაიკომის მდივანიც კი არაფრად ჩააგდეს, იმასაც კი არ გააგებინეს და სხვებს, უბრალო მოკვდავთ, ვინ რას ეტყოდა. მით უმეტეს, არაფერი იცოდა დაბის ებრაელობამ.

მთავარი ის იყო, რომ დაბელები ძალიან ხარობდნენ: ჩვენს ქუჩებში გამიწვილი საბჭოთა ავიაციის კოხტად მორთული მფრინავები დასეირნობენო. ყველა მიიჩნევდა, რომ საბჭოთა კავშირის სამგზის გამიროკუედუბიც ამ ნაწილში უნდა ყოფილიყო

და, თუ ჯერ არ ჩამოსულიყო, უახლოეს დღეებში ჩამოვიდოდა.

ცხადია, ყველაფერი ეს დაბელთა სიამაყის გრძობას ზრდიდა. მაგრამ რამდენიმე თვეში ყველაფერი აირია. დაბელებს ჯერ სიხარული და სიამაყის გრძობა გაუწეულდათ, მერე გაჩნდა ფიქრი იმაზე, თუ რატომ დასაჯა ღმერთმა ეს დაბა ასე: რაც უფრო იზრდებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორია, რაც უფრო მატულობდა მფრინავთა რაოდენობა, მით უფრო სწრაფად იცვლებოდა დაბაში მათდამი დამოკიდებულებაც.

თუ ადრე დღეში ორი-სამი მფრინავი გაივლიდა დაბის ქუჩებში, ახლა ისინი ჯგუფებად დადიოდნენ: სამ-სამნი, ხუთ-ხუთნი, ზოგჯერ მეტნიც. ერთი აურზაურით, ხმაურით მოედებოდნენ ქუჩებს, გოგონებს გზას გადაუჭრიდნენ, რაღაც-რაღაცებს ეუბნებოდნენ, მკერდზეც კი ნაეტანებოდნენ და, რაც მთავარია, არაყზე ნადირობდნენ. რამდენჯერ ყოფილა, გლეხკაცისათვის ბაზარში გასაყიდად გამოტანილი არაყი ხელიდან ნაუგლეჯიათ. ხალხმა მოსვენება დაკარგა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ დაბელები სახლის კარს კი არა, ჭიშკარსაც კეტავდნენ, შინ არ შემოვივარდნენო. თუმცა მფრინავები ჭიშკრის გაღებას არც ცდილობდნენ, ლობერ მარდად გადაეველებოდნენ, ეზოს გადაიბრუნდნენ და ისე დაიძახებდნენ — **Хозяин, дай чаю!** — კარგი შვილი იყავი, იმნამსვე არ გამოგეტანა არაყი. ეზოში ერთი შემოვიდოდა, სამი-ოთხი ჭიშკართან ელოდებოდა. თურმე, ამასწინათ ვალიკო ძაძამიას ერთი ამბავი აუტყვნია: რა მომბარე, ახლა რომ მთხოვთო. ოთხ მფრინავს ისე უბეგვია, ათი დღე ბალიშიდან თავი ვერ აუწევია.

ამიტომ ის, რაც დაბელებს შარშან სიამაყეს ჰგვრიდა, დღეს შიმის აღმძვრელი იყო. აკაკი შანავას კი ყველაფერი ეს სიცოცხლის გუნებაზე აყენებდა — ჩაიხითხითებდა და ამბობდა:

— ა, ასე მოუხებდათ მაგათ! იცით თქვენ, რომელი ხალხი ინახავს სხვის ჯარს? ის, რომელმაც თავისი ჯარის შენახვაზე თქვა უარი. მაგენი რომ 1924 წელს ჩვენ ამოგვდგომოდნენ გვერდში, დღეს რუსის ჯარი არ იქნებოდა საქართველოში.

შანავას მოსმენა კი არავის ენადა — ეს კაცი შარს გადაგვკიდებდა და თუ უმაღლეს არ გაეცლებოდნენ, თავი ისე ეჭირათ, ვითომ არაფერი გაგვიგონიაო. უკვირდათ, რას შერება ეს ჩვენი უშიშროება, ამნაირ ხალხს როგორ აჩერებსო. ამ კითხვას ხუხუტი ადამიამ ისეთი პასუხი გასცა, ყველა დაფიქრდა:

— მაგი უშიშროების კაცია, ასე იმიტომ ლაპარაკობს, აინტერესებს, ჩვენ რას ვფიქრობთ, რას ვეტყვი, რო ხვალ ყველაფერი ჩაუკაკლოს უშიშროებას.

სამამულო ომიდან ცალი ფეხით მობრუნებულმა ალექსი როგავამ კი მფრინავებზე ასეთი რამ თქვა:

— პოლიტიკურად ბეცია ის, ვისაც თავი მაგათ მოვალედ არ მიაჩნია. ეგენი ომში იბრძოდნენ, თავს სწირავდნენ, თქვენ კი აქ სხვის ცოლებს ჯიჯგინდით! როგორც უკვე გითხარით, სწორედ

იოსებ ხახიაშვილის სახლი ემიჯნებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორიას. ამიტომ ყველაზე მძიმე დღეში ამ საბრალეობაზე იცოდა, მფრინავები ჭიშკარს სამჯერ-ოთხჯერ არ მოსდგომოდნენ და არ დაეძახათ, მასპინძლო, არაყი მოგვეციო. უკვე ლობეზე გადმოხტომითაც არ იწუხებდნენ თავს, ჭიშკართან დადგებოდნენ და იქიდან იძახდნენ — იცოდნენ, მაინც გაურბენინებდნენ არაყს. ამ ბოლო ხანს არაყს აღარ სჯერადებოდნენ, მისაყოფილები სადღააო, ისეთი კილოთი გეტყვოდნენ, დამნაშავედ იგრძნობდი თავს.

იოსებმა მფრინავებს, რამდენჯერაც მოადგნენ, არაყი იმდენჯერ მისცა. ერთი ბოთლიც კი აღარ დარჩა. შაბათ დილას, სინაგოგაში სალოცვაოდ წასვლის წინ, ძლიერ უყვარდა ასი გრამის გადაკვრა — ხენავს მიაყოლებდა ხოლმე. ახლა საამისო არაყიც აღარ დარჩა შინ და საგონებელში ჩავარდა. აღარ იცოდა, რა ელოდა: „ჩემი თავი ჯანდაბას, აღარ დავლევ შაბათ დილას და ეს იქნება, — ფიქრობდა — მაგრამ ესენი რომ მომადგებიან, რა ვქნა? დაიჯერებენ, რო არაყი აღარ მაქვს?“

ხომ შეიძლებოდა, იოსებისთვის ვალიკო ძაძამიაზე უარესი ექნათ? ვალიკო ძაძამია მეზობლებმა მაინც გამოსტაცეს ხელიდან მფრინავებს, იოსებს ვინ დაცავს? ვინ არის იოსების დამცველი, გამჩენის გარდა, გამჩენს კი სცალია მისთვის? იმის დარდი აქვს, იოსებს მფრინავებმა არაფერი დაუშავონ!

ყოველ დილას, გაიღვიძებდა თუ არა, ეს საფიქრალი ჰქონდა:

— ეს ოჯახქორები ცოლ-შვილს დამიზაფრებენ, ლიას ისედაც გული აწუხებს და რაიმე ხიფათს არ მწიონ!

ცოლ-შვილს ნაშუადღევს ეზოში გამოსვლა აუკრძალა:

— ნუ გახვალთ, იყვირებენ, იყვირებენ და, რომ არ გაეპასუხებით, წავლენ, აბა, რაღას იზამენ! — ცოლ-შვილი ასე კი დაარიგა, მაგრამ ერთი ბოთლი არაყი მაინც მოიტანა ბაზრიდან და ბუხრის თავზე შემოდო. ლიას უთხრა, თუ არაფერი გაგივიდეს, მიაშვე ეს არაყი, ცეცხლად და ნავთად შეარგოთ ღმერთმაო. ლიაც ასე იქცეოდა: მფრინავების სახლს რამდენჯერმე მოადგნენ, იყვირეს, მასპინძლო, მასპინძლო, მაგრამ რომ არავინ გაეპასუხა, კვარაცხელიებისაკენ გაეშურნენ. ამის მერე ერთი კვირა არავინ მოსულა, არავინ მოსდგომია ჭიშკარს. ოჯახმაც შევებით ამოისუნთქა, ეზოშიც გავიდნენ და, ის იყო, ირწმუნეს კიდეც, მფრინავებმა თავი დაგვანებეს, ჩვენკენ აღარ იყურებიანო, სწორედ მაშინ მოხდა ის, რასაც ასე უფრთხობდა იოსები.

საღამო ხანი იდგა. მზე ზღვის მხარეს ეშვებოდა. ისეთი აღმური მოსდებოდა, როგორც დანიშნულ ქალს, საქმროს კოცნისას ვინმე თვალს რომ მოჰკრავს. ლია ეზოში თევზს ასუფთავებდა — იოსებს ბაზრიდან კარგა მსუქანი კამბალა მოეტანა. ორი მფრინავი ისე სწრაფად გადმოველო ლობეს, გეგონებოდათ, ხანძარია, ყველაფერი ინვის, შეყვანება არ ივარგებსო.

ერთ-ერთი მფრინავი ლიას მივარდა, მხარში წაავლო ხელი, აჯანჯღარებდა და უყვიროდა, ჭიშკრიდან რომ გეძახდით, სად გვემალეობდით, ჭაჭას რატომ არ გვაძლევთო. ლიამ, რასაკვირველია, რუსული არ იცოდა, მაგრამ ყვირილის მიზეზის გაგებას, თვალების ბრიალსა და მხარში წვდომას, აბა, რა რუსულის ცოდნა სჭირდებოდა?! მიხვდა, რომ კარგს არას უქადდნენ, სამზადში შესვლა მოინდომა, ბუხრის თავზე რომ არაყი მაქვს შემოდებული, იმას მივაშვევო, მაგრამ წამოდგომისთანავე ჩაიკეცა — გული შეუღონდა. მფრინავები ჯერ ვერაფერს მიხვდნენ, მერე კი, ბავშვებმა რომ ტირილი მორთეს, დაფაცურდნენ — მაღალი, ნითური იქვე ონკანს მივარდა, პეშვში წყალი დაიგროვა და ქალს სახეში შეასხა. ლია ისევ უგონოდ იწვა. ახლა მეორემ მოარბენინა პეშვით წყალი. ქალს სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო. **Спаслась падла-о** თქვეს და ნელი ნაბიჯით დატოვეს ეზო.

ლია კი ნელ-ნელა მოვიდა გონს. მიხედ-მოიხედა, მფრინავები რომ ველარ დაინახა, ცრემლი წასკდა. უძლურების, ულონობის იყო ეს ცრემლი. ბავშვები დედის ტირილმა უფრო დააფეთა — ღრიალი მორთეს.

\*\*\*

იოსები ერთობ ფრთხილი, აუჩქარებელი კაცი იყო. იმდენად ფრთხილი, რომ თავის აზრს არასოდეს გამამხლებდა, საუბრისას გრძელ-გრძელი პაუზები სწევოდა, ისეთი არაფერი წამომცდესო. კარგადაც რომ სცოდნოდა ესა თუ ის ამბავი და დაყინებით ჩაჰკითხოდი, მაინც იტყოდა: „არ ვიცი, ბატონო“, „მე არც არაფერი მინახავს, არც არაფერი გამიგონია“. მოუფიქრებლად ნაბიჯს არ გადადგამდა. ამიტომ არის გასაკვირი ის, რაც იმ საღამოს გააკეთა: ჯიქურ მიადგა სამხედრო ნაწილს და უფროსის ნახვა მოითხოვა. გასაკვირი იმიტომ არის, რომ ჩივილი არ ახასიათებდა, ყოველ გასაჭირს, წესისამებრ, უხმოდ იტანდა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ამ ინციდენტსაც დაელოდებოდა. იმ საღამოს კი ჯიქურ მიიჭრა სამხედრო ნაწილში. იქ, ცხადია, შესასვლელთანვე შეაჩერეს: რა გესაქმება, ვინ ხარო, შესძახა მორიგე და შაშხანაც შემართა. იოსებს ეს, ცხადია, არ მოენონა, მაგრამ მორიგეს მაინც არ შეეუბნა: უფროსის ნახვა მინდა, ვიდრე უფროსის არ მაჩვენებთ, აქედან ფეხის გამდგმელი არა ვარო. ნაწილის მორიგემ აქაურობას გაშორდი, ხელს ნუ მიშლი, მაგრამ იოსები სამორიგეოს კარის ზღურბლზე ჩამოჯდა: სანამ უფროსს არ მაჩვენებთ, აქ ვიჯდებიო. მორიგეს ეს ამბავი სასაცილოდაც კი არ ეყო, შაშხანა ისევ მხარზე გადაიკიდა და იოსებს მკლავში ჩაავლო ხელი, ნადი, აქაურობას გაეცალეთო. ძვრა რომ ვერ უყო, გაიკვირვა: ეს რა ღონიერი ყოფილიყო და ისევ შაშხანას სწვდა. სამამულო ვითვლი, თუ აქედან არ მოუსვამ, გესვრიო. ის-ის იყო, თვლა უნდა დაეწყო, სამორიგეოს ერთი ჭალარაშერეული, დაბალ-დაბალი, ცისფერთვალა ოფიცერი მოადგა. მშვიდად იკითხა: რა ხდება, რა ცირკი გაგიმართავთ აქაო. იმ კაცის დანახვაზე, მორიგე გაიჯგამა, ხელის გაშლილი მტევანი საფეთქელთან მიიტანა და სხაპასუხობით წარმოთქვა:

— ამხანაგო უფროსო, მოგახსენებთ, რომ ვილაც აბეზარს თქვენი ნახვა სურს. აქაურობას არ სცილდება, სამხედრო ნაწილის რეჟიმს არღვევს.

ჭალარაშერეული იოსებს მიუბრუნდა, ფიქრიანად აათვალთვალა — ჩათვალთვალა, მობრძანდითო კი თქვა, მაგრამ უცებ ერთმა ფიქრმა გაუნათა გონება: „ეს ერთი პატარა კაცი ერევა იმ მგლებს, მთელი დაბა რომ ვერ მორევიო და თვითონ რავარი მგელი იქნება. მამა აბრაამის ბატონად იმიტომ მოაქვს თავი, რომ ჩამდვილი მგელია, ამასთან ლაპარაკი რავა იქნება!“

ეს აზრი იმდენად დამაჯერებლად ერჩენა, საკუთარ თავს ჩააგონა: „სად მობრძანებულხარ, იოსებ, ეს კაცი რო გეძახოდა, თავს უნდა არიდებდე, საკუთარი ფეხით რამ მოგიყვანა აქ!“ ეს შეგონება იყო, ალბათ, იმის მიზეზი, რომ გაუხედნავი კვიციის სიძარდით გაიქცა შინსაკენ.



\*\*\*

იოსებმა კარგად იცოდა: კაცს რო ძალი დაეძვინებოდა, ან უფრო დიდი ძალი უნდა დაახვედროს, ან ისეთი ლუკმა უნდა ჩასწაროს პირში, რომ გემრიელი ლუკმით პირგამოტყენილმა აღარ დაკბინოს.

სხვა რაღა დარჩენოდა, დამორჩილდა ბედს. მეორე დილავე გავიდა ბაზარში, რამდენიმე ბოთლი არაყი იყიდა და ბუხრის თავზე შემოაწყო. ეს სწორედ ის ლუკმა არი, რომელიც მაგ ძაღლებს პირს გამოუტენისო. ლიას კი უთხრა, ეზოში გასვლას მოერიდეთ, სახლის კარიც დაკეტილი გქონდეთ და, თუ არაფერი გაგივიდათ, თუ ეზოში შემოვიდნენ, მიაშვეთ არაყი, სხვა რაღა გზა არისო.

ასეც იქცეოდნენ: ლია და ბავშვები ეზოში ყოფნას ერიდებოდნენ (ეს კი ძლიერ ჭირდა — უკვე აპრილი მიილია, გაზაფხულმა მხრები გაშალა, ეზოში ისეთი სურნელი ტრიალებდა, კაცს, სხვა რომ არაფერი, ეს აცოცხლებდა), უმეტესწილად სახლში იყვნენ ჩაკეტილები, მაგრამ თუ მფრინავები ღობეს გამოვლევდნენ, ლია სიცოცხლისათვის შეაგებებდა არაყს, მჭადს და ყველს, ისინიც ყველაფერ ამას ჩანთაში გადაუძახებდნენ, ეს რა არი, ერთი ბოთლი რამდენ კაცს უნდა ეყოსო, დაიბვირებოდნენ და ლიას, ცხადია, ნაკლები ხალისით გამოჰქონდა მეორე ბოთლი არაყი.

ამგვარმა ყოფამ იოსები ერთობ მძიმე დღეში ჩააგდო.

— ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან? — ეკითხებოდა თავს, — გამოდის, რომ ამათ ყოველდღე არაყი უნდა ვაძლიო. ახლა კიდო დასაყოლებელს თხოულობენ — ჭადი ან პური და ყველი მაინც მოგვეცითო. გაუძლებს ამას ჩემი ჯიბე? ვერა, ჩემი ჯიბე ახლა ვერ გასწვდება — ესე იგი, რა გამოდის ამას აქედან? ან ეს ხარკი უნდა გავიღო, ან ამ ნაწილს უნდა მოვშორდე. ამ ნაწილს ორი გზით შეიძლება მოვშორდე: ან ის უნდა გადაიტანონ სადმე შორს, ან მე უნდა გადავსახლდე. დიდი სწავლა-განათლება არ უნდა იმას, რომ ვინმემ იფიქროს, იოსებ ხახიაშვილს ეს სამხედრო ნაწილი არ მოწონს და ნუ შევანუხებთ, გადავიტანოთო, ამას არაფერი იფიქრებს — ამ სამხედროებს მე არაფერი მომამორებს, გამოდის, მე უნდა წავიდე, მე უნდა გადავსახლდე იქით, შორს, სტალინის ქუჩაზე, ან მოედანზე, მილიციასთან ახლოს — კარგი საყურებელია ყოველ დილას მილიცია! — დაასკვნა იოსებმა და დაიწყო ფიქრი სახლის გაყიდვებზე.

ამ დაბაში სახლის გაყიდვა არც ისე იოლი საქმე იყო. ეს საქმე იქ არის იოლი, სადაც ხალხი მდიდრდება; ამ დაბაში გამდიდრება ყველას ენდა, მაგრამ ერთი მიზეზის გამო ვერ მდიდრდებოდნენ: იმ ხალხს, რომელსაც გამდიდრება უნდოდა, მილიცია ძალიან იოლად უგრესხდა კისერს და უკვე ნაშოვნ ქონებასაც აკარგვინებდა.

იფიქრა იოსებმა, იფიქრა და ერთ სწორ აზრს მიაგნო: ამ სახლის მყიდველს იმით შორის ვიშოვი, ვისაც ყოველ პარასკევს და კვირას ბაზარში პროდუქტი ჩამოაქვს; ბაზარი აგერ არის, ყურის ძირში, მაგნაირი ხალხისთვის ყოველი ქალაქის ცენტრი ბაზარი არისო. და საყურად ამნაირ ხალხში დაიწყო სახლის მყიდველის ძებნა.

დრო კი გადიოდა. მაისიც დადგა. არაყი გაძვირდა, მაგრამ ლია და იოსები მაინც უხმოდ იტანდნენ გასაჭირს — კარს მომდგარ მფრინავებს არაყსა და მისაყოლებელს არ აკლებდნენ.

ერთ დღეს, ნაშუადღევს, იოსები შინ რომ მობრუნდა (იქნებ ორიოდ ლუკმა შეეჭამო) და ჭიშკარს აღებდა, ისე მოულოდნელად წაადგა თავს აყლაყუდა მფრინავი, ელდა ეცა. პანია და ჩია არც თვითონ იყო, მაგრამ როგორც ამ კუთხის ყოველ კაცს, მოულოდნელობა მასაც აკრთობდა და ამ აყლაყუდამ დააფრთხო კიდევ. მფრინავმა მკლავში ჩასჭიდა ხელი და წამოდიო, უთხრა.

— აგერ, ა, ახლავე, ამ წუთში გამოგიტან არაყს.

— წამოდი, წამოდი! — თქვა მფრინავმა — შენ ხომ ებრაელი ხარ? — და იოსებს მკლავზე კიდევ უფრო მოუჭირა ხელი, — ეს რა კუნთები გქონია?! — გაუღიმა.

იოსებს ისეთი სიტყვები მოესმა, მფრინავის ლიმილს რა დაანახებდა.

„ებრაელი ხარო?! ვაი, შენს თავს, იოსებ! ახლა იწყება მთავარი!“ — ცხადია,

ელდა ეცა იოსებს და ჰქონდა კიდევ ელდის მიზეზი: ამ რამდენიმე თვის წინათ ხახმებს აუკრძალეს ებრაული ენის სწავლება და თუ გაიგებდნენ, ესა თუ ის ხახამი ბავშვებს თორას ასწავლისო, იჭერდნენ კიდევ. დაბაში ამბავი ჩამოვიდა: თურმე თბილისში ერთი ხახამი კაცი დაუპატიმრებიათ და თითქმის ფრჩხილები დაუძვრიათ. ვინც ეს საქმე გააკეთა, ალბათ, ფიქრობდა, ამით მთელი საქართველოს ებრაელობას დავაფრთხო, უცებ შეეშვენიან სალოცავში სირბილს და იმ ძველი, დაფლეთილი წიგნის შესწავლას, რომელსაც კომუნისტების მშენებლობისათვის არა-რა სარგებლობა მოაქვსო. ის კაცი მართალი იყო — ასეთი რამ ადამიანებს აფრთხოვს და ებრაელობაც უნდა დაეფრთხო, მაგრამ იმ კაცმა არ იცოდა: ებრაელობას ამ ოცი საუკუნის განმავლობაში ხშირად აძრობდნენ ფრჩხილებს, ზოგჯერ ტყავსაც კი, მაგრამ რა... ამით კიდევ უფრო უძლიერებდნენ იმ დიდი წიგნის სიყვარულს, რომელიც კომუნისტების მშენებლობას არაფერს არგებდა.

იმ პატარა დაბის ებრაელობაც ისეთივე იყო, როგორც სხვა, დიდი ქვეყნებისა: ყველაფერს დათმობდა და თორას — არა. ამიტომ მალულად ასწავლიდნენ შვილებს, მალულად ატარებდნენ რაბებთან. იოსების უფროსი ვაჟი — დათო უკვე რვა წლის გახდა და იოსებმა ხახამ იცხაკთან დაანყებინა ებრაული ენისა და თორის სწავლა.

„ამათ რა დამეძღვებოთ, მინაში რა არის, ის იციან, — გაიფიქრა იოსებმა, — ალბათ, იმის გამო თუ მიჭერენ, ხელისუფლების გადაწყვეტილებას რომ არ დავემორჩილე. რახან ესენი მაპატიმრებენ, ეს იმას ნიშნავს, სამხედრო ტრიბუნალი გამასამართლებს. სამხედრო ტრიბუნალი ჩემს მტერს!“

ასეთი ფიქრები დასტრიალებდა თავს იოსებ ხახიაშვილს. ამიტომ გადაწყვიტა, ამ კაცს, მფრინავს, ხელიდან უნდა დაეშვირებოდა, თუ სამხედრო ნაწილში შემოყვანა, ჩემი საქმე გათავებულაო.

— ძმობილო! — დაიწყო იოსებმა, — მოდი, სამი წუთით შევაღი სახლში, არაფერზე არ დავიხვე უკან... ჩემზე იყოს.

— არა, არა, გველოდებიან! — თქვა მფრინავმა და ნაბიჯს აუჩქარა. რატომღაც მთავარ შესასვლელს — სამორიგეოს — გვერდი აუარა და მინდვრის მხარეს გასწვია.

— ძმობილო, — ისევ დაიწყო იოსებმა, — ოჯახი მყავს, შვილები. ჩვენ, ებრაელებს, სხვანაირად არ შეგვიძლია... ჩვენ თორა უნდა ვისწავლოთ... მფრინავმა იოსებს გაუღიმა.

„რას იკრიჭება ეს შობელძაღლი, იმ ღმერთმა დაგვცოთ თქვენ მეხი!“ — გაიფიქრა იოსებმა, მფრინავს კი უთხრა: — შევალ სახლში და ახლავე გამოვალ, პატივისცემა ჩემზე იყოს... ჩვენ საიდუმლოს შენახვა ვიცით. კაციშვილი ვერ გაიგებს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ ახლა მოდი, აქ შევიდეთ, — იოსებმა სამხედრო ნაწილის ღობეს ლამის ცხვირი მიარტყა, — აბა, თავი დასწიე, — მფრინავმა ყავისფრად შეღებილი ღობის სამი ფიცარი გადასწია, იოსებს თავი დაახრეწინა, თავდაც დაიხარა და ორივენი 7546751-ე სამხედრო ნაწილის თეთრი კირით გადახაზულ-გადმოხაზულ ეზოში აღმოჩნდნენ. მფრინავმა ღობის თითო ლურსმანზე ჩამოკიდებული ფიცრები ისევე გაასწორა, როგორც ადრე იყო.

— ნავედით!

„არ შემინახა გამჩენმა, არ დამიფარა ამათი ხელისგან!“ — გაიფიქრა იოსებმა. სასწრაფო კვეთილი მუხლებში ძალაგამოლუული მიაბიჯებდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, მილასალასებდა.

მფრინავი დიდ დარბაზში შეუძღვა.

დარბაზის კედლებზე ეპოლემტიკიანი, ჩინ-მედლებიანი რუსი გენერლების სურათები ეკიდა, მაგიდის თავზე კი — ლენინის და სტალინის დიდი სურათები. იქით, მოპირდაპირე მხარეს სტალინი მაგზო-ლეუმის ტრიბუნაზე იდგა და ვილაცას ხელს უქნევდა, თან თბილად იღიმოდა. იოსების გვერდით, ცოტა მაღლა, დიდი ფოტოსურათი ეკიდა: საბჭოთა არმიის ოფიცრები გერმანიის დროშებს ძირს ყრიდნენ.

„შეხედე, შეხედე! რავა პადმეტკამომძვრალი ფეხსაცმელებივით ყრიან იმ დროშებს!“ — გაიფიქრა იოსებმა და კიდევ

ერთხელ შეავლო თვალი სტალინს, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! ამას აქ რა უნდა! — მომღიმარი სტალინის ფოტოსურათის ქვეშ ხახამ იცხაკი იჯდა.

იოსებმა ხახამს მყისვე აქცია ზურგი.

„აბა, მთლად გლახად ყოფილა საქმე! ხახამ იცხაკიც დაუპატიმრებიათ! ესე იგი... რას უნდა ნიშნავდეს ახლა ეს? რას უნდა ნიშნავდეს და... — დაძაბული ფიქრობდა იოსები, — ეს იმას ნიშნავს, რომ... მოდი, აქედან დავიწყოთ: ვინ არის იცხაკი? ხახამი. ეს, ერთი. მელამედი, ესე იგი, თორის მასწავლებელი. ეს, მეორე, და აქ გაეჩერდეთ კიდევაც. რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ეს იმას ნიშნავს, იცხაკი და-პატიმრეს. პატიმარია, მარა თვითონ არ იცის. ამიტომ ზის აქ რაიკომის უფროსივით, — იოსები შეყოვნდა, ნაფიქრი გონების თვალთ გადაამოწმა. ზუსტად ასე უნდა იყოს, სწორ გზაზე ვეგავარო, დაასკვნა და ანალიზი განაგრძო, — თუ ხახამ იცხაკი დაპატიმრებულია, ვინ ვარ მე, რატომ ვარ აქ მე?... ახლა ისიც ვიკითხოთ: რატომ მკითხა იმ რუსმა, ებრაელი ხო ხარო? ჰა? ესე იგი, მონმე უნდათ, იმის მონმე, რომ ხახამ იცხაკი ბავშვებს თორას ასწავლის, ესე იგი, არ ასრულებს მთავრობის დადგენილებას. რა გამოდის ახლა აქედან? მე მონმედ ვარ დაძახებული. მე უნდა ვთქვა: ეს არის ის კაცი, რომელიც ბავშვებს თორას ასწავლის. აბა, მე უნდა დავადო ხელი იცხაკს. მაშინ გახმეს ეს ხელი! — გადწყვიტა იოსებმა და იცხაკს მალულად შეავლო თვალი, — მე რა ვიცი, ვინ არის ეს კაცი, მე რა საქმე მაქვს მაგასთან! მაგ კაცი რკინიგზის გადაღმა ცხოვრობს, მგონი. მე კიდევ ვარ, ა, აქ ვცხოვრობ, თქვენს გვერდით. არ იცოდით? რავა, შე კაცო, თქვენი მეზობელი ვარ. რო მოგწყურდებოთ, ან-გელოზებივით რო შემოფრინდებით, კაი ხანია, არ ყოფილხართ, გუშინ იყავით? ისე მომენატრეთ, ასე მგონია, წელწანი გავიდა! შეიძლება თქვენ მეზობელს ხახმებთან რამე საქმე ჰქონდეს? მე თქვენი მეზობლობა მახალისებს კიდევ და ბევრ რამესაც მასწავლის. რა? რას აკეთებს ეს კაცი? რა საქმიანობას ეწევა? არა, არ ვიცი მარა... წვერი მოუშვია... წვერის მიხედვით თუ ვიმჯღელებთ, ბოლშევიკი-რევოლუციონერი უნდა იყოს, ან კილო ბოსიაკი... კი, ალბათ, ბოსიაკია, თორემ ბოლშევიკი, რევოლუციონერი ახლა საიდან, კაი ხანია, მაგ სიკეთეს გვწია ღმერთმა! სახელი? სახელი... სახელი, მგონი, იაკობი უნდა ერქვას, თუ მიხელო?! ხო, მიხელო, კი, ბატონო. ასეა? რა? იცხაკი? ხო... თქვენ უკეთ გცოდნიათ“.

იოსებს სამოქმედო გეგმა მზად ჰქონდა, ახლა მთავარი იყო ერთი რამ: მანამდე, ესე იგი, დაკითხვის დაწყებამდე, ხახამთან არავითარი საუბარი არ გაეხდა. მფრინავი, რომელმაც იოსები აქ მოიყვანა, მაგიდას მიუახლოვდა, ტელეფონის ყურმილი აიღო და ისე უპატაკა — ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი დავალება შესრულებულია — იოსებს ლამის გული შეუნუხდა.

„ეს მილიციაზე უფრო დიდი მილიციაა!“ — გაივლო გულში.

მფრინავმა კიდევ სადღაც დარეკა და საუბარი გააბა. სწორედ ამ დროს მოესმა იოსებს ხახამ იცხაკის ხმა: — რა იყო, იოსებ, ხო არ მემდურია!

„ხო არ მემდურია?! — გაბრაზდა იოსები — ამდენი არ უნდა იცოდეს? ამდენს არ უნდა ხვდებოდეს? თორას კი ასწავლის ბაღებს!“

— იოსებ, რა მოხდა ამისთანა, რატომ მაქცეო ზურგი! — ისევ მოესმა იცხაკის ხმა.

„არა, რაღაც უნდა დამიჯდეს, პასუხი არ უნდა მივცე. მაგისტრის სჯობს ასე არ ვიცნობ, არ მიცნობს. საიდან უნდა ვიცნობდე? რა, ჩემი ბავშვი დადის მაგასთან? ბაღანა სად არ დარბის, ბატონო, დილა რომ გათენდება, მთელ დაბას შემობრუნეს, მაგი სად არ დადის, მოგტყვავ ფეხებს, თუ ყყოფილვარ იოსებ ხახიაშვილი!“ — იოსები გეგმას კიდევ უფრო ხვეწდა, ამუშავებდა, მაგრამ ეს საქმე ხმაურმა შეაწყვეტიდა. მერეღა მიხვდა — ხმაური კი არა, მწყობრად, გამართული ნაბიჯებით მომავალი ადამიანების ფეხის ხმა იყო. „მოდიან“, — გაიფიქრა იოსებმა. ფეხის ხმა რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო დამთრგუნავი ხდებოდა. იოსებს ეჩვენებოდა, რომ

ჩექმების ქუსლებს იატაკს კი არა, მის გულს ურტყამდნენ. ამიტომ გული ეკუმშებოდა, ეწურებოდა.

ოთახში რამდენიმე კაცი შემოვიდა. შემოსულთ წინ ის ჭალარათმანი, ცისფერ-თვალეზა — ნაწილის უფროსი მოუძლოდა. იოსებმა უცებ დაითვალა, რამდენიც იყვნენ.

„სამხედრო ტრიბუნალი! ესე იგი, შვიდი კაცია სამხედრო ტრიბუნალი! რავა უცინის სახე ამ უფროსს. ქორნილში მოხვედი, შე შობელძაღლო?!“

ნაწილის უფროსი იცხაკისაკენ გაეშურა („აბა, ხომ მართალი ვიყავი, აბა, ჩემთან რა საქმე აქვს!“), ხელი ჩამოართვა და რაღაც უთხრა. იოსებმა ვერ გაიგო, რა თქვა უფროსმა. კი გაიგონა, მაგრამ ვერ გაიგო. ვერც იცხაკმა გაიგო. მერე აქეთ, იოსებისაკენ მობრუნდა ნაწილის უფროსი, ხელი გამოუწოდა, ჩამოართვა და თქვა: — შალომ! თქვენი სახელი? — იოსები, ბატონო! — შალომ, იოსებ, შალომ!

სიტყვა „შალომის“ გაგონებამ იოსები, ცხადია, დააბნია, მაგრამ მალე მოვიდა გონს: — ამათ ხომ ყველაფერი იციან, ყველაფერს სწავლობენ. ახლა მომეფერებიან, რომ უცებ დავამღერო ყველაფერი, რაც ვიცი. სწორედ მაგ ჭკუაზეა იოსები!“ — გაიღიმა.

ნაწილის უფროსის მომყოფნი ჯერ იცხაკთან მივიდნენ, პატივისცემით ჩამოართვეს ხელი, მერე — იოსებთან. ყველა „შალომს“ ეუბნებოდა, ლამის ეხვეოდნენ იოსებს.

ნაწილის უფროსმა დარბაზში მყოფთ თვალი მოავლო, შეკრებილნი დაითვალა და თქვა: — ესე იგი, მინიანი ვართ, ხომ? — მინიანიო?! — ყურები ცქციტა იოსებმა.

— დიხ, ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი დავალება შესრულებულია. მინიანს თავი მოვუყარე. მთელ ნაწილში რვა ებრაელზე მეტი არ აღმოჩნდა, ჰოდა ორი... იოსების ყურს რაღაც უცნაური სიტყვები ესმის. „რა ხდება დღეს აქ?“

ნაწილის უფროსმა მარჯვენა ხელი ასწია.

— გამალობო, მიხელო ლაზარიჩ. მთავარია, რომ რაბი მობრძანდა ჩვენთან, — ხახამ იცხაკს შეხედა და ისე თბილად გაუღიმა, გული გაგინათებოდა.

მერე ნითელმად გადაფარებულ მაგიდასთან დაჯდა. ჩაფიქრდა, თავი ასწია, რაღაცის თქმა დააპირა. აღარ თქვა. სავარძელს შეხედა, არ მოეწონა, სავარძელში რომ იჯდა, მყისვე წამოხტა: — ამხანაგებო! — ხმაში ისეთი სისუსტე ეტყობოდა, იფიქრებდით, წამოიკნავლაო.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, რა ხდება? — ხმადაბლა, დინჯად იკითხა ვილაცამ.

ნაწილის უფროსი კვლავ დაჯდა, მაგიდაზე გადმოიხარა და ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, წამოგდა. აშკარა იყო, რაღაც არ მოსწონდა, რაღაცას ეძებდა და ვერ ეპოვნა.

— ბატონებო! — თქვა მერე, მაგრამ უცებ ლენინისა და სტალინის პორტრეტებს მოჰკრა თვალი და შეკრთა. იოსებმაც ახედა ლენინისა და სტალინის პორტრეტებს. ორივე ილიმოდა. სტალინი, როგორც ჩანს, ვილაცას ესალმებოდა. შეკრებილნი დაიძახნენ. ნაწილის უფროსს ზოგი გაოცებული მისჩერებოდა, ზოგიც — კითხვის გამომხატველი მზერით, უფრო მეტი კი — გაოცებული.

ნაწილის უფროსმა, ისე, რომ პორტრეტებისათვის თვალი არ მოუცილებია, უცებ წამოიძახა: — ებრაელო! — და სახეზევე დაეცყო, რომ იპოვა ის სიტყვა, რომელსაც დაეძებდა, ამიტომ საოცრად კმაყოფილმა და აღტაცებულმა უცებ, სხაპასხუპით წარმოთქვა, — ისრაელთა შვილნო, მოგილოცავო, ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი სახელმწიფო: გუშინწინ, 15 მაისს, დავით ბენ გურიონმა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა გამოაცხადა! ებრაელთა სახელმწიფო აღდგენილია ჩვენი დიდი ბედისადაც — ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დიდი დახმარებით! — წამოიძახა და, როგორც ვალმოხდილმა ადამიანმა, თავისუფლად ამოისუნთქა.



ბურამ პეტრიაშვილი ღრმად ეროვნული საბავშვო მწერალია, მის ნაწარმოებებში ნამდვილი ქართული ხასიათია შემონახული და ამავე დროს, როგორც წესი, ასეთი მწერლები საერთაშორისო აღიარებასაც იმსახურებენ.

მაინც რითაა ეს მწერალი გამორჩეული? თუკი შევთანხმდებით, რომ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი ღირსება ორიგინალური სიუჟეტია, მაშინ ვიტყვი, რომ გურამ პეტრიაშვილი სიუჟეტის შეთხზვის ოსტატია.

მაგალითად მოვიყვან მისი ერთ-ერთი ზღაპრის პერსონაჟ ბიჭუნას, რომელიც სიზმრებში კრეფს საოცარ ყვავილებს და გამოაქვს ცხადში. ეს ზღაპარი მთავრდება იმით, რომ ამ ყვავილებს სხვა, პატარა გოგონა, საკუთარ სიზმრებში გადარგავს და იქ ახარებს. თუ ბიჭუნას ყვავილები მხოლოდ ღამით არსებობდნენ და დღისით ქრებოდნენ, ამ გოგონას ყვავილები სამუდამოდ რჩებიან.

სხვა ზღაპარში კი ცხოვრობს ისეთი კაცი, მთელი ცხოვრება ქარს რომ ებრძვის. დასდევს ქარისგან მოტაცებულ ქუდებს და... თურმე რა: ქარის დამორჩილება იმად უნდა, რომ მერე ნიავად აქციოს, რათა ამ ნიავმა კაცის საყვარელ ქალიშვილს ნახად შეურხიოს კულულები.

კიდევ ერთ სიუჟეტს გავიხსენებ: ერთი უცნაური კაცია, ყვავილოვან მინდორზე თავდაყირა დადის და ღამაზე ყვავილებს ყნოსავს, მაგრამ ერთი „ნესიერი“ მოქალაქე შეუჩნდება, გინდა თუ არა, ფეხზე დადგება და... როცა ეს კაცი ფეხზე დადგება, მამინვე ისე გაიზრდება, თავით ცას მიწვდება და ახლა ყვავილების ნაცვლად ვარსკვლავებს ყნოსავს...

ყველა მკითხველი, რომელიც კეთილ მეზღაპრეს — გურამ პეტრიაშვილს — დაუჯერებს, მისი თხზულებების შინაგან რიტმს აჰყვება და გაითავისებს, დაიბრუნებს გულწრფელობას, იმ უშუალოდ, რომელიც მხოლოდ ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი. ამით კი, ალბათ, უფლისკენ მიმავალ გზას გაიკაფავს.

ოცნება თუ სინამდვილე, სულიერება თუ მატერიალიზმი, ხელოვნება თუ პრაგმატიზმი?! სწორედ ეს პრობლემებია დასმული „დიდ ხეზე მცხოვრები კაცუნების ამბავში“.

„ცხოვრებაში ასეა, კაცს სილამაზე რომ აღარ ატკობს და მის მშვენიერებას ვეღარ გრძნობს, მსჯელობას იწყებს,“ — შენიშნავს ავტორი და ბევრი ისეთი მოვლენის ახსნას ცდილობს, რაზეც ხშირად ჩაფიქრდება ბავშვი, რაც მხოლოდ მისთვისაა გასაგები და მისაღები.

„წვიმის მოყვარული კაცის ამბავში“, ქოლგების წარმოშობაა მონათხრობი და ისიცაა ნათქვამი, რომ სწორედ ყვავილები იყვნენ ამქვეყნად პირველი ქოლგები. ამ უცნაურ ქალაქშივე აღმოცენდება ცისფერი ყვავილი (და აქვე ასოციაციით მოგვაგონდება ნოვალისისა თუ მეტერლინკის ლურჯი და ცისფერი), სიმბოლო ოცნებისა, იმ ოცნებისა, ზემოთ რომ ვახსენეთ.

ცისფერი ყვავილი, იისფერი ღრუბლები, ჩრდილფერადა კაცი — ფერთა გამას, ყოველ ფერს, ერთი ნაკითხვით თითქმის უმნიშვნელო დეტალზეც კი, თავისი დატვირთვა აქვს გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებში. აქ არაფერია ზედმეტი. ამ შემთხვევაში თითქმის მათემატიკური ალღოთა გათვლილი (მწერლის პირვანდელი პროფესიაც ეს გახლავთ, მათემატიკოსია), სად დასვას წერტილი, სად დაასრულოს ზღაპარი. რიტმული პროზისთვის დამახასიათებელ ხმოვანებასაც ხშირად წავანყებდებით და ხანდახან თუკი ამას ფრანკის გამართვა მოითხოვს, თანამედროვე ქართული პროზის აუცილებელი სინტაქსური წყობაც დარღვეულია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც რომ, ამ ზღაპრებში ვერ ნახავთ ისეთ თემებს, რომლებიც უფროს, მონიჭულ ადამიანებს არ ანუხებდეს. უფრო მეტიც, ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ყველაფერი არა უმცროსკლასელთათვის, არამედ ჩვენთვისაა დანერგილი და მხოლოდ კონსპირაციის მიზნით ცვლის მწერალი ადრესატს.

ამ მოსაზრების დასტურად, მინდა მოვიხმო ჯარჯი ფხოველის ერთი ჩანაწერი:

„უკრაინელ ანდრუსიას მისთვის (გურამ პეტრიაშვილისთვის) XXI საუკუნის ოსკარ უაილდი დაურქმევია, მე კი ვიტყვი: რომ ის არის XXI საუკუნის გურამ პეტრიაშვილი, დიდად ნიჭიერი


ქართველი საბავშვო მწერალი, მაგრამ მარტო საბავშვო მწერალი როდია... ასე ვთქვათ: სადილო საბავშვო მწერალი, ანდა ასე: საბავშვო სადილო მწერალი“ („ლიტერატურული გაზეთი“ N1, 2016 წელი).

ამ ტიპის ზღაპრები (ანუ სადილოც) ბევრი აქვს გურამ პეტრიაშვილს. გავიხსენოთ თუნდაც ერთ-ერთი მათგანი — „ამბავი ნალვლიანი კლოუნისა“.

ვნახოთ, როგორ იწყებს თხრობას: „ერთხელ პატარა ქალაქს, მეტად უცნაური სენი შეეყარა: ქალაქის მცხოვრებთ ჩემოდნები შეუყვარდათ ძალიან... სულ ჩემოდნებს დასტრიალებდნენ მათი ფიქრები. ბინიდან გასვლისას ჩემოდნით ხელში დიდ სარკესთან მივიდოდნენ და ჩაიხედავდნენ. მიტრიალებდნენ, მოტრიალებდნენ... არ გვეგონოთ, თავის სახეს აცქერებდნენ, არა, ამონებდნენ, ჩემოდანი ხომ ლამაზად გამოიყურებაო. მერე ასწევდნენ თავს და ამაყად გადიოდნენ ქუჩაში“.

ჩემოდნის სიმბოლოში ბევრი რამ შეიძლება მოვიპოვოთ — მკითხველთა ნაწილისთვის და მათ შორის, ალბათ, თვითონ ავტორისთვის, მძიმე ჩემოდანი გადაჭარბებული სიმდიდრის სინონიმია (ზოგნი ჩხიკვიშვილი

# კეთილი მეზღაპრე



თათვის ცოდვათა სიჭარბის მამხილებელი), ან სულაც ამქვეყნიური საზრუნავით დაგროვილი დარდისა და ვარამის დამტყევი.

ასეთ ქალაქში მხოლოდ ერთი კაცია გამორჩეული, ჩემოდნის გარეშე დადის, პალტოს საყელო აუნევია, ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და ნალვლიანად მიუყვება ქუჩას — ასეთი კაცი უფროსი თაობის მკითხველისთვის თუ ნამდვილად პოეტია, თურმე ნუ იტყვიან, პატარებისთვის, კლოუნი, პიერის მემკვიდრე ყოფილა, საყვარელი და ახლობელი ადამიანი. აი, თურმე რით განსხვავდებიან პატარები უფროსებისგან: ოცნება, რომელიც პატარებისთვის ასეთი იოლია, უფროსებისთვის დიდი ხნის გადავინყებულ რამ გახლავთ. და ესაა მიზეზი ჩვენი უსიხარულო ცხოვრებისა.

წელან პეპლები, ცისარტყელები, იისფერი ღრუბლები, ცისფერი ნათება, ქოლგებად გადაქცეული ყვავილები ვახსენეთ, ამჯერად ამ ჩამონათვალს პანია ჩიტუნებიც უნდა დავემატოთ. მათ შორის ერთი უცნაური ბელურა, რომელიც ულამაზეს ჩიტაც იქცა.

საერთოდ, ეს ჩვეულებრივი პეპლები, ჩიტუნები, ღრუბლები, პანანინა ბუკემოთი, თუ მფრინავი ვეშაპი, მეზღაპრის სამყაროში ჯადოსნურ ძალას იძენს. პრაგმატული თვალთდანახვილ ანომალიურ მოვლენებში მწერალს კანონზომიერების დანახვა სურს და ხანდახან ისეთ რამესაც აღმოაჩენს, რომ პირდაპირ შეგშურდება. მერე გაგიკვირდება, ეს ყველაფერი ხომ ჩემს თვალწინ ხდებოდა და რატომ მე ვერ შევამჩნიე?!

ამის საილუსტრაციოდ კიდევ ერთი ზღაპარი მინდა შეგახსენოთ. ეს ზღაპარი იმ კრებულშია დასტამებული „მთვარით განათებული ჩიტის ზღაპრები“ რომ ეწოდება, ეს არის ერთი მუსიკოსის აღზევებისა და შემდგომ მისი დაცემის ამბავი.

ზღაპარი სიუჟეტურად ისეა აწყობილი, ვერცერთ დეტალს ვერ ამოიღებ და ვერც ჩამატებ. თხრობა ისეთი შინაგანი რიტმით ვითარდება და ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მართლაც

კლასიკური მუსიკის რომელიმე ნიმუშს ისმენ.

ვფიქრობ, ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია ამ ზღაპრის კითხვისას.

და კიდევ ერთი გარემოებაც — გურამ პეტრიაშვილის ზღაპრის ფსიქოტიპები, ჩვენს შორის მოსიარულენი და მაინც... არაორდინალური ადამიანები არიან. ისეთები, რომლებიც საკუთარ იდეას სიცოცხლის ფასადაც კი ენერჯიან და ამით ემიჯნებიან საზოგადოების გულგრილ წევრებს. რადგან გარშემო მყოფნი, როგორც წესი, ისეთი გულგრილი არიან მეოცნებებისადმი, რომ ამ უკანასკნელთა ფიზიკური არსებობა ასეთ ატმოსფეროში თითქმის წარმოუდგენელია.

კვლავ იმ უცნაურ მუსიკოსს მინდა მივუბრუნდეთ. მწერალს სურს, რომ ბავშვები ისეთ ფაქიზ საკითხზე ჩააფიქროს, როგორიცაა მშობლიური ფესვები და გარემო. ამ შემთხვევაში მშობლიურ ფესვებად თუ ნიადგად იგულისხმება ის პიანინო, რომელზეც დედამისიც უკრავდა და რომლის კლავიშებიდანაც აფრინდებოდნენ პეპლები.

მუსიკოსმა საკუთარი პიანინო, თავისი პატარა მყუდრო საკონცერტო გარემო, პომპეზურ ატმოსფეროსა და ძვირფას ინ-

სტრუმენტზე გაცვალა და ამიტომაც დაისაჯა: დაკარგა ინდივიდუალურობა. უფრო მეტიც, მან, როგორც გამორჩეულმა და ცნობილმა პიანისტმა კარიერა დაასრულა. თუმცა კი ამ ფასკითი მის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი — დაბრუნება საკუთარ ფესვებთან.

აქვე უყვარულის თემატიკაზეც მინდა შევჩერდე. ყვავილის სიყვარულის სინონიმად მოხმობა, ბუნებრივია, რაღაც განსაკუთრებულ მიგნებად არ შეიძლება ჩაევთვალოს მწერალს, მაგრამ აქ საინტერესოა ერთი გარემოება, თუ როგორი სიყვარულის მქადაგებელია მეზღაპრე? ჩვეულებრივი დამინებული გრძნობისა, თუ იმ სიყვარულისა, რომელიც ლეგენდადაც კი შეიძლება იქცეს?!

რა თქმა უნდა, მაღალი იდეალების მქონე სიყვარულის მომხრეა. გავიხსენოთ ზღაპარი „ყვავილი“. აქ მთავარი პერსონაჟი ის უცნაური კაცია, რომელიც არარსებულ უცხო ყვავილს ეძებს.

ეტყობა, ნამდვილი სიყვარული მართლაც ჰგავს რაღაც მთის უცხო, ალისფერ ყვავილს, იმ ყვავილს, რომლის არსებობა შენ თუ არ გამოიგონე და შენვე თუ არ იწამე, ვერ გაიხარებს. ამ ზღაპარში ორი სანყისი ებრძვის ერთმანეთს. ამ შემთხვევაში მსხვერპლია ამ იდეალის — დიდი სიყვარულის მატარებელი, რომლისთვისაც მსხვერპლშენიერვა ნამდვილად ღირს.

თუ არა მსხვერპლშენიერვა, მაშინ სიყვარული გაქრება. ასეთია ავტორისეული ჩანაფიქრი.

ამ ყველაფერზე გურამ პეტრიაშვილი ძალიან ფაქიზად, ტაქტის გრძნობით ესაუბრება ყმანვილებს და ამითაც საუკეთესო მაგალითს აძლევს ბევრ მის კოლეგას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, დამწყებ მწერლებს.

რაკი ტაქტი ვახსენე, მინდა ყურადღება ერთ მწერლისეულ ხერხზე შევჩერო — იმისთვის, რომ მკითხველთან უშუალო ურთიერთობა შეინარჩუნოს, ხშირად ინციტივას მას გადასცემს, თანავეტორად ის-

დის. თითქოს დანყებულ სათქმელს ბოლომდე არ ამბობს და ამით მკითხველის ჩათრევას ცდილობს შემოქმედებით პროცესში: გავიხსენოთ ერთი ასეთი მაგალითი (ზღაპარი — „კაცი და ქარი“):

„თუ როგორ უცქერდნენ ქალიშვილს მოხუცები და რას გრძნობდნენ, ამის გადმოცემას მე ვერ შევეცდები, უნდა მაპატიოთ, რადგან ძალზედ ძნელია...“ მერწმუნეთ, ეს გამოწვევა განსაკუთრებულ გამოძახილს ჰპოვებს პატარა მკითხველებში და, ალბათ, ისინიც მთელი მონღოლებით შეეცდებიან, „ნაეშველონ“ მეზღაპრეს.

სხვათა შორის, არც ირონია და სარკაზმი უცხო გურამ პეტრიაშვილის საბავშვო პროზისთვის.

გავიხსენოთ ზღაპარი „მღებავი და გაუცინარი კაცი“. ვნახოთ, როგორ ახასიათებს გაუცინარ კაცს:

„იმიტომ არ იცინოდა, რომ თავის თავს ბრძენად თვლიდა და ფიქრობდა, ბრძენი ადამიანი მუდამ სერიოზული უნდა იყოს. საკვირველი ის იყო, რომ ქალაქის მცხოვრებნიც ბრძენად მიიჩნევდნენ ამ კაცს, თუმცა ერთი სიტყვაც არ გაეგოთ მისგან. ეტყობა ბევრი ფიქრობს, ვინც სერიოზული სახით დადის, ის აუცილებლად ჭკვიანიაო.“

კიდევ ერთი მაგალითი:

„ამ ქალაქში ერთი დიდი ეშმაკი კაცი ცხოვრობდა. ეს კაცი პოეტი იყო. მისი ეშმაკობა ის იყო, რომ ლექსებს ყოველთვის იმაზე წერდა, რაზეც იმ წუთში იყო მიტქმა-მოტქმა. ეტყობა ყველას უხარია, როცა გარიტმულს ნაიკითხავს, რაზეც ყოველდღე თვითონაც საუბრობს ნაცნობებთან, ამიტომაც იმ პოეტის ლექსებს ყველა დიდი ინტერესით კითხულობდა.“

გარდა ამ პოეტისა და ფილოსოფოსისა, ვაიმეცინიერნი და მნიგნობარნიც ჰყავს ირონიითა და სარკაზმით „შემკობილი“. ამ პერსონაჟს მცოდნე ჰქვია, რომელიც მხოლოდ წიგნების სამყაროში ცხოვრობს და მისი ცოდნა, ცოტა არ იყოს, კომიკურად გამოიყურება. მაშინ, როცა ცხოვრებისეული სიბრძნის ახსნას სთხოვს ჩვენი მეზღაპრე, მას ყოველი მოვლენისა და უფაქიზესი ნიუანსების ახსნა მხოლოდ წიგნებიდან ამოკითხული მზა რეცეპტით თუ წარმოუდგენია. არადა, არსებობს სულიერი სამყარო, სადაც ბევრი რამ მხოლოდ ინტუიტიური წვდომით თუ აიხსნება, ალბათ, ამიტომაც სტოვეებს ავტორი ამ მნიგნობარს თავისი წიგნების ზღვაში ჩაყვინთულს და მხოლოდ შემოქმედის ალღოთი ცდილობს, ჩანაგდეს მნიგნობრისათვის აუხსნელსა და გაუგებარ მოვლენას.

„მცოდნე ალარსად ჩანდა, მხოლოდ წიგნების ვეება გროვა იდგა ოთახში.“

— არ შეგეშინდეთ, ახლავე გიშველით, — დავუძახე და წიგნების გადმოლაგებას შევუდექი.

— ნუ შეწუხდებით, მე თვითონ... — მოისმა მკაცრი ხმა და მივხვდი: მცოდნეს სიამოვნებდა წიგნები გროვად რომ ეყარა ზედ. ალბათ წარმოიდგინა, ცოდნის ოკეანეში ვარ ჩაყურყურმაღავეებულიო.“

ასეთი და მსგავსი მაგალითების მოხმობა ამ ტექსტებიდან მრავალადაა შესაძლებელი, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ დაბეჯითებით გავიმეოროთ ის, რაც წელან ვახსენეთ — გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები მხოლოდ ყმანვილთათვის რომ იყოს განკუთვნილი, იქნებ ასეთ დეტალებს ვერც კი ნავწყვდომოდით, მაგრამ მათში ბევრი რამ საჩვენოდ, დიდებისთვის არის ნაგულისხმევი.

ამ თემაზე თუ განვაგრძობთ საუბარს, შეიძლება დავასახელოთ საბავშვო დეტექტივი „ელისა და რარუს თავგადასავალი.“

აქაც, ამ შემთხვევაშიც, ყველა პერსონაჟი განსაკუთრებული მისიითაა შერჩეული, ნაწარმოების ფინალში სიკეთე ბოროტებაზე იმარჯვებს. უარყოფითი პერსონაჟებიც კი საბოლოოდ ისწავლიან ჭკუას და ბევრიც სასიკეთოდ გამოსწორდება. ამდენად, ნაწარმოების ყველა პერსონაჟი, კეთილიცა და ბოროტიც, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელია.

საინტერესოა, კიდევ ერთი კანონზომიერება — კეთილ პერსონაჟებს რიცხოვნობა, ბოროტნი, უარყოფითი პერსონაჟები სჭარბობს, ისევე როგორც რეალობაში, მაგრამ ზღაპრის მთავარი პრინციპიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ბოლოსდაბოლოს, სიკეთე იმარჯვებს და ამარცხებს ბოროტს. თუმცა ბოროტების დათრგუნვა არც ისე იოლია, მით უფრო

მამინ, როცა ამ საზოგადოების დიდი ნაწილი ასეთი მორალით ცხოვრობს: „დღეს ეს იმდენი, ხვალ ის იმდენი, ამჟამად აპყვი, დამყოლს დაჰყვიო.“

გავიხსენოთ ასეთი პერსონაჟის — ზოოპარკის დირექტორისა და პატარა ელის დიალოგი:

— მართალს გეტყვი, მართალი ხარ, მაგრამ მადარდებს, რომ ზოოპარკს ცუდი დირექტორი ეყოლება, არ მინდა, რომ მე დაგვარგო დირექტორობა.

— დირექტორობა გიყვართ? — გაუკვირდა ელის ასეთი გულახდილობა, — რატომ?

— იმიტომ, რომ ჭამა მიყვარს ძალიან. — ჭამა?

— ჰო, თანაც ნაირ-ნაირის, ჩემს ცხოველებს საუკეთესოდ ვკვებავ. ყველა საქმელს, ვიდრე იმათ მისცემენ, მე ვსინჯავ. ამიტომ მინდა დირექტორობა.

ასეთია მისი აღსარება და ამიტომაც საზოგადოების ასეთი წევრები, ვგონებ, უფრო საშიში არიან, ვიდრე, გამოკვეთილად ბოროტი ადამიანები.

ამ ნაწარმოების კითხვისას იოლად მიხვდებით ავტორისეულ ჩანაფიქრს — ყველა ის ადამიანი, რომელიც სიკეთეს იცავს, ან ხელოვანია, ან კიდევ ხელოვნებაზე შეყვარებული მეოცნებე, ჩვენი მეზღაპრეც თავისი საუკეთესო პერსონაჟებითურთ, სწორედ ამ ხელოვანთადა სიკეთის დამცველად ადამიანთა გვერდითაა.

ამ ადამიანებს ერთი იდეა აერთიანებთ, გადაარჩინონ სპილო, რომლის მესაიდუმლეც იონას ექვსი წლის გოგონა ელია.

აქაც, ამ საბავშვო დეტექტივში, მწერლის ენა ლაკონურია და ძუნწი. რიტმული პროზისთვის დამახასიათებელი სტილური თავისებურებებით გამოირჩეული.

ამ ვრცელმა მოთხრობამ განსაკუთრებით გაუთქვა მწერალს სახელი. 2006 წელს, კონკურსში — ვეროკონი (ვეროპის ფანტასტიკის კონკურსი) ნომინაციაში „9+“ სწორედ „ელი და რარუს თავგადასავალმა“ გაიმარჯვა და პირველი ადგილი აიღო.

ასევე უკრაინულად თარგმნილმა ამ ნაწარმოებმა, ერთ-ერთი უკრაინული გამოცემლობის მიერ მოწყობილ საბავშვო კონკურსშიც უპირობო პირველობა დაიმსახურა.

გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო შეფასებას უკრაინული პროფესიონალებს:

ოლექსა სინიჩენკო (მთარგმნელი): „მუშაობა ამ საბავშვო ტექსტზე, მისი თარგმნა ჩემთვის ნამდვილი ნეტარება იყო. სამწუხაროდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ, თითქმის არავინ იცის ამ ნიჭიერი ქართველი პროზაიკოსის ნაწარმოები, მაგრამ რომ გამოცხადდეს დახურული მსოფლიო კონკურსი საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებზე, ალბათ, ეს ნაწარმოები პრეტენდენტი იქნება საპრიზო ადგილისა“ (ამონარიდი პირადი მიმონერტიდან).

ოქსანა ფირიაევა (ჟურნალისტი): „თუ რეინკარნაცია მართლაც არსებობს, მაშინ გურამ პეტრიაშვილი, შეგვიძლია მივიჩნიოთ ჰანს ქრისტიან ანდერსენის თანამედროვე განსხვავებულად. მისი უსაზღვრო სიყვარული ადამიანებისადმი, მისი უნარი, დაინახოს სასწაული ძალიან ჩვეულებრივ ამბებში და უნიკალური ნიჭით, მთელი არსებით შეიგრძნოს სხვისი სიხარული, ტკივილი და მწუხარება“ (ჟურნალი „კინო და თეატრი“, 2005წ. №6).

ივან ანდრუსიაკი (პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი):

„ვილაპარაკებ ნამდვილ შედეგზე — გურამ პეტრიაშვილის ვრცელ მოთხრობაზე — „ელი და რარუს“. ის მარადიულზე ლაპარაკობს მარადიულის ენით, ამისი უნარი ძალიან ცოტას აქვს. ვიტყვი, ერთეულებს და დღეს ასეთი გამოწვევისი გურამ პეტრიაშვილია. ვურჩევდი ყველას, წაუკითხოთ მისი შემოქმედება ჩვენს ბავშვებს და წაკითხვით ჩვენც, რადგან იგი წერს იმაზე, რაც ასე გვტკივა. გველაპარაკება ისე, როგორც გვტკივა... და ეს უნდა ვიგრძნოთ, თუკი ჩვენ ისევ ადამიანებად დავრჩით“ (ყოველკვირეული გაზეთი „ხალხის სიტყვა“, 2006 წელი).

ამგვარი შეფასება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რამდენად საინტერესოა და მნიშვნელოვანი გურამ პეტრიაშვილის საყვარელი შემოქმედება.

დასასრული

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

მერე თეთრნარბეა, სქელი ოფიცერი წამოდგა, მას მეორე მოჰყვა — სათვალისანი, მერე — მესამე... მალე ნაწილის უფროსის ირგვლივ წრე შეიკრა. ადამიანები უხმოდ მოძრაობდნენ, თითქოს მეტყველების უნარი წართმევიათ. იმ სქელმა, თეთრნარბეამ იკითხა:

— არკადი იოსეფოვიჩი, — მღელვარებისგან ხმა ჩაუწყდა, — არკაშა, რას ამბობ, შენ იცი, რა თქვი?!

— მოგილოცავთ, ძმებო, მოგილოცავთ, გუშინწინ, გუშინწინ!

— ამხანაგო პოლკოვნიკო!

— არკადი იოსეფოვიჩი!

— რას ამბობთ?!

— საიდან გაქვთ ეს ცნობა?

— ეს დღეები ისტორიულია ჩვენი ხალხისათვის — ჩვენი დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის მხარდაჭერით გამოცხადდა ისრაელის სახელმწიფო! აი, ამიტომ გთხოვთ სააღლუმოდ მორთულნი მოსულიყავით წითელ კუთხეში. დღეს ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ღმერთს იმით, რომ ერთად ვილოცოთ. მინიანი შეგვკრიბე, რა-

გურამ ბათიაშვილი

ერთ პატარა დაბაში...



ბიც აქ არის. ქუდი ყველას გახურავთ.

იოსები გაბეჩებული წამოდგა. ვერც მიმხედარიყო, რა ხდებოდა. ის კი გაუცხადდა, რომ აქ არც პატიმრად მოუყვანიათ და არც — მოწმედ. მაგრამ... ამ ხალხს რაში ეკითხებოდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, ან ამ ფაქტის გამო სიხარული? ის იყო, იცხაკთან მისვლას და ამის გარკვევას აპირებდა, იცხაკმა ხმამალა, ხალი-სიანად ლოცვა დაიწყო.

ხახამ იცხაკს ისედაც კარგი ხმა ჰქონდა, დღეს მის მოსმენას არაფერი სჯობდა — ღვთის ანგელოზივით გალობდა. იოსები კი, გაოცებული შესცქეროდა დარბაზში შეკრებილთ — არაქართულად მოლაპარაკე ამდენი ებრაელი არასოდეს ენახა; ცხადია, იცოდა, ებრაელები რუსეთშიც რომ იყვნენ, მაგრამ ასე კარგნი, ასე წარმოსადგენი, ასეთი სიტყვა-პასუხის პატრონი და ამისთანა ებრაელები? აბა, ეგენი ღორის ხორცსაც არ ერიდებიაო? შეხედე, რა მოწინებთ დგანან სალოცავად!

მაგრამ უფრო გამოგნებელი ის იყო, რაც ნაწილის უფროსმა თქვა — მისი ნათქვამის არსს სწორედ ახლა, ლოცვის პროცესში ჩასწვდა იოსები. „ისრაელის სახელმწიფო გამოცხადდაო, ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან? ისრაელის სახელმწიფო, ესე იგი, ისრაელთა, ებრაელთა, ჩემი სახელმწიფო?! ამას წინათ თბილისიდან ჩამოსული იანკელი რო ლაპარაკობდა... მოიცა, მოიცა... ვის არ უნდა, ისრაელისშვილებს თავისი სახელმწიფო ქონდეთო? ინგლისი! კი ბატონო, ინგლისიო! და დავით ბენ გურიონმა ინგლისს მოუგრიხა კისერი? ბიჭი მაგ ყოფილა, მაგან უნდა თქვას, კაცი ვარ, ქუდი მხურავს, გამჩენს უცვნია ჩემი საქმეო!“ იოსებს ამ ფიქრისას გააჟრჟოლა.

ოცდაათ წელს გადაცილებული, ჯან-ლონით სავსე კაცი იყო და გულის ასეთი შეფრთხილება, როგორც გაჟრჟოლებას მოჰყვა, არასოდეს უგრძენია.

ხახამ იცხაკი კი ანგელოზივით გალობდა.

თავი ასწია. სამხედრო ფორმაში მორთულ ხალხს გადახედა. რა ლამაზები იყვნენ, როგორ უბრწყინავდათ სახეები! ის ოფიცერი, რომელმაც იოსები აქ მოიყვანა, მაგიდაზე თევზებს, ჭიქებს, არყით სავსე ბოთლებს, ხილს, კონსერვებს, ხიზილალათი სავსე ჯამებს ალაგებდა.

ხახამ იცხაკმა ლოცვა დაამთავრა თუ არა, ნაწილის უფროსმა ჭიქა ასწია.

— მობრძანდით, ებრაელებო, დავლოცოთ ჩვენი სახელმწიფოს დაბადება. ბედნიერი იყო! — შესძახა, არაყი გადაჰკრა და ისეთი ებრაული სიმღერა წამოიწყო, იოსებს ლამის არაყი გადასცდა. სიმღერა სწორედ ეს იყო. აბა, ის არის სიმღერა, შალიკო მეგარმონე რომ დააღებს პირს და ყროყინებს? სიმღერა დამთავრდა თუ არა, ოფიცრები ნაწილის უფროსს მივარდნენ, ხელში აიყვანეს და ბურთივით ისროლეს ჰაერში, თან შესძახეს:

— ლეხაიმი!

ისევ მალა ააგდეს და ისევ შესძახეს:

— ლეხაიმი!

მერე ვილაცამ სიმღერა წამოიწყო: ლე-

ხაიმი! ლეხაიმი!

— ისრაელები ესენი ყოფილან, რამდენი სიმღერა სცოდნიათ! — ხახამ იცხაკს

ეს ორი მფრინავი.

— Дай водку! — გორბატოვმა ერთმა.

იოსები უცებ წამოენთო, სიბრაზე სახეზეც დაეტყო.

— არ არი ვოდეკა. მარშ, მარშ აქედან! აბა, ახლავე მოუსვით!

არაყზე მისულ მფრინავებს ასეთი სიტყვები არასოდეს სმენიათ, ამიტომ ერთ-ერთმა მფრინავმა იოსებს მხარში ჩაავლო ხელი, შეაჯანჯლარა და უყვირა:

— Ты что, мудака, не слышишь! Дай водку!

ფრაზა დამთავრებული არ ჰქონდა, იოსებმა რომ შესძახა:

— ვის უბედავ, შე ლანირაკო! — და მარჯვენა ხელი ქვევიდან ისე ძლიერ ამოჰკრა ყბაში, რომ მფრინავი შებარბაცდა. ეს დარტყმა თითქმის არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მერე მოხდა: იოსები მფრინავს მიადგა და ურტყა და ურტყა. მეორე მფრინავმა იყვირა, ხელიც მოიქნია, სხვა კი ვერაფერი მოასწრო. იოსების ნიჩბივით ფართო ხელი ისე მოხვდა სახეში, თვალბიდან ნაპერწკლები ჰყარა და სიმწრისაგან იკვივდა. ამ კივლი-მა მოახვდა თურმე ჭიშკართან ჩავლილი კალე წულაია. რომელიც მერე მეზობლებს უყვებოდა:

— ეს იოსები ვინ ყოფილა, მას მერე უფრო გადართია, ერთმა მფრინავმა ქამარი რომ შეიხსნა და იმით დაუპირა ცემა; ჩემი თავი კინოში მეგონა, იმ ჩხუბს ისე ვუყურებდი, როგორც კინოს, ის ბიჭები რომ გაიქცნენ, გული დამწყდა, რა კარგი კინო რა მალე დამთავრდა-მეთქი.

მფრინავები მართლა გაიქცნენ — ეზოდან თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ.

იოსები მისდევდა და რომელსაც მოიხელთებდა, იმას ურტყამდა. ერთმა ჭიშკართან ღობის მოგლეჯა და იოსები-სათვის თავში ჩარტყმა მოინდომა, მაგრამ ფიცარი ეგრე იოლად ვერ მოგლიჯა, ამიტომ მისასწრო იოსებმა, თავ-პირში იმდენი უბათქუნა, კალემ შესძახა კიდევ, ხო არ უნდა მოკლა ეგ ოხერიო.

— შეგრა ეგ მარჯვენა! — ჩილაპარაკა კალე წულაიამ და გახარებული გაუყვა თავის გზას.

\*\*\*

მეორე დილას იოსები ადრე ადგა, ეზოში თუ რა რკინა ეგულებოდა, ხელში მარჯვენად რომ დაეჭირა, კართან დაღო, მერე ქორწილში ნაჩუქარი ხანჯლა ცოცხებნა, ბალიშის ქვეშ ამოიღო: მაგათი ნდობა არ შეიძლება, იქნება გალახულებმა რაიმე სიგლაზე მოინდომონო. მერე ბაზარში გავარდა. ქათმები იყიდა, სალოცავში დააკვლევინა. ლიას სამი დაკლული ქათამი რომ დაუყარა წინ, ქალი გაოცდა, რა ამბავია, ქორწილი რა ხანია, გადავიხადეთო.

— შაბათს კარგი სტუმრები უნდა მოვიყვანო სახლში! — თქვა იოსებმა.

დაბათს ძროხას ხუთშაბათობით კლავდნენ. ხუთშაბათს ხორციც მოიტანა, სხვა საწოვაც მოზიდა და პარასკევს უფროსის დასაპატიჟებლად დილაადრიან მიადგა სამხედრო ნაწილს. ნაწილის უფროსისათვის უნდა ეთქვა, შენ და შენი მეგობრები ხვალ, შაბათს, სადილზე უნდა მესტუმროთო. მორიგეს მოახსენა, ნაწილის უფროსის ნახვა მინდაო.

მორიგე ზანტად მოუბრუნდა, ერთხანს უხმოდ უყურა და მერე თქვა:

— მეორე დღეა, ჩვენს ნაწილს უფროსი არა ჰყავს. ეგ და სხვა ჟიდებიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურაში წაიყვანეს. სიონისტები ყოფილან!

იოსები, ცხადია, ვერ მიხვდა, ნაწილის უფროსი რატომ უნდა წაეყვანათ სამხედრო პროკურატურაში, ან სიონისტობა რას ნიშნავდა და გულდანყვეტილი უხალისოდ მობრუნდა შინ: „ხომ იცი, სამხედრო ხალხის ცხოვრება — დღეს აქ არიან, ხვალ კიდევ შორს გზავნიან. ის საპატივცემული ხალხიც წასულა ჩვენგან, ტყუილად ნუ შეასკვები მაგ საქმეს“ — უნდა ეთქვა ლიასთვის, მაგრამ ჭიშკარს რომ მიადგა, მოულოდნელმა აზრმა გაუწაფა გონება:

— ამოდენა ამბავი მოხდა — ჩვენი სახელმწიფო შეიქმნა. თუ ისინი წავიდნენ, ჩვენს ჯამათს, მეზობლებს დავპატიჟებ, ერთმანეთს ხომ უნდა მივულოცოთ ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა?!

და ხალისით შევიდა ეზოში.



ფანტაზია, თრთოლვა, ფანტაზიის ალტკინება... ერვინმა ეს კარგად იცოდა. ტრამვაიში ყოველთვის მარჯვენა მხარეს ჯდებოდა, ტროტუართან რომ ახლოს ყოფილიყო. ყოველდღე, ორჯერ, ტრამვაიდან, რომელსაც იგი მიჰყავდა სამსახურში და სამსახურიდან — სახლში, ერვინი ფანჯრიდან იყურებოდა და გმირებს აგროვებდა.

ერთი ტროტუარი დილით დაამუშავა, როცა სამსახურში მიდიოდა, მეორე — საღამოს, როცა ბრუნდებოდა და როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაში, ტროტუარი მზეში ბანაობდა, თითქოს მზეც ასევე მიდიოდა და ბრუნდებოდა. მხვედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ქუჩაში ერვინი თავის სიცოცხლეში ერთადერთხელ მიუახლოვდა ქალს და იმანაც წყნარად უთხრა: „როგორ არ გრცხვენიათ, თავიდან მომწყდით“. ამის შემდეგ მათთან საუბრებს გაურბოდა. სამაგიეროდ, ტროტუარისგან ტრამვაის მინით განცალკევებული, ნეკნებზე შავპორთფელმიკრული და უზურგო, უგვანი მერხის ქვეშ ზოლიან, გაცრეცილ შარვალში ფეხებგაშვართული ერვინი თამამად, თავისუფლად უყურებდა გამვლელ ქალებს — და უცებ ტურზე იკებნდა — ეს ახალ ტყვეს ნიშნავდა, და მყისვე ტოვებდა და მისი სწრაფი, კომპასის ისარივით მხტუნავი მზერა უკვე შემდეგს ეძებდა. ისინი ერვინისგან შორს იყვნენ და ამიტომაც გაუბედაობა ხელს არ უშლიდა არჩევანის ფუფუნებაში. თუკი ისე მოხდებოდა, რომ სანდომიანი ქალი მის პირდაპირ დაჯდებოდა, მერხიდან ფეხებს თავისი ძალზე ჭაბუკური ნლებსთვის არანიშანდობლივი ჭმუნვის ყველა ნიშანთან ერთად გამოიღებდა და შემდეგ ვეღარ გადაენცივითა, შეეხებდა თუ არა მისთვის — და მაშინ შუბლის ძვლებზე, წარბებს ზემოთ, გაუბედაობისგან ისე სტყებდა, თითქოს რკინის ჩაფხუტი უჭერდა და თავის ანევის საშუალებას არ აძლევდა. და როგორი შვება იყო, როცა წამოდებოდა და გასასვლელისკენ გასწევდა. მაშინ თვალთმაქცურად დაბნეული, შემობრუნდებოდა, მზერით ჩანთქავდა ქალის მშვენიერ კეფას, აბრეშუმის კულულებს და თავის არარსებულ ჰარემს უერთებდა. და შემდეგ ისევ იღვრებოდა ფანჯრის ახლოს მზიანი ტროტუარი და ერვინიც გაჭიმავდა ერთ ფეხს, მინისკენ მიაბრუნებდა თხელ, ფერმკრთალ, ბოლოში შესამჩნევად ამოჭმულ ცხვირს, ამოირჩევა ტყვეს — და აი, რა არის ფანტაზია, თრთოლვა, ფანტაზიის ალტკინება...

ერთხელ, შაბათს, მაისის მშვიდ საღამოს, ერვინი, დროდადრო კბილებით დაჭერილი ქვედა ტუჩით, ღია კაფეში იჯდა და უსაქმურ გამვლელ-გამომვლელთ უყურებდა. ცა სულ ერთიანად ვარდისფერი იყო და მწუხრში რალაცნაირი არამინიერი შუქით ბრწყინავდნენ ფანჯრები, ნათურებიანი აბრები. მაღალმა, მუქრუხკოსტიუმთან ხანშიშესულმა ქალბატონმა, მძლავრად მოთამამე ბარძაყებით, მაგიდებს შორის გაიარა და ვერ ნახა რა მათგან ვერც ერთი თავისუფალი — დიდი, ელვარე, შავხელთათმინანი ხელი ერვინის პირისპირ თავისუფალი სკამის ზურგს დაადო.

— დიახ, გეთყავა, — ოდნავი წამოყვირებით უთხრა ერვინმა. ასეთი ზორბა, ხნიერი ქალბატონების ძალიანაც არ ეშინოდა.

ქალი უხმოდ დაჯდა. ჩანთა, რომელიც უფრო მართკუთხა, პატარა შავ ჩემოდანს ჰგავდა, მაგიდაზე დადო და ყავა შეუკვთა ერთ ულუფა ტორტთან ერთად. ხმა ბოხი, ხრინჩიანი, მაგრამ სასიამოვნო ჰქონდა.

ვეებერთელა, ვარდისფერი ლაქებით გავსებული ცა დაბნელდა. ტრამვაიმ ჩაიარა და სამოთხის ბრწყინვით აქვითინდა ასფალტზე. ჩაიარეს ქალებმაც.

— აი, ეს კარგი იქნება, — ტურზე იკბინა ერვინმა და რამდენიმე წუთის შემდეგ ნაიჩურჩულა, — და ესეც.

— არაფერია, ამის მოგვარება შეიძლება, — თქვა ქალბატონმა ისეთი მშვიდი, უხალისო ხმით, როგორითაც ლაქიას ელაპარაკებია.

ერვინმა განცვიფრებისგან წამოინია. ქალბატონი მას ჯიქურ უყურებდა, თან ნელა იხსნიდა და იძრობდა ხელთათმანს. მისი დატუშული თვალები, კაშკაშა, ყალბი თვლებივით, გულგრილად და მტკიცედ ბრწყინავდნენ. თვალებქვეშ მუქი პარკები დაბერვოდა. მოხსნილმა ხელთათმანმა

### ვლადიმერ ნაბოკოვი ზღაპარი

დიდი, დანაოჭებული ხელი გამოაჩინა, ნუშისფერი, ამოზნექილი, ძალზე ბასრი ფრჩხილებით.

— ნუ გიკვირო, — ჩაიცინა ქალბატონმა და შემდეგ ყრუ მთქნარებით დაუმატა, — საქმე ისაა, რომ მე ეშმაკი ვარ.

შემკრთალმა ერვინმა ეს ქარაგმად მიიღო, მაგრამ ქალბატონმა, რომელმაც ხმას დაუნია, განაგრძო:

— სულ ტყუილად წარმომსახვევ რქებიან და კუდიან მამაკაცად. მხოლოდ ერთხელ გამოვიჩნდი ამ სახით და მართლა არ ვიცი, რით დამისახურა ამ სახემ ასეთი ხანგრძლივი წარმატება. მე სამჯერ ვიბადები ორ ასწლეულში. უკანასკნელად მეფე ვიყავი აფრიკის მიყრუებულ ადგილას. ეს დასვენება იყო უფრო მეტად საპასუხისმგებლო განსხეულებისთვის. ახლა ქალბატონი ოტტი ვარ. სამჯერ ვიყავი გათხოვილი, თვითმკვლელობამდე მივიყვანე რამდენიმე ახალგაზრდა კაცი, ცნობილი მხატვარი ვაიძულე, გირვანქიდან გამომეხატა ვესტ-მინსტერის სააბატო, შევაგულაინე სათნო მეოჯახე... თუმცა, არ ვტრიაბახობ, როგორც უნდა იყოს, ამ ხორცშესხმით სავსებით მაძლარი ვარ.

ტორტის ნაჭერს რომ შეეჭყვოდა, — გადავწყვიტე, უწყინრად გავერთო და, აი, რას გთავაზობთ: ხვალ, შუადღიდან შუალამედე, შეგიძლიათ მზერით აღნიშნოთ ის ქალები, რომლებიც მოგწონთ და ზუსტად შუალამეს ყველას თქვენს განკარგულებაში შევკრებ.

ერვინმა თვალები დახარა და წყნარად წარმოთქვა:

— და თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, დიდი ბედნიერებაა...

— მაშ, კეთილი, — თქვა ქალბატონმა ოტტიმ, — ოლონი, ერთი პირობა უნდა წამოგიყენოთ, — ტორტიანი კოვზის ლოკვით განაგრძო, — არა, ის არა, თქვენ რომ ფიქრობთ. დროულად მოვიმარაგე მშვენიერი სული ჩემი მომდევნო განსხეულებისთვის. თქვენი სული მე არ მჭირდება. პირობა ასეთია: თქვენი რჩეულების რიცხვი კნტი უნდა იყოს. ეს აუცილებელია. სხვაგვარად თქვენთვის ვერაფრის მოწყობას ვერ შევძლებ.

ერვინმა დაახველა და თითქმის ჩურჩულით ჰკითხა:

— და როგორ მიხვდეთ... ვთქვით, მე ალვინში, შემდეგ რა?



ერვინმა რალაც ნაბოტებუტა და მაგიდის ქვეშ შევარდნილი ქუდის ასაღებად დაიხარა.

— არა, მოითმინეთ, — უთხრა ქალბატონმა ოტტიმ, ემალის მუნდმტუკში მსხვილ პაპიროსს ტრიალით დებდა, — მე თქვენ ჰარემს გთავაზობთ. და თუ თქვენ ჯერ კიდევ არ გჯერათ ჩემი ძალის... ხედავთ, აი, იქ, ქუჩაზე, კუს ბაკნის სათვალის ბატონი გადადის. დაე, მას ტრამვაი დაეჯახოს.

ერვინი თვალების ხამხამით უყურებდა ქუჩას. სათვალის ბატონი რელსებამდე მივიდა, სიარულში ცხვირსახოცი ამოიღო, დაცემინება უნდოდა, და მყისვე ულად მასში გაიღვრა, დაიგრილა, ჩამოიშალა. კაფეში ხალხი ავიშვიშდა, ადგილებიდან წამოიშალა, ზოგიერთი ქუჩაში გავარდა. ბატონი, ამჯერად უსათვალოდ, ასფალტზე იჯდა. წამოაყენეს. იგი თავს აქნევდა, ხელისგულს იწმენდა, დამნაშავესავით აცეცებდა თვალებს.

— მე ვთქვი, — დაეჯახება. შემძლო მე თქვა, გასრესს, — ცივად თქვა ქალბატონმა ოტტიმ, — ყველა შემთხვევაში, ეს მაგალითია.

მან ნესტოებიდან მუქი რუხი კვამლის ორი ეზვი გამოუშვა და კვლავ ჯიქური მზერა მიაპყრო ერვინს.

— თქვენ მაშინვე მომეწონეთ. ეს მოკრძალება... ეს თამამი წარმოსახვა... დღეს ჩემი უკანასკნელის წინა საღამო. ხანდაზმული ქალის მდგომარეობა მომეზრდა. ამის გარდა, ამ დღეებში ისე ვიჯადოქრე, რომ უმჯობესია, ამ ცხოვრებიდან სწრაფად ავიბარგო. ორშაბათს გამთენიისას ვაპირებ, სხვა ადგილას დავიბადო...

— ამრიგად, საყვარელო ერვინ, — განაგრძო ქალბატონმა ოტტიმ, ვაშლის

— არაფერი, — თქვა ქალბატონმა ოტტიმ, — თქვენი სურვილები უკვე ბრძანებაა, თუმცა, იმის იმის მისახვედრად, რომ გარიგება შემდგარი, რომ მე თანახმა ვარ თქვენს ამა თუ იმ არჩევანზე, ყოველ ჯერზე მოგცემთ ნიშანს: ქალის შემთხვევით ღიმილს, ან ხალხში ნათქვამ უბრალო სიტყვას გაიგებთ.

— დიახ, აი, კიდევ, — თქვა ერვინმა, მაგიდის ქვეშ რომ ფეხსაცმლის ლანჩებს აფრატუნებდა, — ეს სად იქნება, ჰო, სად მოხდება? მე პატარა ოთახი მაქვს.

— ამაზე ნუ დღევით, — თქვა ქალბატონმა ოტტიმ და კორსეტის ჭრახუნით წამოგდა, — დროა, სახლში წავიდეთ, კარგად გამოძინება არ გვანყენს. მე მივიყვანთ.

და ღია ტაქსიში, რომელშიც ცივი ქარი დათარეშობდა, ვარსკვლავებიან ცასა და ვარსკვლავებიან ასფალტს შორის ერვინმა იგრძნო, რომ მეტისმეტად ბედნიერია. ქალბატონი ოტტი გამართული იჯდა, მხვილი კუთხით ფეხი ფეხზე შემოედო და მის მტკიცედ მბრწყინავ თვალებში ქალაქის ღამეული შუქი ელავდა.

ქარი ჩადგა. — აი, თქვენი სახლიც, — თქვა მან და იდაყვზე შეეხო ერვინს, — ნახვამდის...

განა ცოტა ოცნებას მოაზღვრავს კონიაკის მეხით განგმირული კათხა შავი, სქელი ლუდი? მომდევნო დილით გაღვიძებულმა ერვინმა ასეც იფიქრა, რომ მთვრალი იყო, რომ თავად წარმოიდგინა ხნიერ, უცნაურ ქალბატონთან კაფეში საუბარი. მაგრამ თანდათან გუშინდელი შეხვედრის ყოველი წვრილმანის გახსენებისას მიხვდა, რომ ამ ყველაფერს მხოლოდ წარმოსახვით ვერ ახსნიდა.

ქუჩაში დაახლოებით პირველის ნახევარზე გავიდა და რადგან კვირა იყო და

ფიცრული საპირფარეოს კუთხეში სპარსული იასამნის ლილისფერი გრძელი ღულა, ერვინმა საგრძნობი სიმსუბუქე იგრძნო; სიმსუბუქე კი ლამის გაფრენაა. სკვერის შუაგულში, კვადრატულ ორმოებში ბავშვები, რომელთაც პატარა ფლანელიანი უკანალები აენიათ, სილიდან საოცრებებს ძერწავდნენ. კრიალა ფოთლები ოდნავ ირხეოდნენ, მათი ჩრდილები მუქი შუაგულები ხრეშზე ირხეოდნენ, მსუბუქ გუნდებდა მიინევდნენ მოსიერეთა შარვლებისა და ქვედა ბოლოებისკენ, არბოდნენ, სახესა და მხრებზე ყერებოდნენ და კვლავ გუნდებდა ჩამოსრილდებოდნენ მიწაზე, სადაც ოდნავლა ირხეოდნენ შემდეგი გამვლელების მოლოდინში. პარკში შესულმა ერვინმა თეთრკაბიანი გოგონა დაინახა, რომელიც ჩაცუცქულიყო და სასაცილო მეჭეჭებიან, ბურთივით მრგვალ ლეკვს ორი თითით მუცელზე ბანჯგვლს სწინკნიდა. მან თავი დახარა — უკნიდან კისერი, ქერაბუსუსებიანი მზინავი ზურგი გაუშიშვლდა. ნატიფი ჭრილით განცაკევებული მხრების სიმრგვალე. მცხუნვარე მზეს ოქროსფერ კულულებად მოეცვა მისი ნაბლისფერი თმა. ჩაცუცქული ქალიშვილი ისე, რომ ლეკვთან თამამი არ შეუნყვეტია, წამოდგა და ზემოდან დახედვისას ტაში შემოჰკრა. ლეკვიც გადმოტრიალდა, განზე გაიქცა, გვერდზე რბილად

დაეცა. ერვინი ძელსკამზე ჩამოჯდა და წამიერი, მფრთხალი და ხარბი მზერით მის სახეს თვალი შეავლო. ისე ნათლად, ისე გამსჭვალავად დაინახა, ისეთი სრულქმნილი სისავსით ალიქვა, რომ შესაძლოა, სიახლოვის ხანგრძლივ ნლებს ვერაფერი ახალი ვერ აღმოეჩინა ამ ნაკვეთებში.

უფერული ტურები ოდნავ შეუკრთა, თითქოს ლეკვის ყველა პატარა, რბილ მოძრობას იმეორებდა, შეუკრთა წამწამები — ისეთი მბრწყინავი, მის მოთამამე თვალებში რომ ნახ სხივებად მოჩანდნენ. მაგრამ შეიძლება ყველაზე ბრწყინვალე მისი ლოყების ღრმული იყო, პროფილში რომ ოდნავ აჩნდა. ამ ღრმულეებს, თქმა არ უნდა, ვერანაირი სიტყვებით ვერ წარმოიდგენ. ქალიშვილი გაიქცა. მისმა ფეხებმა გაიღვრა. უკან ბანჯგვლიან ბურთულასავით მიგორავდა ლეკვი. უცბად ერვინს მოაგონდა, რა ძალაუფლებაც მცეცა და სულგანაბული ნიშანს დაელოდა. და იმ წამს მორბენალი გოგონა შემობრუნდა და ცოცხალ ბურთულაზე, მას რომ ძლივს ეწეოდა, ღიმილმა გაიბრწყინა.

„პირველი“ — გაიფიქრა ერვინმა და სკამიდან წამოგდა.

ქვიშაზე კაშკაშა ყვითელი, ლამის წარინჯისფერი ფესაცმელების ფრატუნით ერვინი სკვერიდან გამოვიდა. მზერას გვერდზე ისროდა. მაგრამ რადგანაც ლეკვიანმა გოგონამ მის სულში მზიანი ღრმული დატოვა, დიდხანს ვერ შეძლო ეპოვა ქალის სახე, რომელიც მოეწონებოდა. თუმცა მალე ეს მზიანი ხვერილი გადაიფარა და, აი, ტრამვაის განრიგთან მინის ბოძთან ერვინმა ორი ახალგაზრდა ქალბატონი შეამჩნია. მსგავსებას თუ დავუჯერებთ — დები, მარმრუტს ხმამაღლა რომ არჩევდნენ. ორივე გამხდარი, შავ



აბრეშუმში გამონყობილი, ოდნავ შეღებოლი ცოცხალი თვალებით.— შენ, აი, ამ ნომერში უნდა ჩაჯდე, სწორედ ამაში, — ამბობდა ერთი.

„ორთავე, გეთავყა“, — სწრაფად ითხვავა ერვინმა.

— ჰო, კარგი, სხვაგვარად როგორ იქნება. — უპასუხა მეორემ დას.

ერვინი ტროტუარისა და ჩავიდა. მოედანი გადაჭრა. მან ყველა ის ადგილი იცოდა, სადაც კობხად ჩაცმულები დადიან, სადაც მეტიკა შესაძლებლობა.

„სამი, — თქვა თავისთვის, — კენტი. მაშასადამე, ჯერჯერობით, ყველაფერი კარგადაა და ახლა რომ შუალამე იყოს...“

ქალი სადარბაზოს კიბეზე ჩამოდიოდა, ხელჩანთა აქნევდა, უკან სიგარეტის მწველი მალაქი ბატონი მოჰყვებოდა, პარსვისგან გალურჯებული ლოყებითა და ქუსლივით მაგარი ნიკაპით. ქალბატონი უქუდოდ იყო, ბიჭურად შეკრეჭილი მუქი თმა მუშტად არშისავით შემოვლებოდა. ჟაკეტის გადასაკეცზე დიდი ხელოვნური ვარდი ალისფერობდა. როცა ჩაიარა, ერვინმა კარიდან მარცხნივ, სიგარეტის რეკლამა შენიშნა — ქერაულვაშიანი თურქი ფესში და დიდი ასოებით დაწერილი — „დიას!“ ქვეშ კი წვრილი ასოებით: „მე მხოლოდ აღმოსავლეთის ვარდს ვენევი“.

სასამოვანო სივრცის შეგრძნებისას ერვინი იაფფასიანი რესტორნისკენ გაემართა. სიღრმეში, ტელეფონის აპარატთან დაჯდა, მანდილოსნები შეათვალიერა. ქალბატონებიდან ვერცერთმა ვერ მიიზიდა. „შესაძლოა, ეს? არა — შებრუნდა, — ბებერია... ზურგიდან არასდროს უნდა შეაფასო“.

ლაქიამ სადილი მიართვა. გვერდით ტელეფონთან ქვაბურაქუდიანი მამაკაცი მივიდა, ნომერი აკრიფა და ალულებული ისე აყვავდა, როგორც კურდღლის ცხელ კვალზე დამდგარი მწვეარი. ერვინის მოხეტიალე მზერა დახლისკენ გაცოცდა. იქ საქმიანი გოგონა დაინახა, რომელიც ლანგარზე ახლახან გარეცხილ ლუდის კაბზეებს აწყობდა. მზერა მის გამიშვებულ მკლავებზე, მის ფერმკრთალ, ნაყვავილარ, მაგრამ მეტისმეტად სანდომიან სახეზე გაასრიალა და გაიფიქრა: „ჰო, მერე რა, ესეც“.

— დიას! დიას! დიას! — მღელვარედ ყვავდა მამაკაცი ტელეფონის ყურმილში.

სადილმა დაამძიმა — გადაწყვიტა, კარგი იქნებოდა, თუ ერთი საათი თვალს მოატყუებდა. მართალი გითხრა, ნარინჯისფერი ფეხსაცმელი მტკიცეულად უჭერდა. ცხელი ღზარმაზარი, თეთრ-გუმბათიანი ცხელი ღრუბლები მაღლა იწვედნენ და ერთმანეთს ავიწროებდნენ. ქუჩაში ხალხი შეთხელდა, სამაგიეროდ, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ სახლები მთლიანად გაეფსო სადილისმემდგომ ბლანტი ხვრინვას. ერვინი ტრამვაიში ჩაჯდა.

ვაგონი დაიძრა და წივილით გაექანა. ერვინმა მინისკენ მიაბრუნა ფერმკრთალი, დაორთქლები ცხვირი. ქალების გაეღვებულ სახეებს მზერით იჭერდა. ბილეთის აღებისას შენიშნა, რომ გასასვლელის მარცხნივ, პირით მისკენ, ქალბატონი იჯდა, რომელსაც შავი ხავერდის ქუდი ეხურა. მისი მსუბუქი კაბის ყვითელი ყვავილები ჩანდა ნახევრადგამჭვირვალე ლილისფერ ფონს, რომლიდანაც ლიფის ღია ფერის ზონურები ილანდებოდა. და ამ ქალის წარმოსადგენმა აღნაგობამ ერვინში სურვილი აღძრა, სახეში შეეხედა მისთვის. როცა ქალის ქუდი დაიხარა და შავი ხომალდი შემობრუნდა, ერვინმა, ჩვეულებისამებრ, შეხედა მის წინ მჯდომ, წითელლოყება მოხუცს, რომელიც ტრამვაის სიღრმეში თვლებდა და ასეთ-ნაირად მიიღო საყრდენი წერტილი აქეთ-იქეთ შემდგომი გამოკვლევა-თვალთვალის გასამართლებლად. შემდეგ ასევე დაუდევრად ქალბატონზე გადაიტანა მზერა. ეს იყო ქალბატონი ოტი. სიცხისაგან აგურისფერი ლაქა გადაღებოდა მომჩვარულ სახეზე. ნათელი, მკვირცხლი თვალის ზევით შავი, სქელი წარბები ირხეოდა, მოკუმული ტუჩების კუთხეებში ღიმილი უკრთოდა.

— გამარჯობა, — თქვა ქალბატონმა ოტიმ, რბილი, ხრინჩიანი ხმით, — აქეთ გადმოჯექით. ასე. ახლა შეგვიძლია ვილაყობო. როგორაა თქვენი საქმეები?

— სულ ხუთია, — დარცხვენით უპასუხა ერვინმა.

— ჩინებულია. კენტი რიცხვი. გორჩევეთ, ამაზე შეჩერდეთ. შუალამით კი... დიას, მგონი, ჯერ კიდევ არ მითქვამს. შუალამეს გოფმანის ქუჩაზე მოხვალთ. იცით, სად

არის? მეცამეტე ნომერს მოძებნით. პატარა ვილაა ბალითურთ. იქ თქვენი რჩეულები დაგელოდებიან. პატარა ჭიშკართან შეგხვდებით, მაგრამ, ცხადია, — ნაზი ღიმილით დაუმატა, — მე ხელს არ შეგიშლით... მისამართი დაიმასხვრეთ?

— აი, რა, — უთხრა გამბედაობამოკრებილმა ერვინმა, — გეთავყა, დაე, ისინი იმთავითვე ძალიან მხიარულები, ძალიან ალერსიანები იყვნენ.

— რასაკვირველია, — უპასუხა ქალბატონმა ოტიმ, — ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გნებავთ. სხვაგვარად, ამ ისტორიის წამოწყებაც ღირდა. ასე არ არის? მაგრამ გამოტყდით, საყვარელო ერვინ, რომ კინაღამ მეც კი აღმნიშნეთ თქვენი ჰარემისთვის? აჰ, არა, ნუ გემინათ, მეც ხომ ბრწყინვალე ვიცი... უბრალოდ, ვხუმრობ. ნასვლა გინდათ? სახლში? დიას, სწორია. ხუთი — კენტი ციფრია. უმჯობესია, ამაზე შეჩერდეთ. მამ, ასე, შუალამემდეგ.

ერვინი ისე დაბრუნდა შინ, რომ გვერდზე არ გაუხედავს. გაიხადა და კმაყოფილების ოხვრით ლოგინზე გაიშლართა. საღამოხანს გაეღვიძა. ეზოში თანაბარი მუქი იყო; მეზობლის გრამაფონიდან ტკბილი ტენორი იღვრებოდა.

„პირველი — ლეკვიანი გოგონა, — მოგონებას შეუდგა ერვინი, — ყველაზე სადაა. ეტყობა, ვიჩქარე. არა უშავს, სულ ერთია. შემდეგ — ორი და ტრამვაის ბოძთან. მხიარულები, შეღებულები. მათთან სასიამოვნო იქნება. შემდეგ — ვარდიანი, მეოთხე, ბიჭს რომ ჰვავს. ეს მთლად კარგია. დაბოლოს, გოგონა რესტორანში. მასაც, ასევე, არა უშავს. მაგრამ მხოლოდ ხუთი ცოტა“.

წამოხვდა, ხელები კეფს ქვეშ ამოდო, გრამაფონის ტენორს მიუფლო ყური.

„ხუთი... არა, ცოტაა, ნაირნაირები კიდევ არიან, საკვირველები...“

და ერვინმა მეტს ვეღარ გაუძლო, კოსტიუმი ნაჩქარევად მოიყვანა წესრიგში, თმა გადაისლიქა და ქუჩაში მღელვარედ გავიდა.

ცხრა საათისთვის კიდევ ორი შეიგულა. ერთი კაფეში შენიშნა, თანხლებს უცნობ ენაზე ელაპარაკებოდა — პოლონურად თუ რუსულად — თვალები რუხი, ოდნავ ელამი ჰქონდა, ცხვირი — თხელი, კეხიანი. სიცილისას შუბლი ეჭმუხნებოდა, ლამაზი ფეხები მუხლებამდე უჩანდა. სანამ ერვინი გვერდულად უცქერდა, მან თავის შრიალა საუბარში, შემთხვევით, გერმანული ფარაზა ჩაურთო — და ერვინი მიხვდა, რომ ეს ნიშანი იყო. მეორე ქალს, ანგარიშით მეშვიდეს, გასართობი პარკის ჩინურ ჭიშკართან შეხვდა. მას წითელი კოფთა და მწვანე ქვედაბოლო ეცვა, კეკლუცი წივილისგან შიშველი კისერი ებერებოდა. ორმა ტლანქმა, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცმა მას ფერდში ხელი დასტაცა. ქალი კი მათ იდაყვებით იგერიებდა.

— კარგი, თანახმა ვარ! — იყვირა ბოლოს.

გასართობ პარკში მწყობრად ჩარიგებული ფანრები ნაირფერი შუქით ციმციმებდა. ვაგონეტი ქვევით კლაკნილ ღარებში კივილით მიქროდა, შუასაუკუნეების მრუდე დეკორაციებს შორის ამოჰყოფდა თავს და ისევ ისეთივე უძლური კივილით უფსკრულში ჩაყურყურებოდა. პატარა ფარდულში, ოთხი უბორბლო ველოსიპედის უნაგრზე, მხოლოდ ჩარჩო, მუხრუჭი და საჭე რომ ჰქონდათ, ოთხი მოკლე-მარვლიანი ქალი იჯდა — წითელი, ლურჯი, მწვანე, მწვანე, ყვითელი მოკლე მარვლებში გამონყობილი მათი ფეხები გამალებით მუშაობდნენ. მათ თავებს ზემოთ იყო დიდი ციფერბლატი, რომელზეც ოთხი ისარი მოძრაობდა — წითელი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი. თავიდან ეს ისრები მჭიდრო სხვადასხვაფერ კონებად მიდიოდა, შემდეგ ერთი წინ გაიჭრებოდა, მას მეორე ასრებდა, მესამე მძლავრი ბიძგივით ორთავეს გადაასრებდა. გვერდით სასტვენინანი კაცი იდგა.

ერვინმა შეხედა ქალების გაშიშვლებულ ძლიერ ფეხებს, მათ წრიულად ნალუნულ ზურგებს, ალისფერტუჩიან წამონთებულ სახეებს, ლურჯად შეღებილ წამწამებს. ისართაგან ერთმა წრე უკვე დაამთავრა... ისევ ბიძგი... ისევ...

„ისინი, უეჭველია, კარგად ცეკვავენ, — ტუჩის ჩაკვებით გაიფიქრა ერვინმა, — ოთხივეს ავირჩევი“.

— არის! — სასტვენის თანხლებით იყვირა კაცმა და ქალებიც გაიმართნენ, ციფერბლატს შეხედეს.

ერვინმა მოხატულ პავილიონში ლუდი დალია, საათს შეხედა და ნელი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ.

„თერთმეტი საათი და თერთმეტი ქალი. დროა, შეეჩერდე“.

თვალები მოჭუტა მოსალოდნელი განცხრომის წარმოდგენაზე და კმაყოფილებით გაიფიქრა, რომ დღეს სუფთა თეთრეული ეცვა.

„ჩემი ქალბატონი ოტი, ალბათ, მითვალთვალეს, — თავისთვის ჩაიციხა, — მერე რა, არა უშავს. ეს იქნება, ასე ვთქვათ, ნინაკა...“

მიდიოდა, საკუთარ ფეხებს ლაყურებდა, იმეათად, ქუჩის სახელწოდებას თუ შეამონებდა. იცოდა, ჰოფმანის ქუჩა შორს იყო, კაიხერდამზე, მაგრამ თითქმის ერთი საათი დარჩენოდა, შეეძლო, არ იჩქარა. ისევე, როგორც გუშინ, ცა ვარსკვლავებით გაჩანჩახებულიყო და ქალაქის ჯადოსნური სინათლის ამრეკლავი, დამაგრძელებელი, შემსრუტავი ასფალტი წყლის წყნარი ზედაპირით ბრწყინავდა. კუთხეში, სადაც კინემატოგრაფის შუქი ტროტუარს ეღვრებოდა, ერვინს ბავშვური სიცილის ხანმოკლე ჭეჭა მოესმა და თავი ასწია თუ არა, წინ სმოკინგის მძლავრი მოხუცი და მის გვერდით მიმავალი თითხმეტიოდ წლის მუქ, ძალზე გულამოღებულ კაბაში გამონყობილი გოგონა დაინახა. მოხუცს ფოტოების მეშვეობით მთელი ქალაქი იცნობდა. ის იყო ცნობილი პოეტი. გარეუბანში მცხოვრები და უძლურებული გედი. რალაცნაირი მძიმე გრავიტი მიაბიჯებდა, ჭუჭყიანი ზამბისფერი თმა ფაფუკი ქუდიდან ყურებზე დაჰყვოდა. გახამებული საყელოდან ჩანდა, მკერდზე ცეცხლი ენთო. გრძელი, ძვლადქცეული ცხვირის ჩრდილის ლაქები თხელ ტუჩებზე ირიბად ეცემოდა. ერვინის შტორკებული მზერა ბაბუას გვერდით მოცუნცულე გოგონას სახეზე გადავიდა — რალაც იყო ამ სახეში უცნაური, უცნაურად სრიალებდნენ მისი მეტისმეტად მბრწყინავი თვალები. მოძილება გეფიქრია, რომ ეს გოგონა ამ მოხუცის შვილიშვილი იყო. ტუჩებზე ჭიაფერი დაჰკრავდა, ძლივს ძლივობით მიარხევდა ბარძაყებს, ნაბიჯებს მჭიდროდ ადგამდა. რალაცას ხმამაღლა ეკითხებოდა თავის თანამგზავრს — და ერვინი ფიქრში არაფერი უბრძანებია, მაგრამ უცქერდო, რომ მისი ფარული სურვილის გაეღვება შესრულდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — მოკლედ უპასუხა გოგონასაკენ დახრილმა მოხუცმა.

ჩაიარეს. სუნამოს სურნელი დადგა. ერვინი შებრუნდა, შემდეგ გზა განაგრძო. „ოლონდ, — უცებ გაახსენდა, — თორმეტი ლუნი რიცხვია. კიდევ ერთია საჭირო და საჭიროა, შუალამემდეგ მოვასწრო.“

სწყინდა, რომ კიდევ ძებნა მოუწევდა და ამასთან ერთად სიამოვნებდა, რომ კიდევ ერთი შესაძლებლობა იყო.

„გზაზე ვნახავ, — თავი დაიმშვიდა, — უეჭველად ვნახავ...“

— შესაძლებელია, ეს ყველაზე უკეთესი იყოს, — ხმამაღლა თქვა და მბრწყინავ სიბნელეში ფიზილად ცქერა დაიწყო.

მაღე ნაცნობი ტკბილი სურვილი იგრძნო, სიგრილე გულის კოვზთან. მის წინ სწრაფად და მსუბუქად მიდიოდა ქალი, რომელსაც ზურგიდან ხედავდა და ვერ აეხსნა, სახელდობრ, ასე რამ ააღლევა, ასეთი მტანჯველი სიხარბით რატომ მოუნდა, დანოდა, სახეზე შეეხედა. ცხადია, შესაძლებელია, შემთხვევითი სიტყვებით მისი სიარულის, მხრების მოძრაობის, ქუდის მოხაზულობის აღწერა — მაგრამ ღირს კი? ხილული ნაკვეთების მიღმა რალაცნაირი განსაკუთრებული ჰაეროვნებით, მსუბუქი მღელვარებით იზიდავდა თავისკენ ერვინს, რომელიც სწრაფად მიდიოდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო, გასწორებოდა მას. თვალბუქი ღამეული ლანდების სველი ნათელი უციმციმებდა. ქალი თანაბარი და მსუბუქი ნაბიჯით მიიწევდა წინ. უცებ შავი ჩრდილი მოიქინა, ფანარების საძეფოს გადაიწვია და მოქნიული კედელზე გასრიალდა, შვერილზე გადაიღუნა, გზაჯვარედინზე გაქრა.

„ღმერთო ჩემო, მე ხომ მისი სახის დანახვა მჭირდება, — ალელდა ერვინი, — დროც მიდის“.

მაგრამ შემდეგ დრო დაივიწყა. ამ უცნაურმა, უსიტყვო დევნამ ღამეულ ქუჩაში, იგი შეაზარხოშა. ნაბიჯს აუჩქარა, ქალს გაუსწრო, შორს ჩამოიტოვა, მაგრამ სიმფრთხალის გამო მისთვის შეხედა ვერ

გაბედა. ისევ შეანელა ნაბიჯი და ქალმა თავის ჯერზე, ისევ გაასწრო მას. თანაც ისე სწრაფად, შეხედვა ვერ მოასწრო. ერვინი ისევ ათ ნაბიჯზე მიჰყვებოდა და უკვე იცოდა, იმის მიუხედავად, რომ ქალის სახე არ დაუნახავს, ეს მისი საუკეთესო რჩეული იყო. ქუჩა კამკამებდა, სიბნელეში წყდება ილვრებოდა მოედანზე — და ისევ ქალის ქუსლების მსუბუქი კაკუნი ქვაფენილზე — და მის უკან ერვინი, ბუნდოვანი ცეცხლით დაბნეული, უსხეულო, ღამის სიგრილით, დევნილ შეზარებულბუნებში...

და ისევ გაუსწრო ქალს და თავი მამინევე ისევ ვერ მიაბრუნა დამფრთხალმა. ქალმა ისევ ჩაუარა. და ერვინი, მარცხენა ხელში ქუდი და მარჯვენა ხელის მღელვარედ მქნევარი, ისევ კვალზე მდევარა.

არც სიარული, არც გარეგნობა... რალაც სხვა, მომხიბვლელი და მბრძანებლური. მის გარემო ჰაერის რალაცნაირი დაძაბული ციმციმი, შესაძლოა, მხოლოდ ფანტაზია, თრთოლვა, ფანტაზიის აღმადრენა — და შესაძლოა, ის, რაც ერთი ღვთაებრივი ხელის მოქნივით ცვლის ადამიანის მთელ ცხოვრებას — ერვინმა არაფერი იცოდა, მხოლოდ მიისწრაფოდა ტროტუარზე, რომელიც ასევე როგორც ჰაეროვანი გამხდარიყო ღამის ბრწყინავ სიბნელეში მხოლოდ ქალს უყურებდა, სწრაფი, მსუბუქი და თანაბარი ნაბიჯით რომ მიდიოდა მის წინ.

და უცებ ხეები, გაზაფხულის ცაცხვები დევნისთვის შეერთდნენ — მიდიოდნენ და ჩურჩულებდნენ, გვერდიდან, ზევიდან, ყველგან. მათი ჩრდილების შავი შუაგულეფი ფანრების კვარცხლობებზე გადაეხლართნენ; მათი ნაზი, ნებოვანი სურნელი გამხნეებდათ, გიბიძგებდათ.

მესამედ დაიწყო ერვინმა მიახლოება. კიდევ ნაბიჯი. კიდევ. ახლა გაასწრებდა. უკვე ახლოს იყო, როცა, უეცრად ქალი თუჯის პატარა ჭიშკართან შეჩერდა და გასაღებების აცმულა ააფლარუნა. გამოქანებული ერვინი მას კინაღამ დაეჯახა. ქალმა სახე მიაბრუნა მისკენ და ფანრების შუქზე ერვინმა შეიცნო ის, რომელიც დილით მზიან პარკში ლეკვს ეთამამებოდა, და ერთბაშად გაიხსენა, ერთბაშად გაიგო მთელი მისი მწყენიერება, სითბო, ფასდაუღებელი ბრწყინვალეობა.

იდგა და უყურებდა. საწყალობლად იღიმებოდა.

— როგორ არ გრცხვენიათ, — წყნარად უთხრა მან, — თავიდან მომწყდით.

ჭიშკარი გაიღო და გრუხუნით დაიხურა. ერვინი მარტო დარჩა გასუსული ცაცხვების ქვეშ. ერთხანს იდგა, შემდეგ ქუდი დაიხურა და იქაურობას ნელა გაეცალა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მან ორი ცეცხლოვანი ბურთი — ქვაფენილზე მდგარი ღია ავტომობილი დაინახა. მასთან მივიდა, უძრავად მჯდარ მძღოლს მხარზე ხელი შეახსო.

— მითხარით, ეს რა ქუჩაა, გზა ამებნა.

— ჰოფმანის ქუჩაა, — უპასუხა მძღოლმა.

და მაშინ ნაცნობი რბილი, ხრინჩიანი ხმა მოესმა ავტომობილის სიღრმიდან:

— გამარჯობა, ეს მე ვარ.

ერვინი ხელისგულით კარის კიდეს ჩამოეყრდნო, უხალისოდ უპასუხა:

— გაგიმარჯოს.

— მოწყენილი ვარ, — გაისმა ავტომობილიდან, — აქ მეგობარს ვუცდი. განთიადისას მასთან ერთად თავი უნდა მოვინამლო. თქვენ როგორ ხართ?

— წყვილი, — ჩაეცინა ერვინს, მტვრიან კარზე თითის მიატარ-მოატარებდა.

— ვიცი, ვიცი, — გულგრილად უპასუხა ქალბატონმა ოტიმ, — მეცამეტე პირველი აღმოჩნდა. ჰო, თქვენ ეს საქმე არ გამოგივიდათ.

— სანყენია, — უპასუხა ერვინმა.

— სანყენია, — გაეხმაურა ქალბატონი ოტი.

— სხვათა შორის, სულ ერთია, — თქვა ერვინმა.

— სულ ერთია, — დაუდასტურა მან და დამთქნარა.

ერვინმა თავი დაუკრა, მის დიდ, ხუთი გაფარჩხული თითით გატენილ შავ ხელთათმანს ეამბოროა და ხველებით შეერია სიბნელეს. მძიმედ მიაბიჯებდა, დაღლილი ფეხები სტეხდა, ტანჯავდა აზრი, რომ ხვალ ორშაბათია და დილით ადგომა გაუჭირდებოდა.



— შპნ უკვე დიდი ბიჭი ხარ! მომ-ენატრები. იცი, როგორ მომენატრები?!

— მეც მომენატრები, დე... — შემომხედე, რა! სადა ხარ ჩამძვრა-ლი?

— კისერში. ასე რო მიყვარს, ხო იცი, ქალო!..

— მესამე კლასში გადახვალ მალე. უნდა ნავიდე, დე! შარშან სკოლისთვის ვე-რაფერი გიყიდეთ. ხომ გახსოვს?!

— ... — მითხარი, ხომ გახსოვს?!. მამიკოს სამსახური არა აქვს. ბებოს პენსია ვერ გვყოფნის. მამიკო ხანდახან, შემთხვევით რასაც იშოვის, გვყოფნის?!. ნავალ და ახ-ალი ველოსიპედიც გექნება. ბევრი სხვაც გექნება...

— მონტაინ ბაიკი? — ჰო, მონტაინ ბაიკი. ბოტასებიც ნამ-დვილი გექნება. ნამდვილი ადიდასი. თუ გინდა, ნაიკი.

— ბოტასები არ მინდა... ჯერ არ მინ-და.

— გიყიდი. მალე გიყიდი.

— მონტაინ ბაიკი მაგარი იქნება!..

— ჰოო!.. დათურა რომ არ გესვამს თავის ველოსიპედზე, აღარ გექნება სახვენარი... — დათურა გესვამს ველოსიპედზე, ქალო!.. უარს არავის ეუბნება. მამამისი როცა არაა, მაშინ.

— რომ მომენატრებით, სკაიპით დაგე-ლაპარაკებით. ეკა დამემდურა. არ უნდა, რომ ნავიდე... ეკა დიდი გოგოა, უკვე... — დიდი არაა!.. მეხუთე კლასშია.

— სკაიპით მოგეფერები!.. ოლონდ შემ-პირდი, რომ კარგად ისწავლი! — არ ვსწავლობ, დე?!.. მეტი რა გინ-და?

— კი სწავლობ. ეგრე გააგრძელე!.. ყვე-ლას უნდა სჯობდე! თუ არ ისწავლი, ჩამ-ოვალ. დარჩები უველოსიპედოდ... ისევე შეგვანუხებს შიმშილი... — ვისწავლი!

\*\*\*

— სულ აუშვა!.. გიო ყველაზე კარგი მოსწავლე იყო. ყველას სჯობდა. ახლა ყვე-ლა სჯობია.

— ბიჭო, სწავლაზე ხელი რატომ აიღე?! არ გრცხვენია?!

— ...

\*\*\*

— რატომ არ სწავლობ, გიო? იქ დედამ-ენი თავს არ ზოგავს... მე კიდეც, ხო ხედავ, რასა ვგავარ?! ორივე შენთვის და ეკასთვის არ ვწავლობთ?!

— ...

— ცოტაც და ვალს ბოლომდე გავის-ტუმრებთ. მერე, მეტი ფული გვექნება. ველოსიპედი ხო გაგეხარდა, არა?!. იცი, მაგისტრის დედა დაეარდნო მოხუცს რომ უვლის?!

— ...

— კომპიუტერიც გიყიდა...


— ...

— ჩაყლაპე ენა?! თუ, აგახლიჩო ყურე-ბი?!

— ჩამოვიდე! — მაგიტომ არ სწავლობ?!

— ...

### სოლომონ ნერგაძე მოთხრობა პირობითი სათაურით „სკაიპი“



— მოდი, იცი, რა ვქნათ?! ტკაცუნა სა-სისკები ხო გინდა, გიო?

— მერე, ფული?

— ფული გვაქვს. იზას ვალიც მივეცი და პროცენტიც. მოგვრჩა ოცი ევრო...

— ეკას კაბა?

— რად უნდა, ბიჭო, ოცი ევრო ერთ კაბას?!. ჩვენ ხუთი გვეყოფა. თხუთმეტ ევროდ კიდეც, იმისთანა კაბას ვიყიდით!..

\*\*\*

— ექვსი კაი სასისკი, ძმაო! სულ ტკა-ცან-ტკაცანი რო გააქვს, გაიგე?

— კი ჯიგარო!

— ერთიც კაი ცივი კოკა-კოლა... პურს ხო მოაყოლებ?

— კი, ჯიგარო!

— შენა ჯიგარო, კი ჯიგაროს მეტი არაფერი იცი?!. ჰა, ნუ იჯაგრები! ვხუმ-რობ. მე და ჩემმა ბიჭმა პური უნდა ვჭა-მოთ. ჰო, კიდეც, იცი რა?!. აი, აქ, ოდნავ ჭრაჭუნებს. შიგნიდან ჭრაჭუნებს. მოუხდე-ბა კაი არყით დაზეთვა... ორასი გრამიც დავაი...

— არ დალიო, რა!

— რათა?!. ორასი გრამია, ლიტრი ხომ არა?!

— სასისკს რატომ არ ჭამ? დედიკომ მითხრა, დაუშალე დალევაო...

— ...

— გაიგე, მა?!

— ...

— კარგი რა, მამა! ფხიზელი ძველე-ბურად ხარ... არაყი არ დალიოსო...

— გავიგე, გიო, გავიგე... შენაა და, არ სწავლობ. მე ვარ და, ნავედი ხელიდან... აღარ დავლეე მეტს... აქ აღარ დავლეე.

— ჭამე სასისკი! ორი ცალი შენია. მე ოთხი ვჭამე. ვეღარ ვსუნთქავ.

— არ მინდა.

— ცარიელა პური ჭამე. ისიც ისე ცოტა... ეგ გეყოფა?!

— არ მინდა. შენ შეჭამე რა!

— აღარ მინდა მეტი.

— იცი, რა ვქნათ?!. ავილოთ კიდე ექვ-სი და ეკასა და ბებოას ნაველოთ!

— ეკას კაბა ურჩევნია.

— ...

— ნავიდეო სახლში.

— ...

— ნავიდეო, რა, მა!

— ნავიდეო.

\*\*\*

— შენ მომიკვდი, შვილო!.. რატო არ სწავლობ?

— ...

— შენი ჩამოსვლა უნდა.

— რო ჩამოვიდე, რა ვჭამოთ? თუ, დას-ტა-დასტა ფულეები მოგაქვს სახლში?!

— კაცი მქვიაო, შენ უნდა თქვა?!

— გაჩუმიდი, ქალო!.. არაა სამუშაო და რა ქნას ამანაც?!

— სიკვდილი და არგადარჩენა! მე აქ მოხუცის მძღწერებში ხელეები ვუროო, შენ კი, არ ისწავლო!.. მამაშენმა ილოთოს!.. ეს გინდათ?

— ...

— რასა ჰგავხარ?! თავს რაზე იკლავ?!

ქალის ფერი აღარ გადევს...

— სიკვდილი და არგადარჩენა!.. ხე-ლებს სარეცხი ფხვნილით ვიხეხავ. მაინც არა სცილდება განავლის სუნი. საქმელს ვერ ვჭამ

— ჩამოდი!

— კიდეც მაგას იმეორებ?!. რა ვჭამოთ, რო ჩამოვიდე? ვალს რა ვუყოთ?

— ...

— სად მიდიხარ, დამელაპარაკე მაინ-ცაა, ადამიანო!

— ხო იცი, როგორ უყვარხარ ბავშვებ-სა?! იცი, როგორ ენატრები ორივეს?!. ამ-იტომ გეუბნები, ჩამოდი...

— შენ?

— რა მე?!. არ იცი?

— ...

\*\*\*

— რატო, შვილო, რატომ!.. რათააააა!

— გაიგონეთ რამე?

— არა... — არც ჩვენ! — ბალიში დაუფარებია, ხმა არ გა-ვიდესო, თოფის... — აბა, კაცო!.. — წერილი დაუნერია, მეც დავისვენებ და თქვენც დაგასვენებთაო...

\*\*\*

— დღევანდელ გამოშვებაში თქვენ ნახავთ...

— გადართე, რა! სერიალი იწყება.

— მაცალე, სიხარულო! გავიგოთ, რა ხდება ქვეყანაზე...

— გადართე, გეხვეწები!..

— ქალაქი იტალიის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. გარდაცვლილია დაახლოე-ბით 30 წლამდე ასაკის ქალბატონი. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ქალ-მა წაიფორხილა და გზის სავალ ნაწილზე დაეცა. მანქანის მძღოლმა სასწრაფო დახ-მარებას გამოუძახა. ვითარების გასაცნო-ბად ადგილზე იმყოფება საქართველოს კონსული იტალიის რესპუბლიკაში. ამ თემაზე დღეს ჩვენი კორესპონდენტი მუშაობდა. ნინო, გისმენთ!

— დიახ. საღამო მშვიდობისა! როგორც იტალიიდან გადმოცემულ კადრებში ნახ-ეთ, თვითმხილველებს მიაჩნიათ, რომ უბე-დური შემთხვევა გახდა ქართველი ქალ-ბატონის ტრაგედიის მიზეზი. თუმცა, ადგ-ილობრივი პოლიცია არ გამოირიცხავს თვითმკვლელობის ვერსიასაც. ჩვენ ახლა ვიმყოფებით გარდაცვლილი ქალბატონის სახლთან. მას ჰყავს დედამთილი. იგი ლოგინადაა ჩავარდნილი. ქალბატონს ორი შვილი დარჩა. თხუთმეტი წლის გოგ-ონა და თორმეტი წლის ბიჭი. როგორც გავარკვეეთ, ქალბატონის ქმარმა დაახ-ლოებით ერთი თვის წინ თვითმკვლელო-ბით დაასრულა სიცოცხლე. მეზობლები ამბობენ, უმალავდნენო ქალბატონს ქმრის გარდაცვალებას. გარდაცვლილი ქალბა-ტონის დედამთილთან გასაუბრება ვერ მოხერხდა მისი ჯანმრთელობის მდგომარ-ეობის გამო. გთავაზობთ მეზობლებთან საუბრის ჩანაწერს.

— რა გითხრათ, აბა?!.. ტრაგედია და-ტრიალდა!.. ადრე ნორმალური ოჯახი იყო. მერე კაცი უშეშვეარი დარჩა. გაუჭირდათ. ქალმა ვალეები აიღო, პროცენტებიანი... და, იტალიაში ნავიდა სამუშაოდ. შვილები კარგები ჰყავთ. ბავშვების მამა, დალუპუ-ლის ქმარი, ვერ იყო კარგად ბოლო დროს... ამბობენ, განიცდიდაო ცოლის სიშორეს. ეჭვიანობდაო, ამასაც ამბობენ... გაიგებ რამეს?!. ერთი თვეც არ იქნება, რაც თავი მოიკლა. უბოროტო ბიჭი იყო. ბოლო დროს ხშირად თვრებოდა და ოჯახს აწიოკებდა...

— გმადლობთ, ნინო! პირდაპირი ჩართვით თქვენ უსმენდით ჩვენს კორე-სპონდენტს...

— გადართე, თუ გინდა.

— ...

— როგორც საქართველოს კონსულმა განაცხადა, დალუპული ქალბატონის სამ-შობლოში გადმოსვენების ხარჯებს სახ-ელმწიფო გაიღებს. განვაგრძობთ გამოშ-ვებას. საქართველო ტურისტული სეზონი-სათვის ემზადება...

— ...

— როგორც საქართველოს კონსულმა განაცხადა, დალუპული ქალბატონის სამ-შობლოში გადმოსვენების ხარჯებს სახ-ელმწიფო გაიღებს. განვაგრძობთ გამოშ-ვებას. საქართველო ტურისტული სეზონი-სათვის ემზადება...

— ...

— როგორც საქართველოს კონსულმა განაცხადა, დალუპული ქალბატონის სამ-შობლოში გადმოსვენების ხარჯებს სახ-ელმწიფო გაიღებს. განვაგრძობთ გამოშ-ვებას. საქართველო ტურისტული სეზონი-სათვის ემზადება...

— ...

— როგორც საქართველოს კონსულმა განაცხადა, დალუპული ქალბატონის სამ-შობლოში გადმოსვენების ხარჯებს სახ-ელმწიფო გაიღებს. განვაგრძობთ გამოშ-ვებას. საქართველო ტურისტული სეზონი-სათვის ემზადება...

— ...

— როგორც საქართველოს კონსულმა განაცხადა, დალუპული ქალბატონის სამ-შობლოში გადმოსვენების ხარჯებს სახ-ელმწიფო გაიღებს. განვაგრძობთ გამოშ-ვებას. საქართველო ტურისტული სეზონი-სათვის ემზადება...



### იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურული პრემია

30 ოქტომბერს მწერალთა სახლში იაკობ გოგება-შვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტ-ერატურული პრემიის გამარჯვებულთა პირველი და-ჯილდოება გაიმართა.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სა-ქართველოს მწერალთა სახლთან ერ-თად წელს დააარსა. პრემია ყოველწლი-ური იქნება. საკონკურსოდ შემოსული 48 წიგნიდან ფინალური ეტაპისთვის 18 შეირჩა.

პრემიის წლებანდელი გამარჯვე-ბულები არიან:

- პროზა — თამარ ფხაკაძე;
- პოეზია — მარიამ ნიკლაური;
- ილუსტრირებული წიგნი — რუსუდან ყიფიანი და ვარლამ ჯმუხაძე;
- დრამატურგია — ლელა ცუცქერიძე;
- თარგმანი — თეა ბაკურაძე და ეკატერინე სუმბათაშვილი;
- ინოვაციური პროექტი — ირმა მალაციძე;
- განსაკუთრებული წვლილი — დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია.

### ილია ჭავჭავაძე -180; პრემიის მე-15 სეზონი

8 ნოემბერს საგურამოში ილია ჭავჭავაძის საი-უბილეო 180-ე წელი აღინიშნა და, ტრადიციულად, ლიტერატურული პრემია „საგურამოს“ დაჯილდოე-ბის ცერემონია გაიმართა.



ილიას ფონდის თავმჯდომარემ და მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ დაასახელა წლებანდელი, მე-15 დაჯილდოების გამარჯვებულე-ბი.

მთავარი პრიზი, ილია ჭავჭავაძის მედალი, ქართული კულტურისა და სუ-ლიერების წინაშე განეული ღვაწ-ლისათვის მიენიჭა ცნობილ მწერალსა და დრამატურგს რევაზ გაბრიაძეს.

პრემია „საგურამო“ კი ნომინაციებ-ის მიხედვით ასე განაწილდა:

- პროზა — ვანო ჩხიკვაძე;
- პოეზია — ბათუ დანელია და ნატა ვარადა;
- კრიტიკა — ნონა კუპრეიშვილი;
- თარგმანი — მერი ტიტვინიძე;
- ჰუმანიტარული მეცნიერება — ზურაბ ხასაია;
- ხელოვნება — მერაბ ფირანიშვილი.

ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მწერალთა სახლი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ყურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com  
ISSN 2346-7940  
9 772346 794004